ზშირად ხდება პრობლემის და გადაწყვეტის გზების ერთმანეთში არევა. პრობლემა არის გადახრა რაიმე სტანდარტიდან, სასურველი ნორმიდან ან მდგომარეობიდან - გამოხატული ნეგატიური ფორმით. პრობლემა არის ის თუ „რა არის (რა მდგომარეობაა) ახლა“, ხოლო მიზანი არის ის თუ „რა უნდა იყოს“.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ო. ზუმბურიძე**, მენეჯმენტის საფუძვლები, თბილისი, 254 გვ.;
2. პროექტის მენეჯმენტი, საგამომცემლო სახლი ლაბირინთი, თბილისი, 2014წ., 268 გვ.;
3. Fred Goult. Innovation Strategies for a Global Economy: Development, Implementation, Measurement and Management (გლობალური ეკონომიკის ინოვაციური მიდგომები/სტრატეგიები) 2011;
4. Cristiano Antonelli The Economics of Innovation, New Technologies and Structural Change: Financial Crisis, Corporate Reform and Institutional Transition
5. G.M. Pater Swann The Economics of Innovation An introduction Emeritus Professor of Industrial Economics, University of Nottingham, UK 2011.



## **АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ СОВРЕМЕННОЙ ТЕОРИИ УПРАВЛЕНИЯ ПРОЕКТАМИ**

**Г. Цискаридзе, К. Чихрадзе, Л. Телия**

### **Резюме**

Проект указывает действия, которые определяет начало и конец работы. Проект реализуется человеком, группы людей или организаций. Они имеют специальные цели, чтобы выполнить определенную программу. В целях реализации проекта, есть три основные процессы: 1. Стратегический; 2. Выбор стратегию; 3. Осуществление. Имеется прямая корреляция между ответственностью менеджера проекта и успешной реализации проекта. Люди, которые заинтересованы в проекте, имеют очень важную роль, так как они могут иметь положительный или отрицательный влияние. Для того чтобы проект имел успех, очень важно также, чтобы определить проблему должным образом и анализировать результаты правильно. Группа проекта должна оценить реальную ситуацию и сделать соответствующие выводы.


## **CURRENT ISSUES OF MODERN PROJECT MANAGEMENT RESEARCH**

**G. Tsiskaridze, K. Chikhradze, L. Telia**

### **Summary**

Project is specified with actions, which has defined beginning and ending. Project is implemented by person, group of people or by organizations. They have special goals to fulfill the particular program. In order to implement project, there are three essential processes: 1. Strategic analyzing 2. Working and selecting strategy 3. Actualizing strategy. There is a direct correlation between responsibility of project manager and successful implementation of project. People, who are interested in project, have very significant roles, whereas they can make positive or negative influence. In order to be project successful, it is very important as well to define the problem properly and analyze the results correctly. Group of project should evaluate the real case and make balance of demands for successful project implementation.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

შპს 656(075.8)

**სატრანსპორტო ლოგისტიკის ფუნქციონირების  
სამართლებრივი უზრუნველყოფა**

თ. შუბითიძე, ო. გელაშვილი, გ. ცერცვაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქუჩა №77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** ტრანსპორტის მუშაობის ეფექტურობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის, ვინაიდან იგი ეროვნული მეურნეობის თითქმის ყველა დარგის შემადგენელი ტექნოლოგიური რგოლია, რომლის მუშაობაზე დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოს თვითღირებულება. სატრანსპორტო საქმიანობის ეფექტიანობის საფუძველს სისტემური მიდგომა განაპირობებს, რომელიც ლოგისტიკურ პრინციპებზეა აგებული. ლოგისტიკური მიდგომების გამოყენებამ არსებითი გავლენა მოახდინა როგორც სატრანსპორტო პოლიტიკაზე, ასევე მოცემული დარგის საწარმოთა საქმიანობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსპორტის დარგის საქმიანობის ორგანიზებულად, ეფექტურად და სამართლებრივად სწორად წარმართვას, რომლის საფუძველსაც საკანონმდებლო უზრუნველყოფა წარმოადგენს. სტატიაში განხილულია ტრანსპორტის ფუნქციონირების სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხები, რომელიც საქართველოს კანონების, სამოქალაქო კოდექსის და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებზეა აგებული.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესი, ეფექტურობა, კანონმდებლობა, კონკურენცია, ლოგისტიკა, მეწამეობა, პროდუქცია, ტრანსპორტი.

**შესავალი**

ლოგისტიკის განვითარებამ არსებითი გავლენა მოახდინა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და მოცემული დარგის საწარმოთა ფუნქციონირების სტრუქტურულ ცვლილებებზე. სატრანსპორტო საქმიანობა გადაიქცა თავისებურ ვიწრო ადგილად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში,

რომლის შედარებით დაბალი ეფექტურობა განპირობებული იყო იმით, რომ სახელმწიფო რეგულირების ორგანოები ძალზე ხისტ რეგლამენტირებას უკეთებდნენ ტარიფებს, გადაზიდვების სიხშირეს, გადასაზიდი ტვირთების ნომენკლატურას, კაპიტალდაბანდებათა მიმართულებასა და სატრანსპორტო კამპანიების საქმიანობის ზოგიერთ სხვა პარამეტრს. საბოლოო ანგარიშით საკონკურენციო ბრძოლა იყო სუსტი, მოქმედი კომპანიები სარგებლობდნენ მონოპოლიური მდგომარეობით. ეს მათ საშუალებას აძლევდათ შეერეებინათ ან შეენელებინათ მომსახურებათა მოცულობა და ასორტიმენტი და კომპენსირება გაეკეთებინათ მაღალი ხარჯებისათვის მაღალი ტარიფებით. დღის წესრიგში დადგა ტრანსპორტის რეგულირების ახლებური მიდგომა სატრანსპორტო ლოგისტიკის პრინციპების გათვალისწინებით, რომლის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი გახდა მისი სამართლებრივი უზრუნველყოფა.

სატრანსპორტო პოლიტიკის ასეთი მიდგომით კომპანიებმა და ფირმებმა მიიღეს მომსახურებათა უკეთესი შეთავაზების საშუალება, რომელმაც გააუმჯობესა საქონლის მიწოდების ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნები, ცვლილები განიცადა ტრანსპორტის შერჩევის დროს კრიტერიუმების მნიშვნელობის ხარისხმა, დაინერგა ტვირთების მიწოდების პროგრესული ფორმები. ყოველივე ამას მიყვავართ ლოგისტიკურ ჯაჭვში კავშირების გაუმჯობესებისაკენ, რომლის საფუძველსაც სატრანსპორტო ლოგისტიკის ფუნქციონირების სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენს.

### პირითადი ნაწილი

სატრანსპორტო საქმიანობის მიღებული კანონები ნებას რთავდა ყველა სახის ტრანსპორტზე შექმნილიყო ახალი კომპანიები და თავისუფლად დადგენილიყო ტარიფები. საექსპედიტორო სააგენტოებსა და სატრანსპორტო კომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ შეექმნათ ერთობლივი საწარმოები ფირმებთან, რომლებიც სპეციალიზირებულნი იყვნენ საექსპორტო ვაჭრობაში. კონკურენციის ამალღების მიზნით განხორციელდა პრივატიზაცია.

ფირმების სამეურნეო საქმიანობაში ტრანსპორტისა და წარმოების მუშაობის სინქრონიზაციის მიზნით, ფართოდ გამოიყენება სისტემები „კანბანი“ და „ზუსტად დროში“. ტრანსპორტზე მათი გამოყენების არსი მდგომარეობს შემდეგში: თუ ძირითად წარმოებაში გამოიყენება ტექნოლოგია „ზუსტად გრაფიკის მიხედვით“ – საჭიროა მასაღების მარაღების არსებითი მოცულობების შემცირება შენახვის შესახებ ინფორმაციის გარეშე. ამ დროს შესყიდვითა და გასაღებით ლოგისტიკაში გადაზიდვები ხორციელდება შესაბამისად მოკლე ინტერვაღებით (სისტემა „კანბანი“) და ზუსტად განსაზღვრულ დროში (სისტემა „ზუსტად დროში“).

აღნიშნული ტექნოლოგიების მიხედვით კლიენტურისათვის ტვირთის მიწოდება

აუცილებლობის შემთხვევაში ხორციელდება წუთების სიზუსტით. ასეთი ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს გვერდი ავუაროთ უზარმაზარ და ძვირად ღირებულ სასაწყობო მეურნეობას და დავაჩქაროთ კაპიტალის ბრუნვალობა. ამის შემდეგ მატერიალურ ფასეულობათა მარაგების ნორმატივები მკვეთრად მცირდება. სისტემაზე „ზუსტად დროში“ მუშაობის დროს საქონლის რეალიზაციის დრო თითქმის ორჯერ მცირდება.

ლოგისტიკური სისტემების „კანბანისა“ და „ზუსტად დროში“ გავლენით სატრანსპორტო მომსახურების მომხმარებლები უპირატესობას აძლევენ ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა ტვირთის გადაზიდვის დროის გრაფიკი. გადაზიდვის დაგეგმილი ხანგრძლივობისაგან დამოკიდებულებით დასაშვებად ითვლება შემდეგი გადახრები: 8–12 კვირა – 25%; 4–8 კვირა 10%; 4 კვირაზე ნაკლები 1%. სატრანსპორტო ფირმები თავიანთ საქმიანობაში იყენებენ განხორციელებულ ლოგიკურ სისტემებს. იმავე დროს ამ ფირმების უმეტესმა ნაწილმა აამაღლა ინტერესი ისეთი ფაქტორებისადმი, როგორცაა ტერმინალების განლაგების სიახლოვე, სატარიფო პოლიტიკა, მარშრუტების სიგრძე და სპეციალიზირებული მოძრავი შემადგენლობის არსებობა, რასაც შესაბამისი სატრანსპორტო კანონმდებლობის მოთხოვნების დამუშავება უზრუნველყოფს.

ტრანსპორტი სადმი, როგორც ლოგისტიკის შემადგენელი ნაწილისადმი ახალმა მიდგომამ მიგვიყვანა სხვადასხვა ასპექტში მისი განხილვის აუცილებლობამდე: გადაზიდვების ორგანიზაციის პოზიციებიდან მიზანშეწონილია გაანალიზებულ იქნას გადაზიდვის მთელი პროცესი ტვირთგამგზავნიდან მიმღებამდე (სისტემით „კარიდან–კარამდე“). თუ გავითვალისწინებთ კლიენტების ინტერესებსაც, მაშინ ანგარიშში უნდა მივიღოთ არა მარტო გადაზიდვების პროცესი, არამედ ტვირთის დამუშავება, შენახვა, შეფუთვა და მათი დაშლა, მასთან დაკავშირებული ინფორმაციის პროცესები, რომლებიც თან ახლავს მატერიალურ ნაკადს. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს სატრანსპორტო მომსახურების ოპტიმალურ შერჩევას, რადგანაც გადაზიდვების ხარისხი, როგორც წესი, უმეტესად აისახება საერთო ხარჯებში, ვიდრე გადაზიდვების თვითღირებულებაში.

წარმოების სპეციალიზაციის და კოოპერაციის თვალსაზრისით ტრანსპორტის შესწავლა არ უნდა შეიზღუდოს ცალკეული მატერიალურ–ტექნიკური კავშირების სფეროთი. ის განხილულიც უნდა იქნას მატერიალურ–ტექნიკური მომარაგების მთელ სისტემაში – პირველადი მომწოდებლიდან საბოლოო მომხმარებლამდე შუალედური ეტაპების ჩათვლით. და ბოლოს, ხარჯების მაქსიმალური შემცირების მიზნით, გაფართოებულ უნდა იქნას ცნების „ლოგისტიკის კონცეფციის“ განხილვა, უნდა მოხდეს პროდუქციის მთელი სასიცოცხლო ციკლის ჩათვლით – პროექტირების ეტაპიდან მეორადი ნედლეულისა და ნარჩენების გამოყენებამდე.

საავტომობილო ტრანსპორტში საკანონმდებლო – ნორმატიული აქტების დანერგვამ და

დარეგულირების პოლიტიკამ, აგრეთვე „ზუსტად დროში“ სისტემის გამოყენებამ, საშუალება მისცა გაფართოებულიყო მისი საქმიანობის სფერო, რამაც საავტომობილო ტრანსპორტის როლი სატვირთო გადაზიდვების ათვისებაში მნიშვნელოვნად გაზარდა. უმეტესწილად ეს ეკუთვნის კონტრაქტით მომუშავე ავტოსატრანსპორტო ფირმებს. კონტრაქტში მოყვანილია გადაზიდვების ხარისხთან დაკავშირებული სტიმულები და საჯარიმო სანქციები. ეს ხელს უწყობს შეთავაზებულ მომსახურებაზე სტანდარტებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების ამაღლებას.

ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა საავტომობილო ტრანსპორტის ხვედრითი წილი ქვეყნის, როგორც შიგა, ასევე საერთაშორისო გადაზიდვებში. იგულისხმება, რომ საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკურ-საექსპლუატაციო თავისებურებანი უზრუნველყოფს მათ გაბატონებულ მდგომარეობას ტვირთების გადაზიდვებზე, გაზრდილი მოთხოვნის პირობებში, რაც თავის მხრივ იწვევს ტრანსპორტირების ისეთი ხარისხობრივი ფაქტორების მნიშვნელობების გაზრდას, როგორცაა გადაზიდვის საიმედოობა და დროულობა. სატრანსპორტო კომპანიების ასეთი მომსახურებანი აჩქარებენ ტვირთის გადაზიდვებს შორ მანძილებზე მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე. ეს ხშირად გამორიცხავს რგოლებს, რომლებიც არსებობენ ტვირთების კომპლექტაციის არსებული სისტემების დროს. სატრანსპორტო ოპერაციები ხდება ნაკლებად ძვირი და უზრუნველყოფილია მომსახურების მაღალი ხარისხით, ვიდრე განაწილების საკონკურენტო ხერხების დროს. ამას გარდა კომპანიები, რომლებიც სარგებლობენ ახალი მომსახურებით, ღებულობენ ახალ მოგებას. ამ დროს მცირდება შეკვეთის დამუშავების ციკლის დრო, ხოლო მარაგების შენახვა იცვლება სატრანსპორტო ნაკადებით. სატრანსპორტო კომპანიების ეფექტურ ფუნქციონირებაში აქტიური როლი ითამაშა ამ სფეროს საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფამ, რომელმაც მიგვიყვანა მათი საქმიანობის ხასიათის შეცვლამდე.

### დასკვნა

ამრიგად, სატრანსპორტო საქმიანობაში ლოგისტიკა თამაშობს მნიშვნელოვან როლს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ამ პროცესის თითოეულ რგოლს და რომლის ფუნქციონირების ეფექტიანობა დამოკიდებულია მის სამართლებრივ უზრუნველყოფაზე. სატრანსპორტო სისტემა ერთმანეთთან აკავშირებს ცალკეულ ეკონომიკურ რაიონებს, კომპანიებს, ფირმებს და საწარმოებს, რაც მას ანიჭებს ლოგისტიკური სისტემის მთავარი რგოლის ფუნქციას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ნავაძე, ო. გელაშვილი საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2015. -272 გვ.
2. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, ი. ჩხეტია. საერთაშორისო სატრანსპორტო საექსპლუატაციო მომსახურება. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2008. - 519 გვ.

3. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მეტურიშვილი. სატრანსპორტო ლოგისტიკის საფუძვლები. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2007. - 488 გვ.
4. Деминг Э. Логистика. Тверь: Изд.фирма «Альба», 1994. – 497 с.
5. Алесинская Т.В. Основы логистики. Функциональные области логистического управления (ч. 3). – Таганрог: Изд-во ТТИ ЮФУ, 2010. – 116 с.
6. <http://www.startlogistic.ru/>

## **ЮРИДИЧЕСКОЕ ОБЕСПЕЧЕНИЕ ФУНКЦИОНИРОВАНИЯ ТРАНСПОРТНОЙ ЛОГИСТИКИ**

**Т. Шубитидзе, О. Гелашвили, Г. Церцвадзе**

### **Резюме**

Эффективность работы транспорта является очень важным для экономического развития нашей страны, так как он является составным технологическим звеном практически во всех областях национальной экономики, от работы которой зависит себестоимость выполненных работ. Основой эффективности транспортной деятельности составляет системный подход, основанный на принципах логистики. Применение логистических подходов оказало существенное влияние как на транспортную политику, а также на деятельность в предприятий данной отрасли. С учётом указанного большое значение придаётся организованной, эффективной и юридически оправданной деятельности транспортной отрасли, основу которой составляет законодательное обеспечение. В статье рассматриваются вопросы правового обеспечения функционирование транспорта, которые построены согласно законам Грузии, Гражданского кодекса и требованиях технического регламента и повышают эффективности перевозочного процесса.


## **LEGAL REASONING OF TRANSPORTATION LOGISTICS FUNCTIONING**

**T. Shubitidze, O. Gelashvili, G. Tsertsvadze**

### **Summary**

The efficiency of transport operation is very important for our country's economic development, since it is a consistent technological part of almost all fields of national economy, on that depends the prime cost of executed works. As the basis of transport activity efficiency is systemic approach, which is based on the principles of logistics. The application of logistical approaches makes a substantial impact on the transport policy, as well as activities of the enterprises in this field. With taking into account of this the great importance has the organized, efficient and legally proper activities in transport sector, the basis of that makes legislative provision. In the article are considered the issues of legal provision of transport functioning, which are constructed on Georgian legislation, Civil Code and are based on requirements technical and are improve efficiency of the transportation process.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპკ 330; 625

## საავტომობილო ტრანსპორტის როლი ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გამოყენების საქმეში

გ. მაისურაძე, თ. მაწიაშვილი, ნ. ნაკაშიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, საავტომობილო ტრანსპორტის ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელი, ყველაზე კრიტიკული პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი დაძლევის გზები. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომლის განუყოფელი ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩამოყალიბება, მიზნად ისახავს ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივ, ეკონომიკურ ინტეგრაციას და ახალ პერსპექტივებს ქმნის ქართული კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. კარგად განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და სატრანზიტო პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

**საკვანძო სიტყვები:** ტრანსპორტი, ეკონომიკა, ეფექტურობა, ტრანზიტი.

### შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში, ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის სატრანსპორტო და სხვა ძირითადი ინფრასტრუქტურული სისტემების გაუმჯობესებას. მიუხედავად ამისა, იგი არ არის საკმარისად განვითარებული, რომ უზრუნველყოს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

საქართველოს, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვს რეგიონში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ვაჭრობისა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაში. ამასთანავე, ბაზრის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისათვის აუცილებელია მისი რეგიონული და საერთაშორისო ბიზნესში ფართოჩართულობა, რისი ერთ-ერთი წინა პირობაც კარგად განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურაა.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულში საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები მუდმივად იზრდებოდა, არსებული პოტენციალის დიდი ნაწილი დღეისთვის კვლავ აუთვისებელია. სხვა ალტერნატიულ მიმართულებებთან შედარებით, მარშრუტიე ვრობიდან საქართველოს გავლით აზიამდე და უკუმიმართულებით უფრო მოკლეა. თუმცა, ევროპიდან აზიისაკენ და უკუმიმართულებით ტვირთების მხოლოდ მცირე რაოდენობის გადაზიდვა ხორციელდება ჩვენი ტერიტორიის გავლით.

მიუხედავად საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურაში განხორციელებული ინვესტიციებისა, დღეს არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა ვერუზრუნველყოფს გაზრდილი ტვირთნაკადების მომსახურებას. გადაზიდვისა და ლოგისტიკური მომსახურების ფასი არა კონკურენტუნარიანია და არარსებობს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ლოგისტიკური ცენტრები. საქართველოზე გამავალი მარშრუტის კონკურენტუნარიანობას ამცირებს ამ გზაზე არსებული მეზობელი ქვეყნების საზღვრების გადაკვეთის განსხვავებული პროცედურებიც.

## პირითადი ნაწილი

ტრანსპორტი, ფართო გაგებით, ეს არის სახალხო მეურნეობის დიდი და ძლიერი დარგი, რომლის ჩარჩოებშიც შედის მაგისტრალური ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობები, საქალაქო და სამრეწველო ტრანსპორტი. საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ დარგს ტრანსპორტი წარმოადგენს, რასაც განაპირობებს საქართველოს გეოპოლიტიკური და საერთო ეკონომიკური მდგომარეობა.

გეოპოლიტიკა, თანამედროვე ხედვით, სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ახლებურად გაგებული თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, რომელიც გეოგრაფიული ფაქტორის, ეროვნული ინტერესების, პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების, პოლიტიკური პროცესებისა და საერთაშორისო კრიზისების რეგულირების კომბინირებულ ანალიზს ეფუძნება.

სწორედ საქართველოს სატრანსპორტო – სატრანზიტო გზების და ზოგადად საქართველოს



გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა მისი აქტიურად ჩართვა ისტორიული ტრანსკავკასიური კორიდორის განვითარებაში. დიდია საქართველოს ისტორიული როლი აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების დაკავშირებაში.

სამრეწველო წარმოების აღმავლობამ და სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. ბათუმი მსოფლიო მნიშვნელობის ნავსადგური გახდა. ბათუმიდან უცხოეთში დიდძალი რაოდენობით გაჰქონდათ ნავთობი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, სპირტიანი სასმელები, აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, ნოხები, ქსოვილები, ფაიფური, სპილენძისა და თუჯის ნაწარმი, შავი ქვა, ქვანახშირი, სიმიინდი, ცოცხალი ფრინველი, კვერცხი, თამბაქო და სხვა.

ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება ძირეულად არის დაკავშირებული მისი ინფრასტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – საავტომობილო გზების განვითარებასთან. საქართველოს მასშტაბებისა და რთული ბუნებრივი რელიეფის მქონე ქვეყანაში, სატრანსპორტო სისტემის სტრუქტურაში საავტომობილო ტრანსპორტის პრიორიტეტი უდავოა მაღალტექნოლოგიური სატრანსპორტო მომსახურების პარამეტრების (მოქნილობა, მობილურობა, საიმედოობა, გადაზიდვის სიჩქარე, ტვირთების დაცულობა) თვალსაზრისით. საქართველოში ტრანსპორტის დარგის ოთხივე მიმართულება (საგზაო, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო) საკმაოდ განვითარებულია. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე საქართველო ასრულებს სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას. ტრასეკას პროექტში მონაწილეობა სატრანზიტო პოტენციალის რეალიზების კარგ საშუალებას იძლევა. ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების საშუალებით საქართველოსთვის უფრო ხელმისაწვდომი ხდება ევროპული და სხვა რეგიონალური ბაზარი. საავტომობილო ტრანსპორტის განვითარება დიდ წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ხოლო კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია ხელს შეუწყობს ევროპული სატრანსპორტო კომპანიების საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს კომპანიების ევროპის მასშტაბით ფუნქციონირებას.

საქართველოს ტრანსპორტის სექტორი საკმაოდ განვითარებულია, საბჭოთა პერიოდში სატრანსპორტო სექტორის საქმიანობა ძირითადად ქვეყნის შიგნით ფუნქციონირებაზე იყო აგებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი სატრანსპორტო სექტორი საერთაშორისო ბაზარზე გავიდა. თურქეთთან საზღვრის გახსნამ მკვეთრად გაზარდა საავტომობილო ტრანსპორტის საქმიანობის მასშტაბები.

საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სირგძეა 20,229 კილომეტრი. საქართველოში, დაახლოებით, 20,250კმ სიგრძის საავტომობილო და 1,550 კმ სიგრძის

სარკინიგზო ქსელია. ყოველწლიურად თითქმის 24.5 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა ხდება ქვეყნის საავტომობილო გზებით და 16.3 მილიონი ტონის – რკინიგზით. აღსანიშნავია, რომ მგზავრების გადაყვანაც გზების გადატვირთვასთანაა დაკავშირებული. საქართველოს საავტომობილო გზებით, დაახლოებით, 257 მილიონი მგზავრი გადაადგილდება, ხოლო რკინიგზით – 2.2 მილიონი. საქართველოში გადაზიდული ტვირთის მოცულობაში დიდი ხვედრითი წილი, დაახლოებით 59.9 პროცენტი, მოდის საავტომობილო გადაზიდვებზე. 1990 წლის შემდეგ საავტომობილო მაგისტრალებმა და რკინიგზამ თავისი ფუნქცია დაიბრუნეს, თუმცა ვერც საავტომობილო გზები და ვერც რკინიგზა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნებს. წლების განმავლობაში მიტოვებული და მოუვლელი მაგისტრალების უმეტესობა განადგურდა. ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ გაარემონტა დიდი დატვირთვის მქონე გზები, რათა აღედგინა მიმოსვლა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი სიტუაციის საბოლოო მოწესრიგებამდე.

მას შემდეგ, რაც საქართველომ შეიძინა აზია-ევროპის დამაკავშირებელი კორიდორის სტატუსი, სახელმწიფოს წინაშე პრიორიტეტული გახდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს საავტომობილო გზები წარმოადგენს, რადგან სატვირთო გადაზიდვის საკმაოდ დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის. საავტომობილო გადაზიდვების გაზრდილმა მოთხოვნებმა დღის წესრიგში დააყენა არსებული გზების რეკონსტრუქციის და ზოგ შემთხვევაში ახალი უსაფრთხო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა.

## დასკვნა

საქართველოს როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს და დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, თავისი ისტორიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, კვლავ ეძლევა ეფექტური შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და მრავალგვარი პოტენციური შესაძლებლობით, ეროვნული თვითმყოფალობისა და თვითდამკვიდრების მაქსიმალური შენარჩუნებით, თავისი თუნდაც მცირედი წვლილი, შეიტანოს მსოფლიო სახელმწიფოთა სატრანსპორტო ეკონომიკური ურთიერთობების, ამჟამად მიმდინარე რთული პროცესების რეგულირებაში და მიაღწიოს მოტანილი სიკეთით ისარგებლოს საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, საყოველთაო ეკონომიკური ზრდის საფუძველზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
3. ნ. ნავაძე, ო. გელაშვილი. საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. სტუ, თბ., 2015წ.

**РОЛЬ АВТОМОБИЛЬНОГО ТРАНСПОРТА В ИСПОЛЬЗОВАНИИ  
ТРАНЗИТНОГО ПОТЕНЦИАЛА СТРАНЫ**

**Г. Майсурадзе, Т. Мациашвили, Н. Накашидзе**

**Резюме**

В статье рассмотрено для достижения экономического роста Грузии, препятствующие экономическому развитию автомобильного транспорта, идентификация наиболее острых проблем и возможные пути их решения. Соглашение об ассоциации между Грузией и Евросоюзом, неотъемлемой частью которого является создания углубленной и всеобъемлющей зоны свободной торговли, ставит целью поэтапную экономическую интеграцию Грузии на внутреннем рынке Евросоюза и создаёт новые перспективы для повышения конкурентоспособности частного сектора Грузии. Хорошо развитая транспортная и логистическая инфраструктура является одним из самых важных факторов роста конкурентоспособности и роста транзитного потенциала страны.


**THE ROLE OF ROAD TRANSPORT IN THE APPLICATION OF  
COUNTRY'S TRANSIT POTENTIAL**

**G. Maisuradze, T. Matsiashvili, N. Nakashidze**

**Summary**

In this paper is considered for achievement of economic growth of Georgia, hindering the economic development of road transport, identification of the most critical problems and ways of their possible solution. Georgia-EU Association Agreement that is an integral part of the establishment of a deep and comprehensive Free Trade Area, is aimed at the gradual economic integration of Georgia in EU's internal market and creating new opportunities to increase the competitiveness for the private sector of Georgia. The well-developed transport and logistics infrastructure is one of the most important factors for competitiveness and improvement of the country's transit potential.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპკ 621

**ტრაქტორის ბუქსაობის კოეფიციენტის რეგრესიის  
განტოლების შედგენა სვედრიტი წვევის ძალის მიხედვით**

რ. ცხვარაძე, გ. არჩვაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში „ტრაქტორის ბუქსაობის კოეფიციენტის რეგრესიის განტოლების შედგენა სვედრიტი წვევის ძალის მიხედვით“ მოცემულია ალბათურ-სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, უმცირეს კვადრატთა ხერხით ტრაქტორის ბუქსაობის კოეფიციენტის მათემატიკური მოდელის შედგენა სვედრიტი წვევის ძალასთან დამოკიდებულებაში. სვედრიტი წვევის ძალის ცნების შემოტანით შესაძლებლობა გვეძლევა ტრაქტორის ტიპის (თვლიანი, მუხლუხა) გათვალისწინებით ანალიზური სახით გამოვსახოთ კონკრეტული მარკის ტრაქტორის კონკრეტულ ნიადაგობრივი ფონისთვის ბუქსაობის კოეფიციენტის დამოკიდებულება ანალიზური სახით  $\delta = f(P_{კვკ})$ .

**საკვანძო სიტყვები:** სვედრიტი წვევის ძალა, უმცირეს კვადრატთა მეთოდი, უბნობრივი აპროქსიმაცია, რეგრესიის კოეფიციენტი, რეგრესიის განტოლება.

მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატებში ტრაქტორის სიმძლავრის ბუქსაობაზე დანაკარგების გათვალისწინება ხდება ბუქსაობის მქკ-ით  $\eta_{\delta}$  ბუქსაობის მქკ-ია, ხოლო  $\delta$  – ბუქსაობის კოეფიციენტი.

ტრაქტორის ბუქსაობაზე გავლენას ახდენს: კაკვზე განვითარებული წვევის ძალა, ნიადაგობრივი ფონი, ტრაქტორის თვლის საბურავის წნევა (თუ ტრაქტორი თვლიანია) და სხვა.

ბუქსაობის კოეფიციენტის აღნიშნულ პარამეტრებზე დამოკიდებულებას რომ მისცემოდა განზოგადებული სახე, ე. ი. გამოგვერიცხა კონკრეტული მარკა ტრაქტორის (გათვალისწინებული

იქნეს მისი ტიპი (თვლიანია იგი თუ მუხლუხა)) და აგრეთვე გამოგვერიცხა ნიადაგობრივი ფონის გავლენა, ტრაქტორის თეორიაში შემოტანილი იყო ხვედროთი წვევის ძალის ცნება:

$$P = \frac{T_f}{\lambda \phi G}$$


სადაც,  $T_f$  არის ტრაქტორის კაკვზე განვითარებული წვევის ძალა;

$\lambda$  – ჩაჭიდების წონის კოეფიციენტი;

$G$  – ტრაქტორის საექსპლუატაციო წონა.

ეს პარამეტრები გვიჩვენებს ჩაჭიდების წონის ერთეულის შესაბამის წვევის ძალის მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ტრაქტორის ტიპის (თვლიანი თუ მუხლუხა) უნივერსალური ბუქსაობის დიაგრამის  $\delta = F(P)$  მიხედვით კონკრეტული მარკის ტრაქტორისთვის გამოვთვალოთ ბუქსაობის კოეფიციენტი მოცემული ნიადაგობრივი ფონის შემთხვევაში.

ხვედროთი წვევის ძალისგან ტრაქტორის ბუქსაობის კოეფიციენტის დამოკიდებულების მრუდზე  $\delta = F(P)$  პირობით შეიძლება გამოვყოთ ორი უბანი: 1) ნორმალური და 2) ინტენსიური ბუქსაობის (ნახ. 1).



ნახ. 1

როგორც ნახაზ 1-დან ჩანს დიაგრამის I უბანზე გამოსახული დამოკიდებულება  $\delta = F(P)$  შეიძლება აღწერილი იქნეს წრფივი დამოკიდებულების კანონით  $\delta = a_0P + b_0$ , ხოლო მეორე უბანზე გამოსახული დამოკიდებულება შეიძლება აღწერილი იქნეს პარაბოლის კანონით

$$\delta = aP^2 + bP + c.$$

მრავალჯერადი ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე დადასტურებულია, რომ  $P_\delta$ -ის მნიშვნელობა თვლიანი ტრაქტორისათვის შეესაბამება  $\delta \approx 0,2$  ხოლო, მუხლუხა ტრაქტორისათვის კი –  $\delta = 0,07$ .

ე. ი. ტრაქტორის კაკვზე განვითარებული წვეის ძალის (მისი შესაბამისი ხვედრითი წვეის ძალის) მიხედვით ბუქსაობის კოეფიციენტის ცვალებადობა შეიძლება წარმოდგენილი იქნეს უბნობრივი აპროქსიმაციის მეთოდით შემდეგი ზოგადი სახით:

$$\delta = F(P) = \begin{cases} \delta_0 = a_0P + b, & P \leq P_\delta \\ \delta = ap^2 + bP + c, & P > P_\delta \end{cases}$$

ჩაჭიდების წონის კოეფიციენტის მნიშვნელობა  $P$ -ს საანგარიშო ფორმულაში თვლიანი ტრაქტორებისთვის, რომელთა თვლების ფორმულაა  $4X2$  იანგარიშება ფორმულით

$$\lambda = \frac{a}{L} = \frac{L-b}{L}.$$

სადაც,  $L$  – არის თვლიანი ტრაქტორის ბაზა;

$a$  – ტრაქტორის სიმძიმის ცენტრის დაშორება წინა თვლის ღერძამდე;

$b$  – ტრაქტორის სიმძიმის ცენტრის დაშორება უკანა თვლის ღერძამდე.

ხოლო მუხლუხა ტრაქტორებისათვის და თვლიანი ტრაქტორებისათვის თვლების ფორმულით  $4X4$  ჩაჭიდების წონის კოეფიციენტი აიღება  $\lambda = 1$ .

თვლიანი ან მუხლუხა ტრაქტორებისათვის ცდისეული მონაცემების საფუძველზე გვექნება ცხრილური სახის მონაცემები  $\delta = F(P)$  დამოკიდებულებისათვის.

ცხრილი 1

$P$	$P_1$	$P_2$	.....	$P_k = P_\delta$	.....	$P_n$
$\delta$	$\delta_1$	$\delta_2$	.....	$\delta_k = \delta_\delta$	.....	$\delta_n$

$\delta_0 = a_0 + b_0$  წრფივი რეგრესიის განტოლების კოეფიციენტების ( $a_0 + b_0$ ) მოსაძებნად უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით გვაქვს განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases} a_0 \sum_{i=1}^k P_i^2 + b_0 \sum_{i=1}^k P_i = \sum_{i=1}^k \delta_i P_i \\ a \sum_{i=1}^k P_i + b_0 k = \sum_{i=1}^k \delta_i \end{cases}$$

ხოლო  $\delta = ap^2 + bp + c$  რეგრესიის განტოლების  $a$ ,  $b$  და  $c$  კოეფიციენტების მოსაძებნად ასევე მათემატიკური სტატისტიკის უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით გვაქვს განტოლებათა სისტემა:

$$\begin{cases} a \sum_{i=k}^n P_i^4 + b \sum_{i=k}^n P_i^3 + c \sum_{i=k}^n P_i^2 = \sum_{i=k}^n \delta_i P_i^2 \\ a \sum_{i=k}^n P_i^3 + b \sum_{i=k}^n P_i^2 + c \sum_{i=k}^n P_i = \sum_{i=k}^n \delta_i P_i^2 \\ a \sum_{i=k}^n P_i^2 + b \sum_{i=k}^n P_i + c(n-k) = \sum_{i=k}^n \delta_i \end{cases}$$

ბუქსაობის დიაგრამის I უბნისთვის ცხრილი 1-ის საფუძველზე უმცირეს კვადრატთა მეთოდით რეგრესიის კოეფიციენტები  $a_0$  და  $b_0$ -ის გამოსათვლელად წინასწარ უნდა იქნეს შედგენილი დამხმარე ცხრილი 2.

ცხრილი 2

$P_i$	$\delta_i$	$P_i^2$	$\delta_i P_i$
$P_1$	$\delta_1$	$P_1^2$	$\delta_1 P_1$
$P_2$	$\delta_2$	$P_2^2$	$\delta_2 P_2$
...	...	...	...
...	...	...	...
...	...	...	...
$P_k$	$\delta_k$	$P_k^2$	$\delta_k P_k$
$\sum_{i=1}^k P_i$	$\sum_{i=1}^k \delta_i$	$\sum_{i=1}^k P_i^2$	$\sum_{i=1}^k \delta_i P_i$

ბუქსაობის მრუდის II უბნისთვის ცხრილი 1-ის საფუძველზე უმცირეს კვადრატთა მეთოდით რეგრესიის განტოლების რეგრესიის კოეფიციენტის მოსაძებნად უნდა შედგეს დამხმარე ცხრილი 3.

ცხრილი 3

$P_i$	$\delta_i$	$P_i^2$	$P_i^3$	$P_i^4$	$\delta_i P_i$	$\delta_i P_i^2$
$P_k$	$\delta_{k+1}$	$P_{k+1}^2$	$P_{k+1}^3$	$P_{k+1}^4$	$\delta_{k+1} P_{k+1}$	$\delta_{k+1} P_{k+1}^2$
$P_{k+2}$	$\delta_{k+2}$	$P_{k+2}^2$	$P_{k+2}^3$	$P_{k+2}^4$	$\delta_{k+2} P_{k+2}$	$\delta_{k+2} P_{k+2}^2$
...	...	...	...	...	...	...
...	...	...	...	...	...	...
...	...	...	...	...	...	...
$P_n$	$\delta_n$	$P_n^2$	$P_n^3$	$P_n^4$	$\delta_n P_n$	$\delta_n P_n^2$

$\sum_{i=k+1}^n P_i$	$\sum_{i=k+1}^n \delta_i$	$\sum_{i=k+1}^n P_i$	$\sum_{i=k+1}^n P_i^3$	$\sum_{i=k+1}^n P_i^4$	$\sum_{i=k+1}^n \delta_i P_i$	$\sum_{i=1}^n \delta_i P_i^2$
----------------------	---------------------------	----------------------	------------------------	------------------------	-------------------------------	-------------------------------

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. რ. დვალის, ტრაქტორის თეორია, თბილისი, 1970წ., გვ. 220;
2. გ. მანია, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, თბილისი, 1976წ.

**СОСТАВЛЕНИЕ УРАВЛЕНИЯ РЕГРЕССИИ КОЭФФИЦИЕНТА  
БУКСОВАНИЯ В ЗАВИСИМОСТИ ОТ УДЕЛЬНОГО ТЯГОВОГО  
УСИЛИЯ ТРАКТОРА**

**Р. Цхварадзе, Г. Арчвадзе**

**Резюме**

В статье „Составление уравнения регрессии коэффициента буксования в зависимости от удельного тягового усилия трактора” дается с применением вероятностно – статистическими методами, в частности методом „наименних квадратов” составление математической модели коэффициента буксования в зависимости от тягового усилия трактора. В ведением понятия „удельного тягового усилия тпактора” дается возможность в зависимости от типа трактора (колесный, гусеничный) выразить зависимость  $\delta = f(P_{\text{тяг}})$ . аналитически для конкретной марки трактора с учетом почвенного фона.

**COMPILATION OF TRACTOR SKIDDING COEFFICIENT REGRESSION  
EQUATION BY SPECIFIC TRACTION FORCE**


**R. Tskhvaradze, G. Archvadze**

**Summary**

In the article “compilation of Tractor skidding coefficient regression equation by specific traction force” is stated due application of probabilistic-statistical methods, in particular, least squares method deriving of mathematical model of the tractor skidding coefficient in dependence from specific traction force. By the introduction of traction specific force is possible by taking into account of the tractor type (wheel, caterpillar) in the analytical form to express the specific brands of tractors for specific soil background skidding coefficient in analytical form  $\delta = f(P_{\text{trak}})$ .



GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპაგ 625;324

## პროფესიული თვითგამორკვევა

(პრაქტიკული დავალება)

ქ. კიწმარიშვილი, ი. ფრანგიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** პროფესიული თვითგამორკვევის პროცესი მოიცავს ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივ პერიოდს – დაწყებული ბავშვობის ასაკში გამოვლენილი პროფესიული ინტერესებითა და მიდრეკილებებით, დასრულებული სიმწიფის წლებში საბოლოო დამკვიდრებით პროფესიული საქმიანობის არჩეულ სფეროში. მთელი ამ პერიოდის მანძილზე ხდება პიროვნების, როგორც პროფესიული და სოციალური, ასევე, ცხოვრებისეული თვითგამორკვევა. “თვითგამორკვევის” ცნებაში, რომელმაც მიიღო ფართო განვითარება სოციოლოგიურ ლიტერატურაში, ხაზგასმულია პიროვნების განვითარების პრობლემის გაგების ის მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ პროფესიული და ცხოვრებისეული გზის დამოუკიდებლად არჩევასთან.

**საკვანძო სიტყვები:** მომზადება, აღზრდა, თვითდეტერმინიზაცია, პროფესიული განზრახვების ფორმირება, პროფესიული სწავლება, პროფესიული ადაპტირება.

პროფესიული თვითგამორკვევის პროცესი მოიცავს ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივ პერიოდს – დაწყებული ბავშვობის ასაკში გამოვლენილი პროფესიული ინტერესებითა და მიდრეკილებებით, დასრულებული სიმწიფის წლებში საბოლოო დამკვიდრებით პროფესიული საქმიანობის არჩეულ სფეროში. მთელი ამ პერიოდის მანძილზე ხდება პიროვნების, როგორც პროფესიული და სოციალური, ასევე, ცხოვრებისეული თვითგამორკვევა. “თვითგამორკვევის” ცნებაში, რომელმაც მიიღო ფართო განვითარება სოციოლოგიურ ლიტერატურაში, ხაზგასმულია

პიროვნების განვითარების პრობლემის გაგების ის მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ პროფესიული და ცხოვრებისეული გზის დამოუკიდებლად არჩევასთან. ამაზე ამხვილებს ყურადღებას მ.ტ. ტიტმა, რომელიც ცნებებიდან – “მომზადება”, “აღზრდა”, ცნებებზე – “ჩართვა”, “თვითგამორკვევა” – გადასვლაში ხედავს მნიშვნელოვან წინსვლას მკვლევარების ორიენტაციაში, რომლებიც ყურადღებას ამხვილებენ თვით სუბიექტის (პიროვნების) აქტივობის ანალიზზე და არა მისი, როგორც სოციალური ზემოქმედების პასიურ ობიექტზე. მართლაც, პიროვნებაზე ზემოქმედებას ახდენენ ისეთი ფართო სპექტრის განსხვავებული მოვლენები, რომ მხოლოდ ყველა ამ გავლენების შესწავლის და გააზრების პირობებშია შესაძლებელი პიროვნების მოთხოვნების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული და ცხოვრებისეული გზის არჩევა.

თვითგამორკვევა აქცენტს აკეთებს პიროვნების თვითდეტერმინიზაციაზე, რომელშიც მთავარი პოზიცია უკავია მომავალი მიზნების, გეგმების და ორიენტაციის დეტერმინაციას. პრობლემის ასეთი დაყენების დროს ცხოვრებისეული პერსპექტივის კვლევა, წარმოადგენს ძირითად მიმართულებას პროფესიული თვითგამორკვევის პრობლემების შესწავლის საქმეში.

პროფესიული თვითგამორკვევის სუბიექტის ხასიათს (მთლიანობაში, ჯამური ხასიათი) განსაზღვრავს არა მხოლოდ თვით ადამიანი, არამედ მის მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ არჩევანზე გავლენას ახდენენ ასევე, მშობლები, თანატოლები, პედაგოგები, სხვადასხვა სპეციალისტები და ა.შ. და მაშინ ისმის კითხვა: როგორია ადამიანის ცხოვრებისეულ არჩევანში თვით მისი მონაწილეობის ხარისხი?

სუბიექტის თვითგამორკვევის რთული, მრავალდონიანი ორგანიზაცია განისაზღვრება იმით, რომ ჩვეულებრივ, არჩევა გაწერილია დროში (იგი ჯერ კიდევ საჭიროებს “მომწიფებას”). გარდა ამისა, არსებობს ფაქტორების გარკვეული და მუდმივად ცვლადი იერარქია, რომლებიც განსაზღვრავენ გადაწყვეტილების მიღებას.

თვითგამორკვევის სუბიექტის წინააღმდეგობრივი ხასიათი განისაზღვრება იმით, რომ თვით “არჩევა” – ესაა რაღაცა სხვაზე, თანაბარმნიშვნელოვან ალტერნატივაზე უარის თქმა. გამოდის, რომ ამ ალტერნატივებს შორის ყოველთვის არსებობს განსაზღვრული (უპირველეს ყოვლისა ადამიანის შინაგანი, შემეცნების და დამოუკიდებლობის დონეზე) წინააღმდეგობები, რომლებიც უნდა გადაჭრას სუბიექტმა.

პროფესიული თვითგამორკვევის სხვადასხვა ეტაპებზე მყოფი ახალგაზრდობის ცხოვრებისეული პერსპექტივის კვლევა აჩვენებს, რომ “ცხოვრებისეული პერსპექტივის” შინაარსში კონცენტრირებულია იმ სოციალური გარემოს ფასეულობები და ნორმები, რომელშიც ხდება პიროვნების ფორმირება. პროფესიული თვითგამორკვევის ყოველ ეტაპს შეესაბამება განსაზღვრული

სოციალური სიტუაცია, თავისი გარემო და ატმოსფერო. პიროვნების პროფესიული ჩამოყალიბების პროცესში გამოჰყოფენ ოთხ მთავარ სტადიას: პროფესიული განზრახვების ფორმირებას; პროფესიულ სწავლებას; პროფესიულ ადაპტირება და პიროვნების ნაწილობრივ ან სრულ რეალიზაციას პროფესიულ საქმიანობაში (შრომაში). ამ გრძელვადიანი პროცესის მთავარი მომენტია პროფესიის არჩევა, რომელიც ერთმანეთისგან გამოჰყოფს პროფესიული თვითრეალიზაციის შეუზღუდავ, მაგრამ აბსტრაქტული შესაძლებლობების პერიოდს და რეალურ პერიოდს, როცა შეზღუდულია პროფესიული საქმიანობის პერსპექტივები. სწორედ ამ აზრით, შეიძლება “თვითგარმოკვევა”, იმავდროულად, ჩავთვალოთ “თვითშეზღუდავ”.

ცნება - “თვითგამორკვევა” - ნიშნავს ადამიანის დამოუკიდებლობას, ამიტომ აზრი აქვს გავარკვიოთ, როგორია ამ დამოუკიდებლობის ბუნება, პიროვნების (რომელიც ამ პროცესში მონაწილეობს) შინაგანი აქტივობის ბუნება. აქტივობის განხილვისას ასევე მნიშვნელოვანია გაგება იმისა, თუ როგორ თანაფარდობაშია იგი ცნებებთან “მოტივი”, “ნებისყოფა”, “მოქმედება”. ფსიქოლოგიაში დაგროვილია აქტივობის თეორიული და პრაქტიკული შესწავლის მდიდარი გამოცდილება, რაც შეიძლება გახდეს პიროვნების შინაგანი აქტივობის პრობლემის თანამედროვე ჭრილში განხილვის საფუძველი და რაც საშუალებას მოგცემს უკეთესად გავერკვეთ პროფესიული თვითგამორკვევის აქტივიზაციის პრობლემაში.

როდესაც იხილავს ცნებების – “აქტივობა” და “მოტივი” თანაფარდობას, კ.ა. ბულხანოვა-სლავსკაია – აღნიშნავს: “პიროვნების შინაგანი მახასიათებლების არსენალიდან, აქტივობის ზრდის საკითხში მთავარ როლს ასრულებს მისი მოტივები... აქტივობა, რომელიც მოიცავს პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთმოქმედებების მთელ სფეროს (საზოგადოებასთან, საკუთარ თავთან), წარმოადგენს მოტივების ერთობლიობას... აქტივობაში ყოველთვისაა წარმოდგენილი მოტივების იერარქია, მათი “პირველრიგითობა...” ა.ნ. ლეონტიევი აკავშირებს აქტივობას მიზანმიმართულ ქცევასთან და აღნიშნავს, რომ იგი გაცნობიერებული ხდება “მოტივის მიზანზე გადაწევის” დროს.”

მოტივაციის პროცესებში ნებისყოფის განსაკუთრებული როლის განხილვის დროს ს.ლ. რუბინშტეინი წერდა: “სინამდვილეში ყოველი ჭეშმარიტად ნებისყოფიანი მოქმედება, წარმოადგენს არჩევით აქტს, რომელიც შეიცავს შეგნებულ არჩევანს და გადაწყვეტილებას”, ასევე, იგი მიუთითებდა, რომ მარტივი აქტის დროს ნებისყოფა თითქმის უშუალოდ გადადის მოქმედებაში, ხოლო რთულის დროს – მიმდინარეობს მიზნის დასახვა, მოტივების ბრძოლა, მათი არჩევა, შესრულება და რეალიზაცია.

კითხვაზე, რა თანაფარდობაა აქტივობასა და საქმიანობას შორის, კ.ა. ბულხანოვა-სლავსკაია წერს: “... აქტივობა – ესაა საქმიანობაზე მოთხოვნილება”.

პროფესიის არჩევის სიტუაციის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ თავისთავად, “არჩევა” – ესაა გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ადამიანის მხოლოდ უახლოეს პერსპექტივას. იგი შეიძლება განხორციელებული იყოს მიღებული გადაწყვეტილების ცალკეული შედეგების როგორც გათვალისწინებით, ისე გათვალისწინების გარეშე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პროფესიის არჩევა, როგორც საკმაოდ კონკრეტული ცხოვრებისეული გეგმა, არ იქნება გასაშუალოებული ცალკეულ ცხოვრებისეულ მიზნებთან. შესაბამისად, როგორც კი ეს გეგმა რეალიზდება, კვლავ წარმოიქმნება ცხოვრებისეული გაურკვეველობა, რომელშიც მოხვედრილი ახალგაზრდა ვაჟი ან გოგონა, აირჩევს რა ამა თუ იმ პროფესიას, მოხვდება იმ ადამიანის მდგომარეობაში, რომელიც ფლობს საკმაოდ რთულ და ღირებულ “ინსტრუმენტს”, მაგრამ წარმოდგენა არა აქვს რისთვისაა იგი საჭირო და როგორ მოახერხოს მისი საშუალებით ცხოვრებაში წარმატების მიღწევა.

ამრიგად, აუცილებელია, რომ პროფესიის არჩევისას ახალგაზრდა ადამიანი ითვალისწინებდეს არამარტო უახლოეს პერსპექტივას, არამედ აუცილებლად უთანადებდეს (უთანხმებდეს) მას ცალკეულ ცხოვრებისეულ მიზნებს, რომლებიც შეიძლება რეალიზებული ყოფილიყო პროფესიული საქმიანობის არჩეულ სფეროში შრომის შედეგად. ამასთან დაკავშირებით, მომავალში ჩვენ ყურადღების აქცენტირებას მოვახდენთ ცხოვრებისეული პერსპექტივის უახლოესი და შორეული პრობლემების შეთანხმებაზე, სოციალური ცხოველმოქმედების სხვადასხვა სფეროებში პროფესიულ გეგმებზე და ცხოვრებისეულ მიზნებზე.

#### **დავალბა 1.** ერთი დღე პროფესიონალის ცხოვრებიდან<sup>4</sup>

სათამაშო სავარჯიშოს მიზანია – სავარჯიშოში მონაწილეების მიერ ამა თუ იმ სპეციალისტის პროფესიულ საქმიანობაში ტიპურის და სპეციფიკურის გაცნობიერების დონის ამაღლება. სავარჯიშო ტარდება წრეში. მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 6-დან 20-მდე. თანამის დრო 15-დან 25 წუთამდე.

თამაშის მიმდინარეობა. წამყვანი მონაწილეებთან ერთად განსაზღვრავს, რომელი პროფესიის შესახებ სურთ მათ რაც შეიძლება მეტის გაგება. მაგ., ჯგუფმა გადაწყვიტა განიხილოს ფოტომოდელის პროფესია.

<sup>4</sup> n.s. pria[n]ikovi. profesiuli TviTgamorkvevis aqtiuri meTodebi. M.: moskovis saqalaoq fsiqo-pedagogiuri instituti: AHO `ganvi-Tarebadi ganaTlebis~ centri, 2001.

ინსტრუქცია. ახლა ჩვენ ერთიანი ძალებით შევეცდებით მოგითხროთ ჩვენი მუშაკის ერთი სამუშაო დღის შესახებ (ფოტომოდელი). ეს მონათხრობი (მოთხრობა) უნდა შედგებოდეს მხოლოდ არსებითი სახელებისგან. მაგ., მოთხრობა მასწავლებლის სამუშაო დღის შესახებ შეიძლება იყოს ასეთი: ზარი – საუზმე – ზარი – გაკვეთილი – ოროსნები – კითხვა – პასუხი – სამიანი – სამასწავლებლო – დირექტორი – სკანდალი – გაკვეთილი – ფრიადოსნები – ზარი – სახელი – ძილი. ამ თამაშში ჩვენ ვნახავთ, თუ რამდენად კარგად წარმოგიდგენიათ ფოტომოდელის სამუშაო დღე, ასევე, გაქვთ თუ არა კოლექტიური შემოქმედების უნარი. თამაშში არსებობს სერიოზული საფრთხე იმისა, რომ რაიმე წარუმატებელი შტრიხით, უადგილო გახუმრებით ან კიდევ სხვა მოქმედებით, შეიძლება მთელი მოთხრობის გაფუჭება. მნიშვნელოვანი პირობა: ვიდრე დაასახელებდეთ ახალ არსებით სახელს, ყველა მოთამაშემ აუცილებლად უნდა გაიმეოროს ყველაფერი, რაც მანამდე იყო დასახელებული. მაშინ ჩვენი მოთხრობა აღქმული იქნება, როგორც მთლიანი (სრული) ნაწარმოები. იმისთვის, რომ ადვილად იყოს დამახსოვრებული არსებითი სახელები, გირჩევთ ყურადღებით დააკვირდეთ ყველა მოლაპარაკეს, თითქოს აკავშირებდეთ სიტყვას კონკრეტულ ადამიანთან.

შემდეგში, წამყვანი ამბობს პირველ სიტყვას, ხოლო დანარჩენები რიგრიგობით ასახელებენ საკუთარ არსებით სახელებს, აუცილებლად იმეორებენ ყველა იმ სიტყვებს, რაც გამოითქვა მათი რიგის დადგომამდე. თუ მოთამაშეები არ არიან ბევრი (6-8 ადამიანი), შეიძლება ორი წრის გავლა. ამ დროს თითოეულს მოუწევს ორი არსებითი სახელის დასახელება. თამაშის შედეგების შეჯამების დროს შეიძლება მონაწილეებს დაუსვათ შემდეგი კითხვები:

- გამოვიდა სრული მოთხრობა, თუ არა?
- ხომ არ გააფუჭა რომელიმემ საერთო (კოლექტიურად დაწერილი) მოთხრობა თავისი უადგილოდ ნათქვამი სიტყვით?

თუ მოთხრობა გამოვიდა არეულ-დარეული, შეიძლება ვთხოვოთ რომელიმეს, რომ მოგვითხროს თავისი სიტყვებით. შეიძლება ასევე იმის შეფასება, თუ რამდენად სწორად და ტიპობრივად იყო წარმოდგენილი განსახილველი პროფესიონალის ერთი სამუშაო დღე. გამოცდილება აჩვენებს, რომ თამაშში, როგორც წესი, მიმდინარეობს ცოცხლად (მხიარულად). ხშირად მონაწილეები არიან შემოქმედებითად დაძაბული და სწრაფად იღლებიან, ამიტომ, ზედიზედ ორზე მეტად ამ სათამაშო სავარჯიშოს ჩატარება არ შეიძლება. როგორც ვარიანტი, შესაძლებელია განიხილოთ თემა – “ძილი პროფესიონალის ცხოვრებიდან”. ამ შემთხვევაში მონაწილეები ავლენენ საკმაოდ ფანტაზიებს და შემოქმედებას, რამდენადაც საუბარია უცნაურ სიტუაციაზე, რაც უკავშირდება ძილის სამყაროს.

### ბამოყენებული ლიტერატურა

1. პაიჭაძე ნ., შრომის ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ. 2000 წ.
2. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ფარესაშვილი ნ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ., 2011 წ.
3. ქ. კიწმარიშვილი. პერსონალის მართვა. გამ. „სამართლიანი საქართველო“. 2013 წელი.
4. Управление персоналом: Учебник для вузов / Под ред. Т.Ю. Базарова, Б.Л. Еремина. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2001.
5. Базаров Т.Ю. Психологические грани изменяющейся организации. М.: Аспект пресс, 2007.

## ПРОФЕССИОНАЛЬНОЕ САМООПРЕДЕЛЕНИЕ

**К. Кицмаришвили, И. Франгишвили**

### Резюме

Процесс профессионального самоопределения охватывает длительный период жизни человека – от появления зачатков профессиональных интересов и склонностей в детском возрасте до окончательного утверждения в избранной сфере профессиональной деятельности в годы зрелости. На протяжении этого периода происходит не только собственно профессиональное, но и социальное, а вместе с тем и жизненное самоопределение личности.


## PROFESSIONAL SELF-DETERMINATION

**K. Kitsmarishvili, I. Frangishvili**

### Summary

Process of professional self-determination is a long-term period of life – started from the professional interests and inclination revealed in childhood, ending by final establishment in the chosen sphere of professional activity in full age. During this whole period a person has as professional as social and life self-determination. In notion of “self-determination” which has had wide development in sociological literature is underlined that important moment of understanding of a person’s development problem which is connected to his/her independent choice of professional and life way.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპაგ 629.113

**ავტომობილების მოძრაობის ციკლური რეჟიმების შეფასება  
ეფექტურობის კოეფიციენტით**

დ. ფრიდონაშვილი, ნ. ღიასაბიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია ავტომობილის მოძრაობის ისეთი გავრცელებული რეჟიმი, როგორცაა ციკლური მოძრაობა. ნაჩვენებია მისი კომპონენტების (გაქანება, დამყარებული მოძრაობა, თავისუფალი გორვა, დამუხრუჭება) გავლენა ავტომობილის ისეთ საექსპლუატაციო მაჩვენებლებზე, როგორცაა მოძრაობის საშუალო სიჩქარე და სითბოეკონომიურობა. განხორციელებულია სხვადასხვა პარამეტრების მქონე ჩაკეტილი ციკლური რეჟიმების შედარება. ამ პროცესის სრულყოფის მიზნით შემოთავაზებულია განზოგადებული ტექნიკური პარამეტრები, ეფექტურობის კოეფიციენტი, რომელიც ერთდროულად ითვალისწინებს მოძრაობის სიჩქარისა და საწვავის ხარჯის ცვლილებას.

**საკვანძო სიტყვები:** ციკლური რეჟიმები, საშუალო სიჩქარე, საწვავის ხარჯი, ეფექტურობის კოეფიციენტი.

**შესავალი**

საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრაობის საშუალო სიჩქარეს. ამადროულად სხვადასხვა ქვეყნებში მთელი მოხმარებული საწვავის 20...50% მოდის ავტომობილებზე. ამიტომ ექსპლუატაციის პროცესი უნდა განხორციელდეს რაც შესაძლებელია მაღალი საშუალო სიჩქარითა და საწვავის შემცირებული

ხარჯით. აღნიშნული ამოცანის გადაჭრაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შესაძლებელია მოძრაობის რეჟიმების და მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებულის – ჩაკეტილი ციკლური მოძრაობის ოპტიმალურად წარმართვით. ამიტომ, დასახელებული პრობლემისადმი მიძღვნილი ყოველი ნაშრომი აქტუალურ რიცხვს მიეკუთვნება.

## პირითადი ნაწილი


ექსპლუატაციის რეალურ პირობებში ავტომობილის მოძრაობა ატარებს ციკლურ ხასიათს, რომელიც შედგება სხვადასხვა სინშირით პერიოდულად გამეორებული ფაზებისაგან: გაქანება, დამყარებული მოძრაობა, თავისუფალი გორვა, დამუხრუჭება. სიგრძისგან დამოკიდებულებით ციკლური რეჟიმების პარამეტრები შეიძლება დაუახლოვდეს როგორც დამყარებულს, ისე დაუმყარებელს.

მოძრაობის ციკლური რეჟიმები უფრო ზუსტად ასახავენ ექსპლუატაციის პირობებს. ამიტომ ავტომობილების შეფასებისას ან არჩევისას მიზანშეწონილია მათი ციკლური რეჟიმების შედარება. ამ უკანასკნელთა მრავალფეროვნებისა და სხვადასხვაობის გამო დასახელებული კვლევის პროცესი და პრაქტიკული დასკვნების გაკეთება გართულებულია. აღნიშნულის დასაბუთებლად განვიხილოთ ნახ. 1-ზე წარმოდგენილი ორ-ორი განსხვავებული ჩაკეტილი მოძრაობის ციკლები. ა – შემთხვევაში მუდმივია მოძრაობის საშუალო სიჩქარე, ხოლო ბ – შემთხვევაში კი აჩქარებით და დამყარებული სიჩქარით გავლილი მანძილების ჯამები და ასევე თავისუფალი გორვითა და დამუხრუჭებით გავლილი მანძილების ჯამები. განსხვავებულია გაქანების ინტენსივობა, თავისუფალი გორვის ხანგრძლივობა და სიჩქარე დამუხრუჭების დასაწყისში. როგორც ვხედავთ, ა – შემთხვევაში 01257 ციკლში გაქანება სრულდება მაღალინტენსიურად, ე. ი. ძრავას სიმძლავრის უფრო სრულად გამოყენებით. ამიტომ უფრო მაღალია მქკ, ვიდრე 03467 ციკლში. ამავედროულად, ინტენსიური გაქანება იძლევა საშუალებას გავზარდოთ მანძილი თავისუფალი გორვისა (25-ის შესაბამისი მანძილი მკვეთრად აღემატება 46-ისას). ყოველივე ამის შედეგად 012575 ციკლში 03467 ციკლთან შედარებით საწვავის ხარჯი შემცირებულია. რაც შეეხება ბ – შემთხვევას, აშკარაა, რომ 01346 ციკლის შემთხვევაში მოძრაობის საშუალო სიჩქარე საგრძნობლად აღემატება 02356-ისას.

აღწერილი პროცესი რთულდება, თუ საჭირო ხდება შედარება ციკლების: 01346 (ნახ. 1, ბ) (აქვს მაღალინტენსიური გაქანება და შენელება) და 02356 (აქვს ნაკლებინტენსიური



გაქანებაც და შენელებაც). ამ ვარიანტში აჩქარების პროცესში სიჩქარის დანაკარგი ნაწილობრივ ან სრულად შეიძლება ან სრულად შეიძლება ანაზღაურდეს შენელებული მოძრაობის ფაზაში.



ნახ. 1. ავტომობილის ჩაკეტილი მოძრაობის ციკლები:

ა – მოძრაობის საშუალო სიჩქარე მუდმივია;

ბ -  $S_p + S_y = \text{const}$ ,  $S_s + S_m = \text{const}$ ;

0, 1, 2, 3, 4, 5, 6 – მოძრაობის რეჟიმების ცვლილების წერტილები;

$V_{cp}$  – მოძრაობის საშუალო სიჩქარე;

$j_m$  – შენელება დამუხრუჭებისას;

$S_p$ ,  $S_y$ ,  $S_s$ ,  $S_m$  – შესაბამისად, გაქანებისას, დამყარებული მოძრაობისას, თავისუფალი გორვისას და დამუხრუჭებისას გავლილი მანძილები.

როგორც ვხედავთ, მოძრაობის ჩაკეტილი რეჟიმების (ნახ. 1) კომპონენტების ცვლილება მნიშვნელოვან და ხანდახან ურთიერთსაწინააღმდეგო გავლენას ახდენს მის ძირითად შემფასებელ პარამეტრებზე (მოძრაობის საშუალო სიჩქარე და საწვავის ხარჯი). ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია შეფასება მოვახდინოთ ისეთი განზოგადებული ტექნიკური პარამეტრებით, რომელიც ითვალისწინებს ზემოთ დასახელებულ ორივე ფაქტორს. სწორედ ასეთ სიდიდეს წარმოადგენს ავტომობილის მუშაობის ეფექტურობის კოეფიციენტი –  $\eta_{\text{ფ. ე.}}$  უკანასკნელი წარმოადგენს სასარგებლო ტვირთის კინეტიკური ენერჯის (გადაზიდვის მოცემული სიჩქარის დროს) შეფარდებას გზის გარკვეულ მონაკვეთზე დახარჯული საწვავის თბურ ენერჯიასთან, გამოსახულს პროცენტებში:

$$\eta_{\text{ფგ}} = \frac{qV_{\text{საშ}}^2}{\gamma Q_x} C\% \quad (1)$$

$q$  – სასარგებლო ტვირთის მასა, კგ;

$V_{\text{საშ}}$  – ავტომობილის მოძრაობის საშუალო სიჩქარე, კმ/სთ;

$\gamma$  – საწვავის სიმკვრივე, კგ/ლ;

$Q_x$  – საწვავის საშუალო ხარჯი, ლ/100 კმ;

$C$  – მუდმივი კოეფიციენტი, რომელიც ბენზინზე მომუშავე ძრავებისათვის ტოლია 1/115500, ხოლო დიზელზე მომუშავე ძრავებისათვის კი – 1/113500.

## დასკვნა

წარმოდგენილი მეთოდით მოძრაობის ჩაკეტილი რეჟიმების კვლევა და მისი შედეგების გათვალისწინება ავტომობილების შეფასებისას ან შერჩევისას მნიშვნელოვნად აამაღლებს ტრანსპორტის ეფექტურობას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Вахламов В.К., Шатров М.Г., Юрчевский А.А.** Автомобили – Москва, Академа, 2003, 805 с.;
2. **დ. ფრიდონაშვილი.** ავტომობილის საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესება მექანიკური გადაცემათა კოლოფის გადაცემათა რიცხვების ოპტიმიზირებით, ს/ტ ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, №1, 2009წ, გვ. 192-195;
3. **დ. ფრიდონაშვილი, რ. თედორაძე.** საავტომობილო ტრანსპორტის შერჩევა ოპტიმიზაციის განზოგადებული ტექნიკური პარამეტრებით, ს/ტ ჟურნალი „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, №3, 2014წ, გვ. 95-98.

## **ОЦЕНКА ЦИКЛИЧЕСКИХ РЕЖИМОВ ДВИЖЕНИЯ АВТОМОБИЛЕЙ КОЭФФИЦИЕНТОМ ЭФФЕКТИВНОСТИ**

**Д. Придонашвили, Н. Диасамидзе**

### **Резюме**

В статье рассмотрен такой распространенный режим движения автомобиля, каким является замкнутое циклическое движение. Показано влияние его компонентов (разгон, устоявшееся движение, свободное качение, торможение) на такие эксплуатационные показатели автомобиля, как средняя скорость движения и топливная экономичность. Осуществлено сравнение замкнутых циклических режимов, имеющих разные параметры. С целью усовершенствования данного процесса предложен обобщенный технический параметр, коэффициент эффективности, который одновременно предусматривает изменения скорости движения и расхода топлива.


## **ASSESSMENT OF MOTOR VEHICLE MOVEMENT CYCLIC MODE BY COEFFICIENT OF EFFECTIVENESS**

**D. Pridonashvili, N. Diasamidze**

### **Summary**

In the article is considered such wide spread modes of motor vehicles movement, as closed cyclic mode, is shown the impact of it components (acceleration, steady motion, free rolling, braking) on such operational parameters of vehicle, as average speed of movement and fuel efficiency. The comparison of having various parameters closed cyclic modes is carried out. In order to perfection of these process is offered the generalized technical parameter, the coefficient of effectiveness that simultaneously will taking into account the speed of movement and variability of fuel consumption

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

შპს 656(075.8)

## სატრანსპორტო პოლიტიკის აქტუალური საკითხები

თ. შუბითიძე, ო. გელაშვილი, გ. ტაბატაძე, გ. ცერცვაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** განხილულია ტრანსპორტის სფეროში არსებული რეგიონალური პრობლემები, რომელთა სწორად გადაწყვეტა სატრანსპორტო კომპანიების საქმიანობის განვითარებისა და წარმატებითი ფუნქციონირების წინაპირობაა. ცნობილია, რომ ქვეყნის ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი ნაწილი სატრანსპორტო საქმიანობაზე მოდის, რომლის ექვეფტიანი მუშაობა ზრდის შენატანების სიდიდეს. მოცემულია სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარების ეფექტიანი გზები და დაბუშავებულია რეკომენდაციები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება სატრანსპორტო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, რომელიც ლოგისტიკურ პრინციპებს ეფუძნება. ლოგისტიკური მიდგომების გამოყენებამ არსებითი გავლენა მოახდინა როგორც სატრანსპორტო პოლიტიკაზე, ასევე მოცემული დარგის საქმიანობაზე. სტატიაში განხილულია სატრანსპორტო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, რაც მართვის ლოგისტიკური სისტემების დანერგვის აუცილებლობაზე მიუთითებს და უზრუნველყოფს სატრანსპორტო კომპანიების ფუნქციონირების ეფექტურობას.

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესი, კანონმდებლობა, ლოგისტიკა, მომსახურება, პოლიტიკა, საავტომობილო გადაზიდვები, ტვირთი, ტრანსპორტი.

## შეჯამება

ლოგისტიკის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება უზრუნველყოფს სატრანსპორტო კომპანიების ფუნქციონირებაში დანახარჯების შემცირებას. ლოგისტიკა დაკავშირებულია

კომპანიების ბიზნესის მიზნების მიღწევასთან, რაც გულისხმობს ყველა ფუნქციის და ოპერაციის დაგეგმვას, მართვას და მონიტორინგს. სატრანსპორტო საწარმოების ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია არა ცალკეული კომპანიების საქმიანობის შედეგებზე, არამედ მათი პარტნიორების: ტვირთის მიმწოდებლების, დილერების, დისტრიბუტორების, გადამზიდავების და ა.შ. საქმიანობაზეც.

### პირითადი ნაწილი

ლოგისტიკური პრინციპების პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისათვის, მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ტრანსპორტს. სატრანსპორტო და საექსპლუატაციო საწარმოებმა, რომლებიც ასრულებენ ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვებს, ერთ-ერთმა პირველებმა იგრძნეს სატრანსპორტო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა, რაც ლოგისტიკის პრინციპებს ეფუძნება. მათ მიეკუთვნება ინტერმოდალური, მულტიმოდალური და ტერმინალური სისტემები „ზუსტად დროში“ და „კარიდან კარამდე“, ტვირთების მოძრაობის თანხლები თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემები და ა.შ. ამასთან დაკავშირებით საქართველოში სატრანსპორტო დერეფნის განვითარების პერსპექტივების შესაბამისად დაწყებულია თანამედროვე ტერმინალური სისტემების და ლოგისტიკური ცენტრების შექმნა. ლოგისტიკა ფართოდ იკიდებს ფეხს სატრანსპორტო-საექსპლუატაციო საქმიანობაში. შეიქმნა ამ ტიპის საწარმოების გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ისინი თავიანთი საქმიანობით ჯერ კიდევ ვერ პასუხობენ საერთაშორისო სტანდარტებს. ამის გამო ზოგიერთ მათგანს შემცირებული აქვთ საქმიანობის მასშტაბები. სატრანსპორტო – საექსპლუატაციო ფირმები ლოგისტიკური ჯგუფების აგების დროს უნდა ითვალისწინებდნენ არა მარტო პირად, არამედ თავიანთი პარტნიორების ინტერესებსაც. გადაწყვეტას მოითხოვს აგრეთვე ლოგისტიკური მომსახურების სტანდარტიზაცია და უნიფიკაცია ევროპული სტანდარტების შესაბამისად და მათი დანერგვა.

ბოლო პერიოდში აქტიურად ვითარდება სახელმწიფოთაშორისი გლობალური ლოგისტიკური სისტემები. ეს სისტემები უზრუნველყოფენ რათა გაადვილდეს საზღვრის გავლით ინფორმაციის, საქონლის, კაპიტალისა და ადამიანთა გადაადგილება. საქართველოსათვის გლობალური ლოგისტიკური სავაჭრო, სატრანსპორტო და საინფორმაციო სისტემების განვითარებას აქვს პირველხარისხოვანი და სასიცოცხლო მნიშვნელობა, რადგანაც საშუალებას იძლევა დაჩქარდეს ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ და საინფორმაციო სივრცეში. ჩვენმა ქვეყანამ შეიძინა თავისი ფუნქცია სუვერენული ქვეყნების თანამეგობრობაში. უკვე გვაქვს გარკვეული დადებითი გამოცდილება ამ მიმართულებით. ჩვენი ქვეყანა იყო ინიციატორი

ისტორიული „აბრეშუმის გზის“ აღორძინების საკითხში. საქართველო მონაწილეობს სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემის „ტრასეკას“ პროექტის განხორციელებაში, არის კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის აქტიური რგოლი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველო ლოგისტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით დაბალ დონეზეა. ძირითადი პრინციპული პრობლემები, რომელიც ლოგისტიკური კონცეფციების განვითარების გზაზე არსებობს შემდეგია:

- დღეისათვის საქართველოში სამწუხაროდ, არასაკმარის არიან კვალიფიციური კადრები ლოგისტიკის სფეროში, სუსტადაა ორგანიზებული ლოგისტიკური სისტემების პროექტირების და შექმნის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფა, როგორც სამეცნიერო დაწესებულებები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც უნდა იყვნენ აღნიშნულით დაკავებულები, აგრეთვე არ არის დაწყებული მუშაობა ლოგისტიკის სფეროში კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის შექმნისათვის, მათ შორის დაინტერესებული საზღვარგარეთული ფირმების მოზიდვითაც;

- თანამედროვე ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების, ელექტრონული ქსელების, კავშირგაბმულობისა და ტელესაკომუნიკაციო სისტემების განვითარების დაბალი დონე;

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაბალი დონე, სატვირთო ტერმინალების არასაკმარისი რაოდენობა და დაბალი ტექნოლოგიური დონე; სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაბალი დონე;

- არასაკმარისი სატრანსპორტო კანონმდებლობა და მისი შესაბამისობა საერთაშორისო ნორმებთან, რაც აფერხებს ლოგისტიკური ჯაჭვების ეფექტურ ფუნქციონირებას, სუსტია ლოგისტიკური სისტემის საკანონმდებლო უზრუნველყოფა.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის საჭიროა ჩატარდეს ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რაც გამოასწორებს შექმნილ მდგომარეობას.

კერძოდ:

- საქართველოს კანონებში პროდუქციისა და მომსახურების სერთიფიკაციის შესახებ და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დამატებების შეტანა სატრანსპორტო ლოგისტიკური სერვისის სერთიფიკაციის შესახებ. საერთაშორისო სტანდარტებთან;

- სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური ფირმების მომსახურებათა სერთიფიკაციის სფეროში არსებული ნორმატიული აქტების ჰარმონიზაცია;

- სახელმწიფოს დონეზე სატრანსპორტო ლოგისტიკის განვითარების ხელშეწყობა და ამ საქმიანობის პრიორიტეტად აღიარება, სპეციალისტების მომზადება-გადამზადებით დაწყებული,

შესაბამისი დონის ინფრასტრუქტურით დამთავრებული, რისთვისაც საჭიროა დამუშავდეს ლოგისტიკის განვითარების ეროვნული პროგრამა.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, გარკვეული ძვრები მაინც არსებობს კადრების მომზადების კუთხით: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე გახსნილია ლოგისტიკის ქართულ-გერმანული საგანმანათლებლო პროგრამა, გერმანიის წამყვანი უმაღლესი სკოლების მონაწილეობით, რაც დადებითად იმოქმედებს ამ დარგის საკადრო მომზადების საკითხებზე.

სატრანსპორტო პოლიტიკის შემუშავების დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსებობს ლოგისტიკური პრინციპების განვითარების ორი მიმართულება: სამეცნიერო-თეორიული და საწარმოო-ტექნოლოგიური.

სამეცნიერო-თეორიული წინამძღვრები დაკავშირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასთან, რომლებსაც კავშირი აქვთ ლოგისტიკასთან, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევით და მეთოდურ სამუშაოებთან.

სატრანსპორტო სფეროში ერთიანი ლოგისტიკური პროცესის მონაწილენი ადრე ყოველთვის განიხილებოდნენ იზოლირებულად თავიანთი ლოკალური და ფუნქციონალური მიზნების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ლოგისტიკური მიდგომა კი პრაქტიკულად არ არსებობდა, თუმცა იქმნებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა წარმოების სხვადასხვა დარგში, მიმოქცევის სფეროში. მათი დანიშნულება იყო მატერიალური ნაკადების მართვა, რომელსაც ღღეს ლოგისტიკის პრეროგატივას ეკუთვნის. ამჟამად სატრანსპორტო სფეროში ფუნქციონირებენ მძლავრი სასაწყობო-სატრანსპორტო კომპლექსები; სატრანსპორტო კვანძები და სატვირთო ტერმინალები, საკონტეინერო პუნქტები, სხვადასხვა სახის კავშირგაბმულობის საწარმოები, კომპიუტერული საინფორმაციო-სადისპეჩერო ცენტრები და სხვა. იქმნება სატრანსპორტო დანიშნულების საბაზრო-საშუამავლო სტრუქტურული ელემენტები, რომელთა წარმატებული ფუნქციონირება უზრუნველყოფს დარგის განვითარებას.

ამრიგად, განხილული საკითხები შეადგენენ სატრანსპორტო პოლიტიკისა და ლოგისტიკური კონცეფციების განვითარების პერსპექტივებს.

აღნიშნულში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის ტრანსპორტს, სადაც ლოგისტიკური პრინციპების დანერგვა უზრუნველყოფს სატრანსპორტო კომპანიების ეფექტიან მუშაობას. სატრანსპორტო ლოგისტიკის წამყვანი როლის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ იგი სხვადასხვა დონით სწრაფად ინერგება სატრანსპორტო საქმიანობაში და ეფექტურს ხდის კომპანიების ფუნქციონირებას. დაწყებულია კადრების მომზადება ლოგისტიკის სპეციალობით, აგრეთვე

საშუალო და მაღალი დონის მენეჯერების მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ამ სფეროში.

### დასკვნა

ამრიგად, ლოგისტიკაში ტრანსპორტი ასრულებს მნიშვნელოვან როლს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ცალკეულ ეკონომიკურ რაიონებს, კომპანიებს, ფირმებს და საწარმოებს, რაც უზრუნველყოფს, რომ იგი ლოგისტიკური სისტემის მთავარი რგოლი იყოს.

დღის წესრიგში დგას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, მათ შორის ტრანსპორტში, ლოგისტიკის საწარმოო, ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის განვითარება და სრულყოფა, ლოგისტიკური ტვირთგამტარი სტრუქტურების სხვადასხვა დონის მაკროლოგისტიკური სისტემების შექმნა. საჭიროა დაჩქარებული ტემპებით დაინერგოს თანამედროვე ლოგისტიკური მიდგომები და სისტემები სამაშულო ბიზნესის სატრანსპორტო სისტემებში.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მკვეთრად შეიმჩნევა ლოგისტიკის მიმართ ინტერესი, როგორც ბიზნეს ორგანიზაციებიდან, ისე სამთავრობო სტრუქტურების მხრიდანაც. მაღალი ტემპებით იზრდება კომპანიების რაოდენობა, რომლებსაც სურთ დაინერგონ მართვის ლოგისტიკური სისტემები, რაც ამ მიმართულების განვითარების პერსპექტივებზე მიგვანიშნებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი. საერთაშორისო სატრანსპორტო ლოგისტიკის მართვა. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2007. -196 გვ.
2. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი, ი. ჩხეტია. საერთაშორისო სატრანსპორტო საექსპედიციო მომსახურება. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2008. -519 გვ.
3. ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მებურიშვილი. სატრანსპორტო ლოგისტიკის საფუძვლები. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2007. - 488 გვ.
4. Деминг Э. Логистика. Тверь: Изд.фирма «Альба», 1994. – 497 с.
5. Алесинская Т.В. Основы логистики. Функциональные области логистического управления (ч. 3). – Таганрог: Изд-во ТТИ ЮФУ, 2010. – 116 с.
6. ნ. ნავაძე, ო. გელაშვილი. საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები. ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2015. - 272 გვ.



## **АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ ТРАНСПОРТНОЙ ПОЛИТИКИ**

**Т. Шубитидзе, О. Гелашвили, Г. Табатадзе, Г. Церцвадзе**

### **Резюме**

Рассмотрены существующие в сфере транспорта региональные проблемы, правильное решение которых является предпосылкой для развития и успешного функционирования деятельности транспортных компаний. Известно, что значительная часть бюджетных поступлений страны приходится на транспортную деятельность, эффективная работа которой увеличивает сумму поступлений. Приведены эффективных способы развития транспортной политики и разработаны рекомендации, с помощью которых можно будет повысить эффективность транспортных операций, который основываются на принципах логистики. Применение логистических подходов оказало существенное влияние как на транспортную политику, а также на деятельность предприятий данной отрасли. В статье рассмотрены актуальные вопросы транспортной политики, что указывает на необходимость внедрения логистических систем управления и обеспечивает эффективность функционирования транспортных компаний.


## **ACTUAL ISSUES OF TRANSPORT POLICY**

**T. Shubitidze, O. Gelashvili, G. Tabatadze, G. Tsertsvadze**

### **Summary**

The existing in transport sector regional problems, proper solution of that is a prerequisite to the development and successful operation of the transport companies are considered. It is known that a significant share of the country's budgetary income is made by transport activities, effective operation of that increases the amount of incomes. Are stated the effective ways of development of transport policy and are developed guidelines due that it will be possible to raise the efficiency of transport operations, which is based on the principles of logistics. The application of logistics approaches makes a substantial impact on the transport policy, as well as the business activities of this sector enterprise activity. In the article are considered actual issues of transport policy that indicates on necessity of implementation of management logistics systems and ensure the effectiveness of the transport companies operation.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

УДК 621. 891. 621, 621. 822

## К ВОПРОСУ ПОВЫШЕНИЯ РЕССУРСА ТЯЖЕЛОНАГРУЖЕННЫХ БЕЗСЕПАТОРНЫХ ПОДШИПНИКОВ КАЧЕНИЯ

Т.А. Чхаидзе, Г.К. Джапаридзе, Л.Д. Гоголадзе, Д. Ш. Гонгладзе  
(Грузинский технический университет, ул. М. Костава №77, 0175,  
Тбилиси, Грузия)

**Резюме:** *Рассматриваются возможности повышения ресурса безсепараторных роликовых подшипников, исследуются условия эксплуатации порталных башенных кранов. Компьютерной программой смоделированы возможные расположения роликов, вызывающих экстремальные эксплуатационные условия, влекущих возникновение возрастающего момента трения и заклинивание подшипника. Рассматриваются вопросы влияния межроликового зазора, на примере игольчатых подшипников и степень износа контактирующих поверхностей в крупно-габаритных безсепараторных роликоподшипниках. Предлагаются технологические предложения для повышения их работоспособности и надежности.*

**Ключевые слова:** безсепараторные роликоподшипники, трение, износ, межроликовый зазор.

### ВВЕДЕНИЕ

Для безсепараторных роликоподшипников, установленных на порталных кранах средней грузоподъемностью, со стрелой вылета  $L=30\text{м.}$ , крестообразно установлены ролики  $d=50\text{мм.}$  под углом  $\gamma=45^{\circ}$  к горизонту, обеспечивающих восприятие радиальной и осевой нагрузок. Рассматриваются вопросы повышения их эксплуатационной надежности.

## ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Параметры однорядных роликовых опорно-поворотных кругов с зубьями внутреннего зацепления регламентированы отраслевым стандартом (ОСТ 22-1401-79) [4,5].

Целью настоящей работы является определение причин возникновения повышенного износа беговых дорожек от качения жестких роликов по беговой дорожке вплоть до возникновения заедания и заклинивания механизма поворота крана. Для процесса «холодного» заедания важное значение имеет степень дискретности контакта, износостойкость шероховатостей контактирующих поверхностей их пластичность, склонность к образованию адгезионных связей. Из внешних параметров большое значение имеет внешняя нагрузка, способствующая возникновению заедания [1].



**Рис. 1 Следы интенсивного износа роликов безсепараторного подшипника**

При невысоких контактных температурах и деформационном упрочнении материала, образовавшего в результате пластического деформирования узлы схватывания могут иметь более высокую прочность, чем основной металл, находящийся на глубине. Разрушение контактирующих поверхностей происходит в менее прочном очаге материала, образуется задир, возникает повышенный износ(рис.1). Для порталных башенных кранов, где

поворотные механизмы оснащены бесцепораторными роликовым подшипниками, работающих в интенсивном эксплуатационном режиме, наличие указанного явления влечет быстрый выход из строя опоры качения, а в целом эксплуатационные простои, влекущих значительные экономические издержки.

Для анализа этого явления рассмотрим случай качения жесткого цилиндра (ролика) по плоскому основанию с принятыми механическими характеристиками материалов [1,2]. Для малых скоростей качения усилие сопротивления качению определится [1]:

$$F = \frac{\mu v_0}{\kappa} \frac{N}{R}, \quad (1)$$

где  $\mu$  – безразмерный коэффициент Пуассона;  $N$  – действующая нагрузка;  $R$  – радиус кривизны;  $v_0$  – скорость качения;  $\kappa$  – параметр, характеризующий различие упругих свойств контактирующих материалов.

Так как при работе бесцепораторных роликподшипников, на примере порталных кранов, возникает условие заедания, относящееся к аварийным видам разрушения поверхностей трения, которое может привести к полной непригодности механизма, стремятся ограничить скорость движения и нагрузку на опоры трения [1,2,4].

Из за невысокой скорости вращения температура не оказывает существенного влияния на свойства материалов, пользуемся деформационной моделью заедания [1]. Существенным в развитии процесса заедания является как явление двухстадийного процесса, в результате которого касательные напряжения  $\tau$  достигают критического значения  $\tau^*$ .

$$T = A_r \tau_{cp}, \quad (2)$$

где  $T$  – сила трения;  $\tau_{cp}$  – сопротивление сдвигу более мягкого металла фрикционной пары;  $A_r$  – истинная площадь, на которой происходит сдвиг. Силу трения в условиях процесса пластического сдвига в относительно тонких граничных слоях трущихся тел количественно можно выразить [2]

$$\tau_{cp} = \tau_0 + \kappa \sigma, \quad (3)$$

где  $\tau_0$  – сопротивление сдвигу при нормальном напряжении  $\sigma$ , равным нулю;  
 $\kappa$  – коэффициент пропорциональности, равный отношению сопротивления металла сдвигу к прочности на отрыв [1].

Для определения условий возникновения заедания, где контактирующая пара работает в режиме, не вызывающем катастрофического разрушения поверхностей пленки, то в этом

случае, обнаруживаемые закономерности по силам трения качественно соответствуют закономерностям контактно-гидродинамической теории смазки, а общая сила трения , в этом случае равна[2]

$$F = \iint \tau_{cm} dS, \quad (4)$$

где  $\tau_{cm}$  – касательное напряжения среза(сдвига) в слое смазочного материала; S- площадь поверхности среза.

Вследствие разрушения смазывающего слоя в одной или нескольких точках сила трения этот момент увеличивается и может быть приближенно представлена в виде двух слагаемых:

$$F = \sum_{i=1}^n \tau_{icm} \Delta S_i + \sum_{k=1}^l \tau_{k.c.} \Delta S_k, \quad (5)$$

где  $\tau_{k.c.}$  – касательное напряжение на «сухой» поверхности.

Заедание в условиях качения со скольжением тел в масляной среде сопровождается неустановившимся процессом , вызывающим кусочно- периодические колебания в механической системе. Хотя и ведутся работы по созданию твердых смазочных материалов с противозадирными свойствами в тяжело нагруженных соединениях при низких скоростях скольжения, где толщина покрытия достигает до 20мкм и более использование в конструкциях бессепараторных подшипниках качения, где высокие требования к стабильной эксплуатационной надежности не исследовано [1].

В тяжело нагруженных узлах трения при решении задач нахождения предельных нагрузок, когда контактирующие материалы подвержены упругопластической деформации используют теорию упругости Г.Герца, где предел упругости достигается в точке с наибольшим касательным напряжением, расположенной на некоторой глубине под площадкой контакта. Для случая первоначального точечного контакта (сфера –плоскость) глубина  $z=0,48a$

(a- радиус площадки контакта). Соответствующее этой точке максимальное касательное напряжение,зависящее от нагрузки равно  $\tau = 0,31\rho_0$ , а по критерию Треска  $\rho_{cp} = 1,07\sigma_{см.}$  Глубина расположения точки с наибольшим касательным напряжением  $z= 0,786b$

( b-полуширина полоски контакта). Соответствующее максимальное касательное напряжение  $\tau_{max}=0,304\rho_0$ , а по критерию текучести Треска  $\rho_{cp} = 1,1\sigma_{см.}$

Связь между нагрузкой и диаметром отпечатка при пластическом вдавлвании сферы описывается законом Мейера[ 1 ]:

$$N = Ad^n \quad (6)$$

где  $A$  и  $n$  – константы для данного материала при заданном диаметре сферы ( $n$ - индекс Мейера,  $n=2...2,5$ ) и чем больше  $n$ , тем выше скорость увеличения предела текучести с ростом деформации. Размеры пластического отпечатка, образованного при внедрении стального шарика в более мягкий материал, используется для определения значения твердости по Бринеллю  $HB$ :

$$HB = \frac{N}{\pi D^2 \left( 1 - \sqrt{1 - \left(\frac{d}{D}\right)^2} \right)} = \frac{N}{\pi DH}, \quad (7)$$

где  $d$  и  $D$  – диаметры отпечатка и сферы соответственно;  $H$  – глубина отпечатка;  $HB$ - физический смысл которого есть среднее давление, действующего на проекцию отпечатка, а твердость по Майеру определяется по формуле:

$$HM = \frac{4N}{\pi d} \quad (8)$$

В результате упругого восстановления отпечатка заметно уменьшается глубина отпечатка  $H$  и почти не изменяется его диаметр  $d$ , поэтому более правильное значение твердости по Бринеллю получается при подстановке в уравнение диаметра отпечатка, а не его глубины.

Среднее давление, действующее на отпечаток, зависит от относительного внедрения  $d/D$  ( $D$ -диаметр сферы), определяющего деформацию в отпечатке, позволяющее получить зависимость между напряжениями и деформациями при измерении твердости [1]:

$$N = A \frac{d^n}{D^{n-2}}; \quad \frac{N}{d^2} = A \left(\frac{d}{D}\right)^{n-2}, \quad (9)$$

где  $N$ - упругая контактная нагрузка;  $A$  и  $n$  – константы для данного материала при заданном диаметре сферы ( $n$ - индекс Мейера);  $d$  и  $D$  – диаметр отпечатка и сферы соответственно.

В соответствии с характером деформации материалы с разными значениями параметра  $E/\sigma_{сж}$  обеспечивают различные распределения контактных напряжений при деформировании, являющиеся важной трибологической характеристикой, влияющей на трение, износ и смазку контактирующих поверхностей Среднее давление в контакте является функцией параметра, характеризующего упругопластические свойства материала ( $E/\sigma_{сж}$ ) и угла  $\beta$  (рис.2), зависящего от геометрии индентора или глубины внедрения сферы.




Рис. 2 Схема деформации при упруго-пластическом внедрении клина -а), цилиндра или сферы-б)

Указанные параметры позволяют использование теории упругости для решения контактной задачи трения и изнашивания Мусхелишвили [ 3 ], для этого используем задачу теории упругости ,рассматривающего движение круга по криволинейной поверхности – рельса при однородных и различных материалах .

Для нашего случая, зубчатый венец,по которой движутся ролики, изготовлены из различных материалов: беговая дорожка из стали 40X, а ролики из стали ШХ15.Решая эту задачу Мусхелишвили подтвердил, что использование различных материалов в процессе трения качения снижает долговечность подшипника качения.Рассматривая задачу взаимодействия круга и рельса из различных материалов в выражении [ 3 ]:

$$-\int_{-a}^b \frac{[P(t) + i\tau(t)]dt}{t-t_0} + Ai[P(t_0) + i\tau(t_0)] = Bt_0 + Ci \left( \frac{du_2}{dt_0} - \frac{du_1}{dt_0} \right), \quad (10)$$

здесь

$$A = \frac{\pi \left( \frac{x_1 - 1}{\mu_1} - \frac{x_2 - 1}{\mu_2} \right)}{\left( \frac{x_1 + 1}{\mu_1} + \frac{x_2 + 1}{\mu_2} \right)}; \quad B = \frac{R_1 + R_2}{R_1 R_2}; \quad C = \frac{4\pi}{\left( \frac{x_1 + 1}{\mu_1} + \frac{x_2 + 1}{\mu_2} \right)},$$

$$A \geq 0$$

и предположении, что вдоль линии контакта  $\tau(t_0) = -\nu P(t_0)$ . Это условие соответствует предшествующему буксованию колеса. Отделяя в уравнении (10) действительную часть и полагая  $\tau(t_0) = -\nu P(t_0)$ , получим уравнение

$$-\int_{-a}^b \frac{P(t)dt}{t-t_0} + A \nu P(t_0) = B(t_0), \quad (11)$$

чем подтверждается некоторое возрастание интегрального выражения.




Рис 3. Смоделированный роликоподшипник в программе (3D)

Для бессепараторных подшипников, с целью обеспечения минимального трения должны быть регламентированы как торцовый так боковой зазоры (рис. 4).




Рис. 4 Конструктивные соотношения в игольчатых подшипниках [4]

В игольчатых подшипниках для достижения минимального трения регламентируется торцовый и боковой зазоры (рис.4), влияющих на степень трения: в ненагруженном состоянии происходит проскальзывание и при их взаимном соприкосновении возникает повышенный коэффициент трения ( $f = 0,01 \dots 0,02$ ); длина иглы берется  $l = (5 \div 10)\delta$ , где  $\delta$ - диаметр иглы, торцовый зазор выбирается  $S = (0,1 \div 0,15)d$ , где  $d$ -диаметр внутренней беговой дорожки; высоту зазора принимают  $h = (0,7 \div 0,8)\delta$ . Боковой зазор между смежными конечными иглками составляет [4]

$$t = q \delta, \tag{12}$$



где  $\delta$  - диаметр иголок;  $q$ -коэффициент, учитывающий влияние трения: при  $q \leq 0,4$  возникает допустимое трение; при  $q > 0,8$  возникает повышенное трение, возможны перекос иголок и заклинивание[4].

Момент трения велик у тяжело нагруженных подшипников с небольшой частотой вращения и прежде всего он зависит от деформаций и проскальзывания в зоне контакта поверхностей качения[6]:

$$M_1 = f_1 P P_0 d_m, \quad (13)$$

где  $f_1$  коэффициент, зависящий от типа подшипника и величины нагрузки;  $P$ - коэффициент направления нагрузки,  $P_0$  - эквивалентная нагрузка, Н;  $d_m$  – средний диаметр подшипника.

Использование указанной методологии для крупногабаритных тяжело нагруженных роликоподшипников, устанавливаемых на порталных кранах, где конструкция опоры выполнена сварной достижение высокого качества точности затруднено, возникает предельное осевое смещение, способствующее возникновению в опорах качения повышенного трения в связи с чем прямое его использование не дает желаемых результатов и требует проведение опытно-экспериментальных работ, зависящих от множества факторов.

## ЗАКЛЮЧЕНИЕ

1. Проведенные исследования по определению эксплуатационной надежности бесцепараторных роликоподшипников указывает, что на порталных башенных кранах беговые дорожки изготовлены из стали 40Х, а стандартные ролики из стали ШХ15 не обеспечивают высокую надежность из-за разной степени износа контактирующих поверхностей;
2. Использование компьютерной программы (3D) позволяет варирование техническими характеристиками, в частности конечного межроликового зазора с целью определения оптимального зазора, исключающего возникновение повышенного трения и заклинивание подшипника;
3. На основе использования математической теории упругости по повышению долговечности роликоподшипников рекомендовано изготовление контактирующих поверхностей из одного материала, износостойкой легированной стали.

## ЛИТЕРАТУРА

1. Ю.Н.Дроздов, В.Г. Павлов, В.Н.Пучков. Трение и износ в экстремальных условиях. Москва. «Машиностроение», 1986.226с.

2. **И.В.Крагельский, М.Н.Добычин, В.С.Комбалов.** Основы расчета на трение. Москва, «Машиностроение».1977. 519с.
3. Сухое и граничное трение. Фрикционные материалы. Москва,»Издательство Академии наук СССР», Институт машиноведения, том II, 1960. 301с.
4. **Орлов.** Справочник конструктора. Том 1, Москва «Машиностроение».
5. **Руденко Н.Ф., Александров М.П., Лысяков А.Г.** Курсовое проектирование грузоподъемных машин. Москва«Машиностроение»,1971. 460с.
6. **Комиссар А.Г.** Опоры качения в тяжелых режимах эксплуатации. Москва «Машиностроение»,1987, 384с.
7. Паспорт портального грузоподъемного крана модели КБ-572Б;

## **მკიფედ ღატვირთული უსეკარატორო გორვის საკისრების რესურსის გაზრდის საკითხები**

**თ. ჩხაიძე, გ. ჯაფარიძე, ლ. გოგოლაძე, დ. გონგლაძე**  
**რეზიუმე**

განიხილება უსეპარატორო გორგოლაჭიანი გორვის საკისრების რესურსის გაზრდის შესაძლებლობები, ჩატარებულია კვლევა კომპიუტერული პროგრამით მოდელირებულია გორგოლაჭების შესაძლო განლაგება, რომელიც იწვევს ექსტრემალურ პირობებს. განიხილება გორგოლაჭებს შორის ღრეჩოს გავლენა ნემსისებრ და გორგოლაჭიან საკისრებში საკონტაქტო ზედაპირების ცვეთის დონის ხარისხზე. შეთავაზებულია ტექნოლოგიური წინადადებები მათი მუშაუნარიანობის და საიმედოობის გაზრდისათვის.


## **ISSUES TO INCREASE THE HEAVILY LOADED CAGELESS ROLLING BEARINGS RESOURCE**

**T. Chkhaidze, G. Japaridze, L. Gogoladze, D. Gongladze**

### **Summary**

Is considered the possibilities to increase the resource capacity of cageless roller bearings, is conducted a survey in the operation conditions on the tower portal crane. Due computer program is modeled the possible arrangement of rollers that causes extreme conditions. The impact of clearance between the rollers in the needle and roller bearings on the depreciation degree of contact surfaces is considered. The technological suggestions for improvement of their capability and reliability is offered.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპკ 339; 626. 9

## კორექტირების არსი და კორექტირებული საცდელი ბალანსის მომზადება

ნ. აჩუაშვილი, მ ჩინჩალაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77,  
თბილისი, საქართველო)

**რეზიუმე:** ბულალტრულ აღრიცხვას ხშირად „ბიზნესის ენასაც“ უწოდებენ. ბიზნესის სამყაროში იგი საქმიანი ინფორმაციის მოპოვების და გადაცემის საშუალებაა. ბულალტრული ინფორმაციის დამუშავება ბიზნესის ყოველდღიური საქმიანობის სისტემურ ანალიზს გულისხმობს. ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მოცემულია საბალანსო ანგარიშგებაში, საწარმოს საქმიანობის შედეგები მოგება –ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური დოკუმენტების შედგენა იწყება მას შემდეგ, როცა ყველა გარიგება, როგორც ძირითადი ასევე მაკორექტირებელი გატარებულია აღრიცხვის მთავარ ჟურნალში და გადატანილია მთავარ საბულალტრო წიგნში ამ პროცესების სისწორის შემოწმებისათვის ადგენენ ორი სახის საცდელ ბალანსს. პირველს ეწოდება არაკორექტირებადი საცდელი ბალანსი, ხოლო მეორე სრულდება ცვეთის და სხვა სახის მაკორექტირებელი გატარებების შემდეგ და მას კორექტირებულ საცდელ ბალანსს უწოდებენ. მაკორექტირებელი გატარებები მიზნად ისახავს რამდენიმე საანგარიშო პერიოდის შესაბამისი შემოსავლების და ხარჯების განაწილებას საანგარიშო პერიოდების მიხედვით. მათი საშუალებით ხდება საწარმოს ფინანსური სურათის ზუსტი შეფასება.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა, მენეჯმენტი, ბულალტერია, ბალანსი.

## შესავალი

სააღრიცხვო ციკლის სრულად წარმოდგენისათვის და წმინდა მოგების დაზუსტების მიზნით

საჭიროა მაკორექტირებელი გატარებები, კორექტირებული საცდელი ბალანსის და სამუშაო ცხრილის მომზადება. სანამ ფინანსური ანგარიშგება მომხმარებელს მიეწოდება საჭიროა მისი კორექტირება. კორექტირება ეხება ყველა იმ ანგარიშს, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის მოგება – ზარალის გაანგარიშებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ კორექტირებები ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. არსებობს შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის საკასო და დარიცხვის მეთოდები. აღნიშნული მეთოდებიდან დღეისათვის უპირატესობა ენიჭება დარიცხვის მეთოდს ამ მეთოდით შემოსავლის აღიარება ძირითადი პროცესის დამთავრებიდანვე ხდება. ეს ემთხვევა საქონლის და მომსახურების მიწოდებას, როდესაც სათანადო დოკუმენტებით გამყიდველი საკუთრების უფლებას და მასთან დაკავშირებულ რისკებს მყიდველს გადასცემს.

### ძირითადი ნაწილი

საწარმოს ფინანსური მდგრადობა უტყუარად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ყველა რეალური შემოსავალი და ხარჯია ასახული.

სწორედ დარიცხვის მეთოდის გამოყენება ხდის აუცილებელს ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე დაზუსტდეს მისი ელემენტები რაც ხდება კორექტირებადი გატარებებით. ანგარიშგების კორექტირება ხდება შემდეგი მიზეზების გამო: 1) ზოგჯერ საწარმო თანხას ღებულობს საქონლის მიწოდებამდე. ამ შემთხვევაში მას ვალდებულება წარმოექმნება მიღებული ავანსით. მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში ავანსი უკან უნდა დაბრუნდეს ე.ი. მიღებული ავანსი საწარმოსათვის გამოუმუშავებული შემოსავალი ანუ ვალდებულებაა; 2) ასევე საწარმოს შეუძლია თვითონ გადაიხადოს წინასწარ თანხა მომავალ პერიოდში საქონლის ან მომსახურების მიწოდებისათვის. ასეთი გადახდა საწარმოსათვის არის აქტივი – მოთხოვნა. გაცემული ავანსი მას თანხის უკან დაბრუნების უფლებას აძლევს; 3) მიღებული ავანსების საწინააღმდეგოა, როდესაც საქონელი მიწოდებულია და იგი ჯერ არ არის ანაზღაურებული (დებიტორული დავალიანება); 4) გაცემული ავანსის საწინააღმდეგო სიტუაციაა, როდესაც საქონელი და მომსახურება მიღებული და გამოყენებულია და მისი ღირებულება ჯერ არ არის გადახდილი, იგი ვალდებულებას წარმოადგენს.

ფინანსური ანგარიშგების მონმზადებას წინ უნდა უსწრებდეს შემოსავლების და ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების დაზუსტება, რაც კორექტირებების გზით მიიღწევა. კორექტირებადი ჩანაწერების გადატანისას შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი ანგარიშების

გახსნა და მათში მთავარი ჟურნალიდან გადაიტანება რეგისტრირებული კორექტირებული გატარება.

მაკორექტირებელი გატარებების ერთ ტიპი - ცვეთის მაკორექტირებელი გატარებები საშუალებას იძლევა ძირითადი საშუალების შექმნაზე გაწეული დანახარჯები გავანაწილოთ საანგარიშო პერიოდზე აქტივის გამოყენების შესაბამისად.

საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საწარმოებს სხვსდასხვა სახის უამრავი მაკორექტირებელი გატარებების შესრულება უხდებათ. მაკორექტირებელი გატარებების მრავალფეროვნების და დიდი რაოდენობის მიუხედავად ისინი შეიძლება ოთხ ჯგუფში გავაერთიანოთ.

1. გატარებები წინასწარ გადახდილი ხარჯების განაწილების მიზნით;
2. გატარებები ავანსად მიღებული შემოსავლების განაწილების მიზნით;
3. გატარებები დაგროვილი ხარჯების აღრიცხვის მიზნით;
4. გატარებები დაგროვილი შემოსავლების აღრიცხვის მიზნით

მაკორექტირებელი გატარებები ასახვას პოულობს, როგორც მოგება-ზარალის (შემოსავლების და ხარჯების), ასევე საბალანსო ანგარიშგების ანგარიშებზე. მაკორექტირებელი გატარებების შესრულება მოითხოვს დარიცხვის კონცეფციის ღრმა ცოდნას, დაკავშირებულია მაღალ პროფესიონალიზმთან და განსხვავდება ყოველ-დღიური გარიგებების გატარებისაგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯების განაწილება – როდესაც საწარმო ანხორციელებს ფულის გადახდას ან შეიძენს აქტივს, რომელიც ხელს უწყობს შემოსავლების გამოუმუშავებას რამოდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ხდება გადახდილი თანხის დადებულება აქტივების ანგარიშზე. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც შეუწყო ხელი ფულადმა გადახდამ შემოსავლების მიღებას სრულდება მაკორექტირებელი გატარებები. ამ დროს ხდება შესაბამისი აქტივის იმ ნაწილის ხარჯების კატეგორიაში გადაყვანა, რომელიც გამოყენებული, დახარჯული იქნა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

წინასწარ გადახდილი ხარჯების განაწილების მიზნით შესრულებული მაკორექტირებელი გატარება შედგება შესაბამისი ხარჯის დებუტირებისა და შესაბამისი აქტივის კრედიტირებისაგან. ამ ტიპის გარიგებების მაგალითებს წარმოადგენს ცვეთის დარიცხვისა და წინასწარგადახდილი ხარჯების განაწილების მიზნით შესრულებული გატარებები.

მაგალითად საწარმომ 600 ლარად შეიძინა შენობის ერთ წლიანი სახანძრო დაზღვევის პოლისი. ეს თანხა წარმოადგენს წინასწარ გადახდილი ხარჯის კატეგორიას და ხდება მისი აქტივების ანგარიშზე დებუტირება:

დებუტი – წინასწარ გადახდილი დაზღვევის ხარჯი – 600

კრედიტი – ფული – 600

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სადაზღვევო პოლისის შეძენაზე წინასწარ გადახდილი ხარჯის განაწილების მიზნით სრულდება შემდეგი მაკორექტირებელი გატარება.

დებუტი – დაზღვევის ხარჯი – 50

კრედიტი – წინასწარ გადახდილი დაზღვევის ხარჯი – 50

დაზღვევის წინასწარგადახდილი ხარჯი განაწილდება ერთ თვეზე ( $600/12=50$ )

აღნიშნული მაკორექტირებელი გატარების შედეგად მოხდა წინასწარ გადახდილი ხარჯების (აქტივის) შესაბამისი ნაწილის 50 ლარის, მიმდინარე საანგარიშო პერიოდის ხარჯებში გადაყვანა სადაზღვევო ხარჯების ნაწილი „უკან დაბრუნდა“ წინასწარ გადახდილი დაზღვევის სახით და მოხდა შესაბამისი აქტივის მიმდინარე ღირებულების შემცირება სათანადო სიდიდის თანხით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხარჯების სწორად განაწილების მიზნით გამოიყენება შემდეგი მაკორექტირებელი გატარება

დებუტი – წინასწარ გადახდილი დაზღვევის ხარჯი - 550

კრედიტი – დაზღვევის ხარჯი - 550

მაგალითად საწარმომ შეიძინა 720 ლარის ოფისის მარაგები (წებო, სამაგრები, საბუღალტრო ფორმები და სხვა). ოფისის მარაგების შეძენაზე გადახდილი თანხა აისახება აქტივის ანგარიშზე

დებუტი – ოფისის მარაგები - 720

კრედიტი – ფული - 720

საანგარიშო პერიოდის ბოლოს საწყობში არსებული გაუნარჯავი ოფისის მარაგების თანხამ შეადგინა 500 ლარი. ე. ი. გახარჯულია 220. აქტივის ეს ნაწილი მაკორექტირებელი გატარებით გადადის ხარჯებში.

დებუტი – ოფისის მარაგზე ხარჯი – 220

კრედიტი – ოფისის მარაგები - 220

ზოგჯერ მომხმარებლები წინასწარ იხდიან მომსახურების ან შესასყიდი საქონლის ღირებულებას, თავისი ეკონომიკური შინაარსით წინასწარ მიღებული თანხები არ წარმოადგენს შემოსავლებს, რადგან ჯერ არ მომხდარა მათი გამოძევა. მომხმარებლისაგან წინასწარ ფულის

მიღების ოპერაცია აღირიცხება მიღებული ავანსების ანგარიშზე. ანგარიში მიღებული ავანსები აისახება საბალანსო ანგარიშგებაში ვალდებულების განაკვეთში. სხვა ვალდებულებებისგან განსხვავებით მიღებული ავანსების დაფარვა უნდა მოხდეს მათი გამომუშავებით და არა თანხის გადახდით, როგორც ამას ადგილი აქვს ბანკის ვალის დაფარვის შემთხვევაში.

მიღებული ავანსების განაწილების მიზნით ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს სრულდება მაკორექტირებელი გატარებები:

დებეტი – მიღებული ავანსები

კრედიტი – შემოსავლები

თანხა განისაზღვრება მიღებული ავანსის იმ ნაწილის სიდიდით, რომლის გამომუშავებაც განხორციელდა შესაბამის საანგარიშო პერიოდში.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კორექტირებას ექვემდებარება დაგროვილი ხარჯებიც, ეს ის ხარჯებია, რომელსაც უკვე ჰქონდა ადგილი, ხელი შეუწყვეს შემოსავლის მიღებას, მაგრამ მათი გადახდა მოხდება მომავალში (მაგ. სესხის პროცენტი, რომელიც ყოველდღიურად გროვდება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და მისი გადახდა მოხდება მომავალში სესხის უკან დაბრუნების თარიღის მომენტისა).

საწარმომ შეიძლება გამოიმუშავოს შემოსავალი მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, მაგრამ შესაბამის ანგარიშს მომხმარებელს მომავალში გაუგზავნის, აღნიშნული მიეკუთვნება დაგროვილი შემოსავლის კატეგორიას. მსგავსი შემთხვევა შეიძლება დაკავშირებული იყოს იგივე მომხმარებლისათვის მომავალშიც მომსახურების გაწევასთან და მხოლოდ სრული მომსახურების დასრულების შემდეგ გაეგზავნება ანგარიში.

დაგროვილი შემოსავლის აღრიცხვის მაკორექტირებელი გატარება:

დებეტი – მისაღები შემოსავლები

კრედიტი – შემოსავალი მომსახურებიდან

თანხის მიღების შემთხვევაში: დებეტი – ფული

კრედიტი – მისაღები შემოსავლები

მიკორექტირებელი გატარებების დასრულების შემდეგ ბუღალტერმა უნდა მოამზადოს კორექტირებული საცდელი ბალანსი რაც გულისხმობს ყველა იმ ხარჯის და შემოსავლის დამატებას რაც რეალურია და საცდელ ბალანსში არ იყო მოცემული. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა უტყუარად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო პერიოდის ყველა შემოსავალი და ხარჯია ასახული. სწორედ ამ ხარჯების და შემოსავლების ზუსტად წარმოჩენას ემსახურება კორექტირებები.

ყველა აუცილებელი კორექტირებადი გატარების შემდეგ უკვე შესაძლებელია მომზადდეს მოგება-ზარალის ანგარიშგება რასაც მოსდევს შემოსავლების და ხარჯები ამსახველი ანგარიშების დახურვები და მათი შეპირისპირება მოგება-ზარალის ანგარიშზე სადაც გამოიკვეთება საწარმოს საბოლოო ფინანსური შედეგი. ხოლო ამის შემდეგ მზადდება ფინანსური ანგარიშგება და დამთავრდება საწარმოს საალრიცხვო ციკლი.

## დასკვნა

საწარმოების წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია ახალი, მუდმივი და უტყუარი ინფორმაციის ნაკადებზე. ასეთი ინფორმაციის ერთ-ერთ საიმედო წყაროს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგება. საწარმოები ერთ წლიანი ინტერვალებით ადგენენ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას და წარუდგენენ ინვესტორებს, ბანკირებს, სახელმწიფო ორგანოებს და დაინტერესებულ პირებს. მრავალი საწარმო შიდა გამოყენების მიზნით ფინანსურ ანგარიშგებას ყოველკვარტალურად და ყოველთვიურად ამზადებს, რათა საწარმოს მენეჯერებს უფრო დეტალური წარმოდგენა შეექმნათ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ, რომლებიც ასახვას პოულობენ მხოლოდ ერთი საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებსა და ხარჯებზე და შეაფასონ გარიგებები, რომელთა ზეგავლენაც განისაზღვრება რამდენიმე საანგარიშო პერიოდზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუღალტრული აღრიცხვა. ა. ხორავა; ნ. კვატაშიძე; ნ.სრესელი; ზ. გოგრიჭიანი. თბილისი 2014წ.
2. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები ე. ხარაბაძე. თბილისი 2007წ.
3. ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები. (სახელმძღვანელო ESM-თბილისის სტუდენტებისათვის) თბილისი 2001წ.
4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) და ინტერპრეტაციების ჩათვლით 2007წ. 1 იანვრის მდგომარეობით თბილისი 2007წ.



## **СУТЬ КОРРЕКТИРОВКИ И ПОДГОТОВКА СКОРРЕКТИРОВАННОГО ПРОБНОГО БАЛАНСА**

**М. Ачуашвили, М. Чинчладзе**

### **Резюме**

Бухгалтерский учёт часто называют “языком бизнеса”. В мире бизнеса он является средством приобретения и передачи деловой информации. Обработка бухгалтерской информации включает в себя систематический анализ данных повседневной деятельности бизнеса. Информация о финансовом положении компании представлена в бухгалтерском счёте, итоги производственной деятельности предприятия – в счёте прибыли и убытков. Составление финансовых документов начинается после того, как каждая сделка, как основная, а также корректирующая была записана в главном журнале, и перенесена в главный гроссбух. Для проверки точности этих процессов составляют два типа пробного баланса. Первый называется некорректированный пробный баланс, в то время как второй составляется после проведения амортизации и других корректирующих записей, и ООИ называется скорректированным пробным балансом. Корректирующие записи ставят целью распространение соответствующей доходов и расходов в течение отчетных периодов. Они позволяют провести точную оценку финансовой картины предприятия.


## **THE ESSENCE OF ADJUSTMENTS AND PREPARATION OF ADJUSTED TRIAL BALANCE**

**M. Achuashvili, M. Chinchladze**

### **Summary**

განვსაზღვროთ უმოკლესი მანძილი წერტილიდან სიბრტყეზე. მოცემულია  $M$  წერტილის ინვერსიული  $M'$  წერტილი და უნდა განვსაზღვროთ მანძილი  $\omega'$  წრეწირამდე, რომელიც არის ეკვატორული წრეწირის ანასახი. ჩვენ უკვე განვიხილეთ წერტილის წინასახის განსაზღვრის მაგალითი. იმისათვის, რომ ვიპოვოთ  $M'$  წერტილის წინასახე  $M'$  წერტილი შევაერთოთ  $S'$  ცენტრთან ავღმართოთ მართობი  $S'M'$ -ის მიმართ  $\omega'$  წრეწირის გადაკვეთამდე და  $S'$ -დან დავეშვათ მართობი  $S_M M'$ -ზე.  $M$  წერტილის აპლიკატა  $Z_M$  გადავზომოთ  $X$  ღერძის მიმართ აღმართულ მართობზე.  $M_0$  არის საძიებელი წერტილი. ახლა კი განვსაზღვროთ  $\omega'$  წრეწირის წინასახე. მისი დიამეტრალურად საწინააღმდეგო  $K'$  და  $L'$  წერტილები შევაერთოთ  $S_L$ -თან.  $S$  ცენტრიდან დავეშვათ მართობები  $S_L L'$  და  $S_L K'$  მივიღებთ შესაბამისად  $L$  და  $K$  წერტილებს. მიღებული  $LK$  მონაკვეთი არის  $\omega'$  წრეწირის წინასახე.  $M_0$  წერტილიდან  $LK$  მონაკვეთზე დაშვებული  $M_0 N_0$  მართობი არის საძიებელი მანძილი  $M'$  წერტილიდან  $\omega'$  წრეწირამდე (ნახ. 3).




ნახ. 3.

განვსაზღვროთ კუთხე ორ სიბრტყეს შორის როდესაც წრეწირები არ იკვეთებიან (ნახ. 4). ეს წრეწირებია  $\omega'$  და  $\beta'$ .  $\beta'$  წრეწირის წინასახე განვსაზღვროთ ჩვენთვის ნაცნობი ხერხით:  $M'$  და  $N'$  წერტილებს შევეერთოთ  $S_2$  და  $S'_1$  ცენტრიდან დაშვებული მართობები  $S_2 N'$  და  $S_2 M'$ -ზე მოგვცემს  $\beta'$  წრეწირის წინასახეს –  $M_2 N_2$ -ს.

$\omega'$  წრეწირის  $S'_1$  ცენტრზე და  $\beta'$  წრეწირის  $S'_0$  ცენტრზე გამავალ წრფესა და  $M_2 N_2$  წრფეს შორის მდებარე  $\alpha$  კუთხე არის საძიებო კუთხე. თუ  $M'$  და  $N'$  წერტილების აპლიკატებს შორის სხვაობას აღვნიშნავთ  $\Delta Z$ -ით, ხოლო აბსციესებს შორის სხვაობას  $\Delta X$ -ით, მაშინ მივიღებთ

$$\alpha = \arctan \frac{\Delta Z}{\Delta X}$$



მაშასადამე,  $\beta'$  წრეწირის წინასახის –  $M_2N_2$  წრფის გადაკვეთის კუთხე წრეწირების ცენტრების შემაერთებელ  $S_1S_0$  წრფესთან არის საძიებელი სიდიდე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯ. უფლისაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, თ. ბარამაშვილი – ინვერსია და მისი გამოყენება, 2013წ, თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“;
2. Уплисашвили Д., - «Теория проектирования пространственных механизмов на основе плоского моделирования» - диссертация д.т.к. Алмаата 1989 г.
3. Джавахишвили Н. П. „РЕШЕНИЯ ТЕХНИЧЕСКИХ ЗАДАЧ НА ОСНОВЕ ГЕОМЕТРИЧЕСКИХ ПРЕОБРАЗОВАНИЙ“, Технический Университет, Тбилиси 2006г.

4. თ. ბარამაშვილი - „თანამედროვე ბეჭდვითი მედიის და სარეკლამო ხელოვნების სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები და მათი აღმოფხვრის შესაძლებლობები” – სალოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2011წ.

## **SOLVING METRIC PROBLEMS USING INVERSION**

**N. Javakhishvili, T. Baramashvili**

### **Summary**

The article offers an original way of solving geometric problems. Specific methods of problem solving is given as well as variety of cases in which one could use inversion. Using inversion considerably simplifies the process of problem solving. Inversive geometry is a unique way of reversing points on a plane. It is very practical, given that, using this method, one could turn problem including circles into simpler ones, reading straight lines.


## **РЕШЕНИЕ МЕТРИЧЕСКИХ ЗАДАЧ С ПОМОЩЬЮ ИНВЕРСИИ**

**Н. Джавахишвили, Т. Барамашвили**

### **Резюме**

В статье рассматривается оригинальный метод решения геометрических задач, дама специфическая методика их решения. Предложены некоторые свойства инверсии и их применения для решения метрических задач. Применение инверсионного преобразования значительно упрощает решение геометрических задач. Преобразование геометрической инверсии – это особый тип преобразование точек на плоскости. Практическая польза от этого преобразование в том, что они позволяем свести решение геометрической задачи с окружностями к решению соответствующей задачи с прямыми, которая обычно имеет гораздо более простое решение.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპაკ 621.866.12

**ზოგიერთი პოზიციური ამოცანის ამოხსნა  
მაღლივნიშნულიანი გეგმილების მეთოდის გამოყენებით**

ნ. ნოზაძე, თ. ბერიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. №77, 0175 თბილისი,  
საქართველო)


**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია მხაზველობითი გეომეტრიის ზოგიერთი პოზიციური ამოცანის ამოხსნა პროფ. ა. შავგულიძის მიერ დამუშავებული „მაღლივნიშნულიანი გეგმილების მეთოდის“ გამოყენებით. ეს მეთოდი დამყარებულია პროფ. ი. ჯაფარიძის დამოუკიდებელი მოდელების სისტემის შემადგენელი **a-5** ტიპის მოდელის პროექციული რეალიზაციის ერთ-ერთ შესაძლო სქემაზე. კერძოდ, დაგეგმილების კონსტრუქციული აპარატი გამოყენებულია კერძო შემთხვევის დროს, როდესაც ჰიპერბოლური წრფივი კონგრუენცია ორთოგონალურია. ამავე დროს, კონგრუენციის ერთი დირექტრისა **d2** ინციდენტურია **Π2**-ის და მართობულია **Π1**-ის, ხოლო მეორე დირექტრისა **d1** არის **Π1** სიბრტყის არასაკუთრივი წრფე. ამ მოდელს შეთავსებული აქვს დეკარტეს მართკუთხა კოორდინატთა სისტემა ისე, რომ **d2** ემთხვევა **z**-ს. შედეგად მიიღება კომპლექსური ნახაზი, რომელიც წარმოადგენს სამგანზომილებიანი სივრცის ორთოგონალური გეგმილების ნახაზს, შევსებულს მაღლივი\_ნიშნულებით **z=d2** წრფეზე.

**საკვანძო სიტყვები:** ჰიპერბოლური წრფივი კონგრუენცია, დირექტრისა, მოდელირებული სივრცე, მაღლივი ნიშნულების წრფე, მსგავსი წერტილების რიგი.


**პირითადი შინაარსი**

პროფ. ა. შავგულიძის მაღლივნიშნულიანი გეგმილების მეთოდს საფუძვლად უდევს **a-5** მოდელის (პროფ. ი. ჯაფარიძის მიერ დამუშავებული დამოუკიდებელი მოდელების სისტემა) კონსტრუქციული აპარატის ერთ-ერთი კერძო სქემა.

ეთქვათ, სივრცის თითოეული წერტილის დაგეგმილება ხდება ერთი მხრივ  $S$  ცენტრიდან ცენტრალური დაგეგმილებით, მეორეს მხრივ კი ჰიპერბოლური წრფივი კონგრუენციის საშუალებით, რომლის ერთ-ერთი დირექტრისა  $d_1$  ინციდენტურია  $\Pi_{12}$ -ის. ადვილად დავრწმუნდებით, რომ  $R_{2+1}$  და  $R_3$  შორის არსებობს ურთიერთცალსახა შესაბამისობა.  $O_1$  წერტილი არის  $S$  ცენტრის ანასახი წრფივი კონგრუენციის სხივების საშუალებით.  $a$  წრფე კი  $d_2$  დირექტრისის ცენტრალური გეგმილია. ნებისმიერი წყვილი წერტილებისა  $A_1 \in d_1$  და  $A \in \Pi_{12}$  ცალსახად განსაზღვრავს  $A_0$  წერტილს სივრცეში (სურ. 1).




სურ. 1




სურ. 2

პროექციული სივრცის რომელიმე მოდელის ზოგადი სქემიდან კერძო სქემაზე გადასვლის დროს (მაგალითად, არასაკუთრივი სიბრტყის მქონე გაფართოებული ევკლიდეს სივრცის მოდელებისათვის) ცენტრალური ელემენტები მოდელირებული სივრცის არასაკუთრივი სიბრტყის ინციდენტურია.



სურ. 3

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც დაგეგმილება ხდება ისეთი ორთოგონალური კონგრუენციის სხივებით, რომლის ერთი დირექტრისა  $d_2$  ინციდენტურია  $\Pi_2$ -ის და მართობულია  $\Pi_1$ -ის, ხოლო მეორე დირექტრისა  $d_1$ ,  $\Pi_1$  სიბრტყის არასაკუთრივი წრფეა (სურ.2). სამგანზომილებიანი სივრცის ეს მოდელი გეგმილთა სიბრტყეების შეთავსების შემდეგ მიიღებს სახეს: ნახაზის თავისუფალ ადგილზე აღებულია წრფე, რომელზეც დანიშნულია  $O$  სათავე. ამ წრფეს პირობითად ეწოდება მაღლივი ნიშნულების წრფე(სურ.3).




სურ. 4

**R3** სივრცის ყველა წერტილი გამონაკლისის გარეშე კოორდინირებულია დეკარტეს მართკუთხა  $xyz$  კოორდინატთა სისტემაში, რომლის  $xoy$  საკოორდინატო სიბრტყე შეთავსებულია  $\Pi_1$ -თან, ხოლო მაღლივი ნიშნულების  $d_2$  წრფე –  $z$  ღერძთან. ამრიგად, განხილული მოდელის კომპლექსური ნახაზი წარმოადგენს სამგანზომილებიანი სივრცის ორთოგონალური გეგმილების ნახაზს (გეგმას) შევსებულს მაღლივი ნიშნულებით  $z=d_2$ -ზე.

მე-4-ე სურათზე მოცემულია სამგანზომილებიანი სივრცის კუთვნილი წრფე მისი ორი წერტილით  $A_0$  და  $B_0$ . ამ წრფეზე მდებარე ნებისმიერი წერტილი  $C_0$  ან  $D_0$  ცალსახად განისაზღვრება მსგავსი წერტილების რიგის საშუალებით. გრაფიკული აგებების თანმიმდევრობა ნახაზზე ნაჩვენებია ისრებით.


მე-5-ე სურათზე მოცემულია სამგანზომილებიანი სივრცის კუთვნილი სიბრტყე სამი არაკოლინეარული  $A_0$ ,  $B_0$  და  $C_0$  წერტილით. ამ სიბრტყის კუთვნილი ნებისმიერი წერტილი  $D_0(DD_1)$  განისაზღვრება წერტილისა და სიბრტყის ურთიერთკუთვნილების პირობის თანახმად: შევაერთოთ წერტილი  $A$  წერტილთან, ხოლო  $B$  წერტილი  $C$  წერტილთან. მსგავსი წერტილების

რიგის საშუალებით ჯერ განსაზღვროთ  $K_0$  წერტილის  $K_1$  გეგმილს –  $K_0=(A_0D_0)\cap(B_0C_0)$ , ხოლო შემდეგ  $D_0$  წერტილის დანაკლის  $D_1$  გეგმილს მალღივი ნიშნულების  $z = d_2$  წრფეზე. აქვე აგებულია აგრეთვე  $A_0B_0C_0$  სიბრტყის კუთვნილი დონის წრფე, რომელიც განსაზღვრულია  $C$  და  $H$  წერტილებით.



სურ. 5

მალღივნიშნულებიანი გეგმილების მეთოდი რიცხვითნიშნულებიანი გეგმილებისაგან იმით განსხვავდება, რომ სამგანზომილებიანი სივრცის კუთვნილი წერტილის რიცხვითი ნიშნული შეცვლილია წრფის მონაკვეთით, რომელიც მონიშნულია მალღივი ნიშნულების  $z = d_2$  წრფეზე.




სურ. 6

განვიხილოთ მსაზველობითი გეომეტრიის ზოგიერთი პოზიციური ამოცანის ამოხსნა მალლივნიშნულებიანი გეგმილების მეთოდის გამოყენებით:

**ამოცანა 1.** მოცემულია ზოგადი მდებარეობის წრფე მისი ორი წერტილით  $m_0 (A_0B_0)$ . მოცემულ  $C_0$  წერტილზე ავაგოთ მოცემული  $m_0$  წრფის მკვეთი  $n_0$  წრფე (სურ. 6).

$C_0$  წერტილზე გადის  $m_0$  წრფის მკვეთი  $\omega^1$  წრფე. ძირითად გეგმილთა სიბრტყეზე ავაგოთ  $n \in C$ , რომელიმე  $n_0$  წრფის გეგმილი.  $K = m \cap n$  წერტილი არის  $m_0$  და  $n_0$  წრფეების გადაკვეთის  $K_0$  წერტილის გეგმილი ძირითად გეგმილთა სიბრტყეზე, ხოლო  $K_1$  მალლივი ნიშნული განისაზღვრება მსგავსი წერტილების რიგის საშუალებით.

**ამოცანა 2.** მოცემულია ორი  $a_0(A_0D_0)$  და  $b_0(C_0B_0)$  წრფე. გამოვარკვიოთ მათი ურთიერთმდებარეობა (სურ. 7).




სურ. 7

ეს წრფეები სივრცეში შეიძლება იყოს გადაკვეთილი ან აცდენილი.  $a$  და  $b$  გეგმილების გადაკვეთის წერტილი მივაკუთვნოთ ჯერ  $a_0(A_0D_0)$  წრფეს და მსგავსი წერტილების რიგის საშუალებით განვსაზღვროთ მისი მალლივი ნიშნული  $K_1$ . შემდეგ იგივე წერტილი მივაკუთვნოთ  $b_0(C_0B_0)$  წრფეს და განვსაზღვროთ მისი მალლივი ნიშნული  $T_1$ . როგორც ვხედავთ  $T_1 \neq K_1$ . რაც იმას ნიშნავს, რომ  $a_0(A_0D_0)$  და  $b_0(C_0B_0)$  წრფეების  $a$  და  $b$  გეგმილების გადაკვეთის წერტილში შეთავსებულია ორი  $-K_0$  და  $T_0$  წერტილის გეგმილი. ე.ი. მოცემული  $a_0(A_0D_0)$  და  $b_0(C_0B_0)$  წრფეები აცდენილი წრფეებია.

**ამოცანა 3.** მოცემულია ზოგადი მდებარეობის  $\alpha_0(A_0B_0C_0)$  სიბრტყე და წრფე  $t_0(M_0N_0)$ . ვიპოვოთ წრფისა და სიბრტყის გადაკვეთის წერტილი (სურ.9).




მე-8-ე სურათზე ნაჩვენებია ამ ამოცანის გადაწყვეტის სტერეომეტრიული სქემა.  $t_0(M_0N_0)$  წრფეს  $\Pi_{12}$  სიბრტყეზე აგეგმილებს მისი მართობული  $\gamma_0$  სიბრტყე.  $\gamma_0$  სიბრტყე  $\alpha_0(A_0B_0C_0)$  სიბრტყეს გადაკვეთს  $n_0(1_02_0)$  წრფეზე.  $t_0(M_0N_0)$  და  $n_0(1_02_0)$  წრფეების  $t(MN)$  და  $n(12)$



სურ. 8

გეგმილები  $\Pi_{12}$  სიბრტყეზე იქნება შეთავსებული. მოცემული  $t_0(M_0N_0)$  და  $n_0(1_02_0)$  წრფეების თანაკვეთის  $K_0$  წერტილი საძიებელი წერტილია.  $K_0$  წერტილი განისაზღვრება მისი  $K$  გეგმილით ძირითად გეგმილთა სიბრტყეზე და  $K_1$  მაღლივი ნიშნულით  $z=d_2$  მაღლივი ნიშნულების წრფეზე.



სურ. 9

$K_1$  მაღლივი ნიშნულის გასაგებად  $z=dz$  მაღლივი ნიშნულების წრფეზე(სურ. 9) ავსებთ „დამხმარე მართკუთხა სამკუთხედები“  $1_0$  და  $2_0$  წერტილებით განსაზღვრული წრფის მონაკვეთისათვის და  $3_0$  და  $4_0$  წერტილებით განსაზღვრული წრფის მონაკვეთებისათვის ( $3_0 \in t_0$  და  $4_0 \in t_0$ ).

ამ სამკუთხედების ჰიპოტენუზების გადაკვეთის წერტილის მაღლივი ნიშნული საძიებელი  $K_0$  წერტილის მაღლივი ნიშნულია, ხოლო ძირითად გეგმილთა სიბრტყეზე  $K$  წერტილის მდებარეობა განისაზღვრება მსგავსი წერტილების რიგის საშუალებით.

### დასკვნა

მაღლივი ნიშნულების წრფეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სივრცის გეომეტრიული მოდელირების თვალსაზრისით, კერძოდ იგი წარმოადგენს ბინარული მოდელის გადაგვარებულ ველს. მიუხედავად იმისა, რომ ველი გადაგვარებულია, შესაძლებელია დამხმარე გრაფიკული აგებების საშუალებით გადაწყვეტილი იქნას სივრცითი ამოცანები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **Джапаридзе И.С.** – Начертательная геометрия в свете геометрического моделирования, изд. Ганатлеба, Тбилиси 1983г.;
2. **Шавгулидзе А. С.** \_ Разработка одной интерпретации метода проекций с отметками для  $R_3$  и  $R_4$ , изд. Технический Университет, Тбилиси, 2001г.;
3. **ბ. ნოზაძე** – მაღლივი ნიშნულებიანი გეგმილები და მისი კომპიუტერული მხარდაჭერა, დისერტაცია, სტუ, 2012წ.

## РЕШЕНИЕ НЕКОТОРЫХ ПОЗИЦИОННЫХ ЗАДАЧ МЕТОДОМ ПРОЕКЦИИ С ВЫСОТНЫМИ ОТМЕТКАМИ

Н. Нозадзе, Т. Беридзе

### Резюме

В данной работе рассмотрено решение некоторых позиционных задач начертательной геометрии методом проекций с высотными отметками, разработанной профессором А. С.

Шавгулидзе. Метод основан на одной из схем проекционной реализации модели **a-5** системы независимых моделей проф. И. С. Джапаридзе. Конструктивный аппарат проецирования используется для частного случая, когда гиперболическая линейная конгруэнция ортогональная, так что одна директриса **d<sub>2</sub>** совмещена с **Π<sub>2</sub>** и перпендикулярна к **Π<sub>1</sub>**, а вторая-**d<sub>1</sub>** является несобственной прямой плоскости **Π<sub>1</sub>**.

С моделью совмещено Декартова прямоугольная система координат, так что **d<sub>2</sub>** совпала с осью – **z**. Таким образом, комплексный чертёж данной модели представляет собой чертёж ортогональных проекций точек пространства **R<sub>3</sub>** дополненный высотными отметками на **z=d<sub>2</sub>**.


## **SOLUTION OF SOME POSITIONAL TASKS USING HIGH LEVEL ELEVATION METHOD**

**N. Nozadze, T. Beridze**

### **Summary**

In presented work there are considered solution of some positional problems of descriptive geometry using the method of high level elevations, developed by prof. A. Shavgulidze. This method is based on possible scheme of projective realization of **a-5** type model, which is part of independent model systems by prof .I.Djaparidze/. Particularly, constructive apparatus of projections is used in particular case, when we have hyperbolical linear congruency is orthogonal . In the same time one directrix of congruency **d<sub>2</sub>** belongs to **Π<sub>2</sub>** and is perpendicular to **Π<sub>1</sub>**, the other directrix **d<sub>1</sub>** represents a line at infinity of a plane **Π<sub>1</sub>**. This model is placed with Cartesian rectangular coordinate system in such way, that **d<sub>2</sub>** is coincided with **z** axes. In result accepted complex drawing is a drawing of orthogonal projection of a space **R<sub>3</sub>** supplemented with elevations on **z=d<sub>2</sub>** axes.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპა 621.866.12

**სამთო-გეოლოგიური საინჟინრო პრაქტიკის ამოცანების  
ამოხსნა მაღლივნიშნულებიანი გეგმილების მეთოდის  
გამოყენებით**

ნ. ნოზაძე, თ. ბერიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. №77, 0175 თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** წარმოდგენილი ნაშრომში სამთო-გეოლოგიური საინჟინრო პრაქტიკის ოთხი ამოცანა გადაწყვეტილია მაღლივნიშნულებიანი გეგმილების მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ რივი დამხმარე აგებებისა გატანილია ძირითადი გეგმის გარეთ და ამით მიღწეულია ნახაზის თვალსაჩინოება, გაზომვების სიმარტივე და დინამიურობა. მაღლივნიშნულებიანი გეგმილების მეთოდით პოზიციური და მეტრული ამოცანების ამოხსნის დროს ვსარგებლობთ რიცხვით ნიშნულებიანი გეგმილების მეთოდისათვის მიღებული ძირითადი ტერმინებითა და განმარტებებით.

**საკვანძო სიტყვები:** ფენის განვრცობა, დახრის კუთხე, განვრცობის კუთხე, სიბრტყის უდიდესი დახრილობის წრფე, ფენის დღის ზედაპირზე გამოსვლის წრფე, დირექციული კუთხე.


**ძირითადი შინაარსი**

**ამოცანა 1.** განვსაზღვროთ ფენის განვრცობისა და დახრის კუთხე და ფენის დღის ზედაპირზე გამოსვლის წრფე (სურ. 1).

ვთქვათ ფენა დაზვერილია სამი ჭაბურღილით:  $A_0$ ,  $B_0$  და  $C_0$ . ცნობილია, რომ „არამდგრადი“ ჩაწოლის დროს ფენას ყოფენ უბნებად და თითოეულ მათგანს განიხილავენ როგორც სიბრტყეს. მოცემული ფენის მცირე უბანი მივიღოთ სიბრტყედ და განვსაზღვროთ მისი განვრცობა:



ფენის საგები გვერდის  $A_0B_0C_0$  მცირე უბანი მივიღოთ სიბრტყედ  $a_0(A_0B_0C_0)$  და ავაგოთ მისი ჰორიზონტალები.  $a_0(A_0B_0C_0)$  სიბრტყის მართობულად შემოვიტანოთ ახალი გეგმილთა სიბრტყე ( $\Pi^I$ ). ავაგოთ ახალ სისტემაში  $a_0(A_0B_0C_0)$  სიბრტყის კვალი  $a^I$  და  $M_0$  წერტილის  $M^I$  გეგმილი.  $M^I$  გეგმილიდან  $a^I$  კვალზე დაშვებული მართობის სიგრძე ფენის ნორმალური სიმძლავრის ( $m_{ნორ.}$ ) ტოლი იქნება.  $M^I$  გეგმილზე გავლებული  $x^I$  ღერძის მართობული და პარალელური წრფის მონაკვეთები,  $M^I$  გეგმილიდან  $a^I$  კვალამდე, შესაბამისად ფენის შვეულ ( $m_{შვ.}$ ) და თარაზულ ( $m_{თარ.}$ ) სიმძლავრეებს განსაზღვრავს.




სურ. 7

**ამოცანა 3.** მოცემულია  $M_0$  წერტილი და ორი არსებული გამონამუშევარის ღერძი  $a_0(A_0B_0)$  და  $b_0(C_0D_0)$ . საჭიროა მოცემული წერტილიდან გაყვანილი იქნეს უმოკლესი სიგრძის დამხმარე გვირაბი, რომელიც არსებულ გამონამუშევრებს გადაკვეთს (სურ.3).

იმისათვის, რომ გამოვარკვოთ შესაძლებელია თუ არა ამ პირობის დაცვა, მივმართოთ შემდეგ გრაფიკულ ანალიზს:

მოცემული  $M_0$  წერტილი დავაკავშიროთ ერთ-ერთ, მაგ.  $a_0(A_0B_0)$ , ღერძის ორ წერტილთან. ვიპოვოთ მეორე –  $b_0(C_0D_0)$  – ღერძის გადაკვეთის  $K_0$  წერტილი  $M_0A_0B_0$


წერტილებით განსაზღვრულ სიბრტყესთან. მოცემული  $M_0$  წერტილი შევადროთ  $K_0$  წერტილთან და გავაგრძელოთ  $a_0(A_0B_0)$  ღერძის გადაკვეთამდე. როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია მოცემული წერტილიდან გაყვანილი იქნეს, მოცემული ორი გამონამუშევარის მკვეთი უმოკლესი სიგრძის გვირაბი.



სურ. 8

**ამოცანა 4.** მაღლივი ნიშნულების გეგმაზე მოცემულია ფენის ერთ-ერთი კვერდის ორი წერტილი  $A_0$  და  $B_0$  და ფენის განვრცობის კუთხე  $\alpha$ . მოცემულია აგრეთვე ფენის სიბრტყის გარეთ მდებარე  $D_0$  წერტილი. საჭიროა გეგმაზე განისაზღვროს  $D$  წერტილიდან გასაყვანი, ფენის სიბრტყის პარალელური და მოცემული დირექციული კუთხით ( $a'$ ) მიმართული გამონამუშევარის  $a$  ღერძი (სურ. 4).

ავაგოთ  $D$  წერტილიდან  $a'$  დირექციული კუთხით გამოშვებული  $a$  სხივი. იმისათვის, რომ დავიცვათ ამ ღერძის პარალელობა ფენის სიბრტყესთან, საკმარისია ფენის სიბრტყეში ავაგოთ  $a$  ღერძის პარალელური  $GL$  წრფე და განვსაზღვროთ მისი დახრის კუთხე გეგმილთა სიბრტყესთან. ცხადია, რომ  $a$  ღერძის დახრის კუთხეც გეგმილთა სიბრტყესთან იქნება  $\beta$ -ს ტოლი.  $a$  ღერძის განსაზღვრისათვის საჭიროა განისაზღვროს მისი კუთვნილი რომელიმე  $F_0$  წერტილი. იგი განისაზღვრება მისი  $F$  გეგმილით მაღლივი ნიშნულების გეგმაზე და  $F_1$ -ით მარლივი ნიშნულების წრფეზე.



სურ. 9

ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად  $F_1$ , შეგვიძლია ავიღოთ ნებისმიერად, ხოლო მეორე გეგმილი მარტივად განისაზღვრება „დამხმარე მართკუთხა სამკუთხედის“ საშუალებით. გრაფიკული აგებების თანმიმდევრობა ნათლად ჩანს ნახაზზე.

### დასკვნა

განხილულ მაგალითებში ძირითადი ნახაზი (გეგმა) მაქსიმალურად არის განთავისუფლებული დამხმარე აგებებისაგან, რაც თვალსაჩინოს ხდის მალღივნიშნულებიანი გეგმილების მეთოდის გამოყენების უპირატესობას სამთო გეომეტრიის ამოცანების ამოხსნის დროს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. შავგულიძე ა. ს. \_ Разработка одной интерпретации метода проекций с отметками для  $R_3$  и  $R_4$ , изд. Технический Университет, Тбилиси, 2001г.
2. ა. შავგულიძე – საინჟინრო გრაფიკის სპეციალური კურსი, გამომცემლობა “განათლება”, თბილისი, 1977წ.



3. ნ. ნოზაძე – მაღლივნიშნულებიანი გეგმილი და მისი კომპიუტერული მხარდაჭერა, დისერტაცია, სტუ, 2012წ.

## **SOIUTION OF MINING-GEOLOGICAL ENGINEERING PRACTICAL TASKS BY USING HIGH-LEVEL ELEVATION METHOD**

**N. Nozadze, T. Beridze**

### **Summary**

In the present work, four mining-geological engineering practical tasks are solved by using the method of high level elevations. A advantage of this method lies in the fact that the some auxiliary constructions are taken out of the plan and thus reached the drawing visualizations, measurements simplicity and dynamism. During solution of positional and metric tasks by the method of high level elevations basic terms and explanations of method of elevations are used.

## **РЕШЕНИЕ ЗАДАЧ ГОРНО-ГЕОЛОГИЧЕСКОЙ ИНЖЕНЕРНОЙ ПРАКТИКИ МЕТОДОМ ПРОЕКЦИИ С ВЫСОТНЫМИ ОТМЕТКАМИ**

**Н. Нозадзе, Т. Беридзе**

### **Резюме**

В данной работе задачи горно-геологической инженерной практики решены методом проекций с высотными отметками. Преимущество данного метода заключается в том, что ряд вспомогательных графических построений производятся за пределами основного плана и этим достигается наглядность, простота измерений и динамичность комплексного чертежа. При решении позиционных и метрических задач методом проекций с высотными отметками пользуемся терминологией метода проекций с числовыми отметками.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

УДК 515

## МНОГОГРАННИКИ

Л. Асатиани

(Грузинский технический университет, ул. М. Костава №77,  
0175, Тбилиси, Грузия)

**Резюме:** Данная статья носит информационный характер, что позволяет читателям посмотреть на некоторые вещи с точки зрения геометрии и увидеть, например в вирусах не только опасность для здоровья человека, а красивые многогранники, в пирамиде не только грандиозное строение а геометрическую фигуру–тетраэдр, в необыкновенно красивом кристалле икосаэдр или додекаэдр. Всё это расширяет кругозор человека и способствует узнавать всё больше и больше, что необходимо для развития самого человека и общества в котором мы все живём.

**Ключевые слова:** многогранники, грани, рёбра, вершины, оригами, кусудама, смежный, выпуклый, правильный.

Геометрия является ключом к познанию окружающего мира, базой научно-технического прогресса и не стоит забывать, что геометрия как наука возникла из человеческой практики из наблюдений за окружающим миром, из жизни. Она опиралась на наглядность и имела большое развитие в прошлом.

Многогранники в трёхмерном пространстве являются одними из самых красивых геометрических фигур, которые можно вообразить. С многогранниками мы постоянно встречаемся в нашей жизни – это древние Египетские пирамиды и кубики, которыми играют дети; объекты архитектуры и дизайна, природные кристаллы, вирусы, которые можно рассмотреть только в электронный микроскоп, прочные конструкции – шестиугольные соты, которые пчелы строили задолго до появления человека.

Многогранники это загадочно-красивые кристаллы, огромное количество оригами. Складыванием многогранников создаётся мир оригами. Это занятие, которым последнее время увлекаются люди, особенно дети, и это занятие можно назвать искусством т.к. создаются фантастические фигуры и для создания этого фантастического мира требуется лишь лист бумаги.

Кусудамы – одни из самых древних и декоративных традиционных японских изделий в технике оригами. «Кусури» на японском языке означает «лекарство», «тама» – «шар». Следовательно, слово «кусудاما» можно перевести как «лекарственный шар». Вместе с тем так называются декоративные шарообразные конструкции, собранные из бумажных цветков, розеток или модулей другой формы. Возникает вопрос -при чём же здесь многогранники? Оказывается, то, что оригамисты называют «шарообразной конструкцией», с точки зрения геометрии оказывается многогранником, который можно вписать в шар. Для этого удобнее всего использовать архимедовы и Платоновы тела. Проведённый анализ показывает, что в традиционном оригами кусудамы чаще всего строятся на основе только трёх многогранников: куб, усечённый куб и додекаэдр. Оставшиеся три Платоновых и тринадцать архимедовых тел дают богатые возможности для творчества.

Так как при создании геометрических композиций как на плоскости, так и в пространстве, необходимо, чтобы входящие в неё многоугольники имели равные стороны и поэтому тела Платона вызывают особый интерес


Известно, что многогранники это совокупность конечного числа многоугольников, такая, что каждая сторона любого из многоугольников есть одновременно сторона другого, но только одного смежного с ним, а также можно переходить от одного к смежному с ним и от этого к смежному со следующим и т.д. Эти многоугольники называются гранями, их стороны – рёбрами, а вершины – вершинами многоугольника. Многогранники делятся на несколько групп. Это: правильные выпуклые многогранники - тела Платона и правильные невыпуклые - тела Пуансо; полуправильные выпуклые многогранники – тела Архимеда; выпуклые параллелоэдры – тела Фёдорова.

Тела Платона это выпуклы многогранники, все грани которых одинаковые правильные многоугольники и все многогранные углы при вершинах тоже правильные и равные. Как это следует из подсчёта суммы плоских углов при вершине, выпуклых правильных многогранников не больше пяти. Из этого следует, что существует пять правильных многогранников (это доказал Эвклид) - это правильные тетраэдр, куб, октаэдр, додекаэдр и икосаэдр. Куб и октаэдр дуальны, т.е. получаются друг из друга, если центры тяжестей одного принять за вершины другого или наоборот. Аналогично дуальны додекаэдр и икосаэдр.

Тетраэдр дуален сам себе. Правильный додекаэдр получается из куба построением “крыш” на его гранях (способ Эвклида), вершинами тетраэдра являются любые четыре вершины куба попарно не смежные по ребру. Так получаются из куба все остальные правильные многогранники. В 1752 году Эйлером была доказана важнейшая теорема общей теории выпуклых многогранников .

Теорема - “ Для любого выпуклого многогранника справедливо соответствие  $\Gamma + B - P = 2$ , где  $\Gamma$  - число граней,  $B$  – число вершин,  $P$  – число ребер ”.

Название многогранника	Грани $\Gamma$	Ребра $P$	Вершины $B$
Правильный тетраэдр	4	6	4
Правильный октаэдр	8	12	6
Правильный икосаэдр	20	30	12
Куб	6	12	8
Правильный додекаэдр	12	30	20



На рисунке показаны тела Платона : 1-правильный тетраэдр (пирамида), 2-куб, 3-правильный октаэдр , 4-правильный додекаэдр, 5-правильный икосаэдр.

### ЛИТЕРАТУРА:

1. Н.С.Кузнецов – Начертательная геометрия;
2. А.Д.Посвянский – Краткий курс начертательной геометрии;
3. ა. ს. შავგულიძე – საინჟინრო გრაფიკა, 1 ნაწილი.

### მრავალწახნაბები

ლ. ასათიანი

რეზიუმე

წარმოდგენილი სტატია ატარებს ინფორმაციულ ხასიათს, რაც სამყაროს გეომეტრიული კუთხით დანახვას იძლევა. მაგალითად ვირუსებში დაინახონ არა მარტო საშიშროება ჯანმრთელობისათვის, არამედ ლამაზი მრავალწახნაგები, გრანდიოზულ პირამიდებში არა მარტო ისტორიის ძეგლები, არამედ ტეტრაედრები, ზღაპრული სილამაზის კრისტალებში არა მარტო ულამაზესი და ძვირფასი ქვები, არამედ იკოსაედრები, დოდეკაედრები და ა. შ. ეს ყველაფერი აფართოებს ადამიანის მსოფლმხედველობას და საშუალებას აძლევს უკეთ შეიცნოს სამყარო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.


### POLYHEDRONS

L. Asatiani

Summary

The presented article carries an informational character, which makes it possible to see the world in terms of geometry. For example, in viruses is possible to see not only a danger to health, but also attractive polyhedrons, in the grand pyramids not only the historical monuments but tetrahedrons, in fabulous beauty crystals not only beautiful and precious stones, but also icosahedrons, dodecahedrons and so on. All this expands human vision and allows to better understand the world in which we live.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპკ 656.259.1

**მიკროპროცესორების გამოყენების თავისებურებები  
სარკინიგზო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და  
ბლოკირების სისტემებში**

ნ. მღებრიშვილი, მ. მოისწრაფიშვილი, გ. მღებრიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კოსტავას ქ. №77, 0175 თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** განხილულია მიკროპროცესორული ბლოკებისაგან შედგენილი სისტემა, რომლის საშუალებით შესაძლებელია მოძრავი შემადგენლობის საიმედო ცენტრალიზირებული მართვა. დახასიათებულია სპეციალიზირებული მმართველი კომპიუტერი ECC. აღწერილია ECC-CU უნივერსალური მოდული და წარმოდგენილია ინდიკაციის ცვლილების ალგორითმი. შედგენილია მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის სისტემის არქიტექტურა. დამუშავებულია მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის სტრუქტურა. ნაჩვენებია მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის უპირატესობა არსებულ სისტემებთან შედარებით.

**საკვანძო სიტყვები:** მიკროპროცესორი, ცენტრალიზაცია, მოდული, მარშრუტი, კონტროლი.

საერთაშორისო გადაზიდვების ინტენსიფიკაციაში დიდი საინვენსტიციო პროგრამების განხორციელება მნიშვნელოვნად ზრდის რკინიგზის საშუალებათა მონაწილეობის როლს. სადღეისოდ საქართველოს ერთერთი პრიორიტეტი სარკინიგზო გადაზიდვებია. მოძრაობის ინტენსიურობის მომატება ითხოვს სარკინიგზო შემადგენლობის მოძრაობის უსაფრთხოების, საიმედოობისა და სიჩქარის გაზრდის ამოცანების გადაწყვეტას. ამ პრობლემის გადაწყვეტა

შეუძლებელია თანამედროვე ცალკეული საინფორმაციო-დიაგნოსტიკური სისტემების დამუშავებისა და დანერგვის გარეშე.

სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის (მატარებლების) მოძრაობის მართვა და უსაფრთხოების კონტროლი ხორციელდება სიგნალიზაციის ცენტრალიზაციის და ბლოკირების (სცბ) მოწყობილობებით. სადღეისოთ, საქართველოს რკინიგზა აღჭურვილია რუსული წარმოების სცბ-ს მოძველებული მოწყობილობებით. ეს მოწყობილობები საჭიროებენ სისტემატურ ტექნიკურ მომსახურებას, და სარემონტო სამუშაოებს, მიუხედავად ამისა ხშირია დაზიანებები, რაც იწვევს მოძრავი შემადგენლობის შეფერხებებს და უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ბიუჯეტზე.

მიკროპროცესორის გამოყენება სცბ-ს სისტემაში საშუალებას მოგვცემს თანამედროვე ცენტრალიზირებული კომპლექსის შექმნის, რომელიც მუდმივად გააკონტროლებს: სარელსო წრედების, შუქნიშნების, ისრების, გადასასვლელების, გადასარბენების დისტანციური მართვას და მათ მდგომარეობას, ასევე სადგურის მორიგეს მიაწოდებს ოპერატიული, საარქივო, ნორმატიულ-საცნობარო და მომსახურე პერსონალის მოქმედების ინფორმაციას.


მიკროპროცესორებით აღჭურვილი ცენტრალიზაცია წარმოადგენილი იქნება იერარქიულ პრინციპზე აგებულ სისტემის სახით, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი კონფიგურაციის რკინიგზის სადგურებსა და გადასარბენებზე.

სისტემის საბაზო აპარატურულ ბაზას წარმოადგენს მიკროპროცესორული ბლოკებისაგან შედგენილი სპეციალიზირებული მმართველი კომპიუტერი ECC. ნახ.1



ნახ. 1. მმართველი კომპიუტერი ECC-CU

მმართველი კომპიუტერის მაღალი საექსპლუატაციო მომზადება განპირობებულია 3 იდენტური მიკროპროცესორული მოდულის ECC-CU გამოყენებით, რომლებიც მუშაობენ სქემით 3-დან 2. საიმედოობის გაზრდის მიზნით ინფორმაციის შემდგომი გადამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როგორც მინიმუმ ორი გამომთვლელი არხი გამოსცემენ ერთნაირ



ნახ. 2 ECC-CU მოდულზე ინდიკაციის ცვლილების ალგორითმი (მომსახურე ელექტრომექანიკოსის მოქმედება აღნიშნულია ლურჯი ფერით).



რეზულტატს. ეს საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს ნებისმიერი ამოვარდნა მოცემული სამი მიკროპროცესორის მუშაობიდან და გამოირთოს დაზიანებული მოდული. სისტემა აგრძელებს მუშაობას რეჟიმში 2-დან 2, ხოლო მოდულის შეცდომის ან დაზიანების ინფორმაცია ფიქსირდება მონაცემთა ბაზაში. დაზიანებული მოდული შეიძლება გამოიცვალოს მთლიანი სისტემის გაუჩერებლად.

მოდულის მუშა მდგომარეობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მასზე განთავსებული შუქდიოდების ნათების მიხედვით:

PS – ანთია - მუშაობს გამართულად, ჩამქრალია-მოხდა შეცდომა;

ID - ანთია - მართვის სიგნალების გადაცემის საშუალება შეტანა/გამოტანის მოდულზე (PSFS);

SY - ანთია - ნორმალური მუშაობა, ჩამქრალია - მოხდა სისტემური შეცდომა;

VO - ანთია - კონტროლერის ძაბვა 5ვ. ნორმალურია;

EA - ანთია - კონტროლერის სინქრონიზაცია - ECC-CU (RKFS);


EL - ანთია - არასწორია პროცესორული მოდული მის მარცხენა მხარეს;

ER - EL-ის ანალოგიური, აკონტროლებს მის მარჯვენა მხარეს მიკროპროცესორული მოდულის სისწორეს;

იმ შემთხვევაში, თუ ორივე შუქდიოდი ER და EL ანთებულია, მაშინ მოცემული კონტროლერი გამოსულია მწყობრიდან;

SD - ჩამქრალია - მოდული მუშაობს, ანთია მოდული გამორთულია.

დაზიანებული მოდულის ინდიკაციის ალგორითმი მისი შეცვლისას მოცემულია ნახ. 2-ზე



ნახ. 3. მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის სისტემის არქიტექტურა

მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის სისტემას აქვს 3-დონის იერარქიული სტრუქტურა, ნახ 3, რომელიც შეიცავს საინფორმაციო და ლოგიკური უზრუნველყოფის დონეებს, ასევე ლოკალური და ქველა დონის ავტომატიკის უსაფრთხო მართვის და კონტროლის ქვესისტემას (შეტანა/გამოტანის უსაფრთხო ინტერფეისი).


სისტემის საინფორმაციო უზრუნველყოფის დონე შეიცავს სადგურის მორიგის და ელექტრომექანიკოსის ავტომატიზირებულ სამუშაო ადგილს, ასევე სხვადასხვა დანიშნულების.

საინფორმაციო სისტემებთან დამატებით შეუღლების მოწყობილობებს ღია ქსელი **Profibus** აერთიანებს სავსელ დონის მიმდევრობითი კავშირის ტექნოლოგიურ და ფუნქციონალურ თავისებურებებს. ე.ი. შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა დანიშნულების მოწყობილობების მუშაობისა ერთ სისტემაში.

მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის მმართველი გამომთვლელი სისტემის რაციონელურად გამოყენების მიზნით, მის შემადგენლობაში ასევე შედიან სავსელ მოწყობილობებთან დაკავშირების მოდულები.

ამ გზით მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის სისტემაში შეიძლება ჩაირთოს სტანდარტული სავსელ მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება საქართველოს რკინიგზაზე.

მმართველი გამომთვლელი სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა ლოგიკურ შესაძლებლობას იძლევა სადგურებზე გადაზიდვების პროცესების რეალიზებისა. სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შემადგენლობაში შედის (ნახ. 4):



ნახ. 4. მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის სტრუქტურა

- უცვლელი ნაწილი (ცენტრალიზაციის ლოგიკის ბირთვი) რომელიც პასუხისმგებელია ტექნიკური ექსპლუატაციისა და სიგნალიზაციის წესდების მოთხოვნების შერულებაზე. პროგრამის ეს ნაწილი უნივერსალურია და გამოიყენება ყველა პროექტირებად სადგურებზე. ცენტრალიზაციის ლოგიკის ბირთვი მოწმდება საცდელ ლაბორატორიაში და დაცულია ყოველგვარი ცვლილებებისაგან;
- ცვალებადი ნაწილი (სადგურის კონფიგურაცია), რომელიც გამოხატავს კონკრეტული სადგურის სალიანდაგო განვითარებას, ასევე სამართავ და საკონტროლო ობიექტების რაოდენობას. კონფიგურაცია მოწმდება დამმონტაჟებლის მიერ სადგურის პროგრამული იმიტატორის საშუალებით.

მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის ასეთი დაყოფა შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად გამარტივდეს ცვლილებების შეტანა, რომელიც გამოწვეულია სადგურის სალიანდაგო განვითარების კორექტირებით.

შეტანა/გამოტანის უსაფრთხო ინტერფეისი რეალიზებულია ECC-CU მოდულის ბაზაზე, რის შედეგადაც დამამთავრებელ ინტერფეისის ელემენტად, სისტემას და სავსე მოწყობილობებს შორის გამოიყენება ელექტრომექანიკური რელე, ტიპური სქემური გადაწყვეტილებების შემადგენლობაში.

მიკროპროცესორების გამოყენებას ცენტრალიზაციის სისტემებში საიმედოობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით აქვს რიგი უპირატესობა არსებულ სისტემებთან შედარებით:

- ერთტიპიური მოდულების ურთიერთმონაცვლეობა ყოველგვარი დამატებითი რეგულირებისა და აწყობის გარეშე;
- ნებისმიერ სადენიანი საისრო ამძრავების უშეცდომო მართვა და მათი მდგომარეობის ზუსტი კონტროლი, რადგან ისრის მდგომარეობა კონტროლდება მიკროპროცესორიდან გამომავალი მუდმივი დენით;
- სისტემის რესურსების რაციონალური გამოყენება - ამკრძალავი მაჩვენებლების აპარატურული აწყობის შესაძლებლობა;
- მუშა დენების ზღვრული მდგომარეობების პროგრამულად აწყობა;
- მიკროპროცესორული მოწყობილობები, როგორებიცაა მმართველი გამომთვლელი კომპლექსი, ლოკალური გამომთვლელი ქსელის ელემენტები, სცბ-ს მოწყობილობებთან კავშირის ელემენტები, ავტომატიზირებული სამუშაო ადგილი, წარმოადგენენ მოწყობილობებს, რომლებიც ექსპლუატაციის დროს არ საჭიროებენ რეგულირებას და აწყობის შეზუსტებას. მათი მომსახურება მდგომარეობს მათ პერიოდულად დათვალიერებაში, გაწმენდაში მდგომარეობის შეფასებაში.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. **Б. Калабегов** – Цифровые устройства и микропроцессорные системы –М.: Горячая линия – Телекомб 2007. -336 с.

2. **Н. Мгебришвили** - Система мониторинга железнодорожного подвижного состава на основе многофункционального датчика -Пятая Харбинская международная выставка научно-технических достижений на 30 июня – 04 июля 2014 г
3. **С. Протцнер, С. В. Власенко, Ю. С. Смагин, О. Ю. Шатковский** - Система микропроцессорной централизации МПЦ-МЗ-Ф на основе платформы Simis для Российских железных дорог – “Железные дороги мира” — 2010, № 10 pp56-60,
4. **А. Кузин** – Микропроцессорная техника – М.: ИЦ Академия, 2013. -304 с.
5. **ა. ღუნდუა** – კომპიუტერული სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების თეორიული საფუძვლები – “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2014, 258 გვ.

## **ОСОБЕННОСТИ ИСПОЛЬЗОВАНИЯ МИКРОПРОЦЕССОРОВ, В СИСТЕМАХ СИГНАЛИЗАЦИИ, ЦЕНТРАЛИЗАЦИИ И БЛОКИРОВКИ ЖЕЛЕЗНОЙ ДОРОГИ**

**Н. Мгебришвили, М. Моисцрапишвили, Г. Мгебришвили**

### **Резюме**

Рассмотрена система микропроцессорных блоков, при помощи которого возможно надежное централизованное управление подвижного состава. Характеризирован специализированный управляющий компьютер ECC. Описан ECC-CU универсальный модуль и представлен алгоритм изменения индикации. Составлена архитектура системы централизации. Разработана структура программного обеспечения системы микропроцессорной централизации. Приведены преимущества микропроцессорной централизации по сравнению действующих систем централизации Грузии.


## **FEATURES OF USE OF MICROPROCESSORS, SIGNALING SYSTEMS, CENTRALIZATION AND BLOCKING RAILWAY**

**N. Mgebrishvili, M. Moistsrapishvili, G. Mgebrishvili**

### **Summary**

Examined a system of microprocessor blocks, by which can be reliably centralized management of the rolling stock. It characterized a specialized control computer ECC. Is described ECC-CU universal module and an algorithm change indication. Composed system architecture centralization. Developed by the structure of the system software of microprocessor centralization. Given e advantages of microprocessor centralization compared to existing systems centralization of Georgia.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპკ 621. 01

**ღრეჩოებიაი სფერული ოთხრგოლა მქქანიზმების რგოლების  
მღებარეობის, სიჩქარის და აჩქარებების ცლომილებების  
გამოთვლა**

ა. თალაკვაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0175,  
თბილისი)

**რეზიუმე:** ნაშრომში გადმოცემულია ღრეჩოებიაი სფერული მექანიზმების რგოლების მღებარეობის, სიჩქარის და აჩქარებების ცლომილებების ანალიზი წრფივი სიზუსტის თეორიის გამოყენებით. ცლომილებების გამოთვლა შესრულებულია მექანიზმის დამატებითი მოძრაობების გაანგარიშების შემდეგ დიფერენციალური განტოლებების მეშვეობით.

**საკვანძო სიტყვები:** ოთხრგოლა მექანიზმი, რგოლი, სიჩქარე, აჩქარება, მღებარეობა.

მანქანათმშენებლობის სწრაფ განვითარებასთან ერთად ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა პერიოდში ცნობილი მეცნიერების ნ. ბრუევიჩის, ნ. კობრინსკის და სხვათა მიერ მოცემული მღებარეობის დროს, ანალიზური ან გრაფო-ანალიზური გზით, მექანიზმების წრფივი სიზუსტის მეთოდის გამოყენებით, დანტკიცებული იქნა როგორც რგოლების მღებარეობისა და გადაადგილების ცლომილება, ისე მათი სიჩქარისა და აჩქარების ცლომილება.

წრფივი სიზუსტის თეორიის გამოყენებით, ღრეჩოებიაი სფერულმა მექანიზმებისათვის შეგვიძლია ჩვენ გამოვთვალოთ გამავალი რგოლების სიჩქარისა და აჩქარების ცლომილებები, ამასთან ეს ცლომილებები უნდა იყოს მცირე სიდიდის.

ჩვენ შეგვიძლია აღნიშნული მექანიზმების ნაჩვენები პარამეტრების ცლომილებების გამოთვლა მოვახდინოთ მხოლოდ დამატებითი და ძირითადი მოძრაობის დიფერენციალური

განტოლებათა ამოხსნის შემდეგ. აქედან გამოძინარე მექანიზმის პარამეტრების ცდომილებების ხარისხი დამოკიდებული იქნება დამატებითი და ძირითადი კოორდინატების მნიშვნელობაზე.

ღრეჩობიანი სფერულ მექანიზმების რგოლების მდებარეობის, სიჩქარისა და აჩქარების ცდომილებების გამოთვლის თანმიმდევრობა შემდეგში მდგომარეობს.

პირველ რიგში გამოითვლება გამავალი რგოლების მდებარეობა, შემდეგ ეს გამოსახულება უნდა გადიფერენციალდეს  $t$  დროით და მოინახოს მათი სიჩქარე და აჩქარება. ასევე გამოითვლება ყველა პარამეტრიც იდეალური სფერული მექანიზმისათვის.

სფერული მექანიზმებისათვის ბარბაცებისა და მხრეულის ცდომილება აღენიშნოთ შესაბამისად  $\Delta\phi_3$  და  $\Delta\phi_4$ , ცოცხის ცდომილება კი  $\Delta U_B$ , სიჩქარის და აჩქარების ცდომილებები –  $\Delta\dot{\phi}_3$ ,  $\Delta\dot{\phi}_4$ ,  $\Delta\dot{U}_B$ ,  $\Delta\ddot{\phi}_3$ ,  $\Delta\ddot{\phi}_4$  და  $\Delta\ddot{U}_B$ .

სფერული ოთხრგოლა მრუდმხარა-ცოცხა და მრუდმხარა-მხრეულიანი მექანიზმების დინამიკური ანალიზისათვის გამავალი რგოლების მდებარეობა, გადაადგილება, სიჩქარე და აჩქარება ზემოთაღნიშნული ცდომილებების მხედველობაში მიღებით, შეიძლება ასეთი სახით წარმოვიდგინოთ:

$$\begin{aligned} \Delta\phi_3 &= \phi_3^{3a3} - \phi_3; & \Delta\phi_4 &= \phi_4^{3a3} - \phi_4; & \Delta U_B &= U_B^{3a3} - U_B; \\ \Delta\dot{\phi}_3 &= \dot{\phi}_3^{3a3} - \dot{\phi}_3; & \Delta\dot{\phi}_4 &= \dot{\phi}_4^{3a3} - \dot{\phi}_4; & \Delta\dot{U}_B &= \dot{U}_B^{3a3} - \dot{U}_B; \\ \Delta\ddot{\phi}_3 &= \ddot{\phi}_3^{3a3} - \ddot{\phi}_3; & \Delta\ddot{\phi}_4 &= \ddot{\phi}_4^{3a3} - \ddot{\phi}_4; & \Delta\ddot{U}_B &= \ddot{U}_B^{3a3} - \ddot{U}_B. \end{aligned}$$

სადაც  $\Delta\phi_3$ ,  $\Delta\phi_4$ ,  $\Delta U_B$ ,  $\Delta\dot{\phi}_3$ ,  $\Delta\dot{\phi}_4$ ,  $\Delta\dot{U}_B$ ,  $\Delta\ddot{\phi}_3$ ,  $\Delta\ddot{\phi}_4$  და  $\Delta\ddot{U}_B$  იდეალური სფერული ოთხრგოლა მექანიზმების შესაბამისი პარამეტრებია.

ანალოგიური გზით შეგვიძლია ვიპოვოთ მექანიზმების ნებისმიერი წერტილის როგორც მდებარეობის, ისე სიჩქარისა და აჩქარების ცდომილება. მაგალითად, სფერული მრუდმხარა-მხრეულიანი მექანიზმის  $S_3$  წერტილისათვის შეგვიძლია დავწეროთ:

$$\begin{aligned} \Delta U_{S_3} &= U_{S_3}^{3a3} - U_{S_3}; & \Delta V_{S_3} &= V_{S_3}^{3a3} - V_{S_3}; \\ \Delta\dot{U}_{S_3} &= \dot{U}_{S_3}^{3a3} - \dot{U}_{S_3}; & \Delta\dot{V}_{S_3} &= \dot{V}_{S_3}^{3a3} - \dot{V}_{S_3}; \\ \Delta\ddot{U}_{S_3} &= \ddot{U}_{S_3}^{3a3} - \ddot{U}_{S_3}; & \Delta\ddot{V}_{S_3} &= \ddot{V}_{S_3}^{3a3} - \ddot{V}_{S_3}, \end{aligned}$$


სადაც ნაჩვენები პარამეტრები გამოთვლილია სფერული ოთხრგოლა მრუდმხარა-მხრეულიანი მექანიზმის დინამიკური კვლევის შემდეგ.

განსახილველი ოთხრგოლა სფერული მექანიზმისათვის გამოკვლეულია არა მარტო დამატებითი მოძრაობები, არამედ ძირითადი მოძრაობებიც, ამიტომ შემავალი რგოლის მდებარეობის, სიჩქარისა და აჩქარების ცდომილებები შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ:

$$\Delta\phi_2 = \phi_2^{3a3} - \phi_2; \quad \Delta\dot{\phi}_2 = \dot{\phi}_2^{3a3} - \dot{\phi}_2; \quad \Delta\ddot{\phi}_2 = \ddot{\phi}_2^{3a3} - \ddot{\phi}_2,$$

სადაც  $\Delta\phi_2$ ,  $\Delta\dot{\phi}_2$ ,  $\Delta\ddot{\phi}_2$  – იდეალური სფერული მექანიზმების რგოლის მახასიათებელი

პარამეტრებისა და მათი გამოთვლა შეიძლება შესაბამისი იდეალური სფერული მექანიზმების დიფერენციალური განტოლებებიდან.




ნახ. 1.

სფერული ოთხრგოლა მექანიზმების გარდა აღნიშნული პარამეტრებისა, შეგვიძლია მოვნახოთ რეაქციის ძალები ცდომილება ბრუნვით კინემატიკურ წყვილებში, აგრეთვე რეაქციის ძალებისა და ინერციის წყვილ ძალების მომენტისა და სხვა ცდომილებები.

აქვე მაგალითის სახით გვინდა მოვიყვანოთ ღრეჩობიანი სფერული მრუსდმხარა-მხრეულიანი მექანიზმის დინამიკურ მოდელზე (ნახ. 1) მოცემული BC რგოლის  $S_3$  ცენტრის  $V_{S_3}$  გადაადგილების,  $\dot{V}_{S_3}$  სიჩქარისა და  $\ddot{V}_{S_3}$  აჩქარების ცვლილებების გრაფიკი ღრეჩოზე



დამოკიდებულებით (მრუდი 1, 2). იგივე გრაფიკები ღრეჩოსა და დეფორმაციაზე დამოკიდებულებით კი მოცემულია 3,4 მრუდის სახით (ნახ. 2).



ნახ. 2.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ რღეროებიანი სფერული ოთხრგოლა მექანიზმებისათვის მოცემული ცაცყნისა და რეაქციის ძალების მნიშვნელობები ბრუნვითი კინემატიკურ წყვილებში საშუალებას იძლევა დავახსიათოთ ამ პარამეტრების სიდიდეები მექანიზმის ნებისმიერი დამატებითი მოძრაობის დროს მრუდმხარას შემობრუნების კუთის ყოველი მნიშვნელობისათვის.

ღრეროებიანი სფერული ოთხრგოლა მექანიზმების შესწავლისას საჭირო ხდება სიზუსტის წრფივი თეორიის მეთოდების გამოყენებით დახსიათოდეს გამავალი რგოლების გადაადგილების, სიჩქარისა და აჩქარების ფუნქციების ცლომილების ხარისხი.

მრუდმხარას ბრუნვისას ბარბაცოვანი C წერტილი, რომელთანაც ხისტად არის დაკავშირებული მოძრავი კონუსის ბოლო, აღწერს სფერულ წრეწირს. მის შედეგად კონუსი ასრულებს პრეციზიულ თანაბარ მოძრაობას თავისი უძრავი წერტილის O1 ირგვლივ. ამ დროს მოძრავ და უძრავ კონუსებს შორის ხდება მასალის მსხვრევა.

აღნიშნულ მექანიზმის აწყობის დროს ჭარბი ბმების აღმოფრხვრის მიზნით აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს განსაზღვრული სიდიდის ღრეროები ორ A და B კინემატიკური წყვილში მაინც. ამ ღრეროების სიდიდეზე დიდადა დამოკიდებული როგორც მექანიზმის აწყობა, ისე მისი დინამიკური მახასათებლები.

ორ ღრეროს არსებობის შემთხვევაში მექანიზმს უჩნდება დამატებითი მოძრაობა, რომელთა შესწავლაც აუცილებელია.

სფერულ მრუდმხარა-ცოცია მექანიზმის არა მარტო დამატებითი, არამედ ზირითადი მოძრაობის შესწავლის მიზნით, უნდა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც OA შემავალი რგოლის მოძრაობის კანონი და შესაბამისად, მრუდმხარას ბრუნვის კუთხური სიჩქარე

$$\omega_2 = \dot{\phi}_2(t) \neq const .$$

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია OABC სფერულ ოთხრგოლა მრუდმხარა-ცოცია მექანიზმის დინამიკური მოდელი  $\Delta_1$  და  $\Delta_3$  ღრეროებით ორ კინემატიკურ წყვილში: 2-3 (მრუდმხარა – ბარბაცა) და 3-4 (ბარბაცა – ცოცია). ღრეროები ნაჩვენებია გადიდებულ მასშტაბში.

### ლიტერატურა

1. **Бруевич Н.Г.** Точность механизмов. Москва: 1976 г., с. 331-332.
2. **Кобринский Н.Е.** Кинематические ошибки плоских механизмов, вызванные зазорами в кинематических парах. Москва: с. 291-304;

3. ა. თალაკვაძე. სფერული ოთხრგოკლა მექანიზმების დინამიკური კვლევა კინემატიკურ წყვილებში ღრეჩობის და რგოლების დრეკადობის გათვალისწინებით. ნაშრომი 06/1993, გვ 27-33.

## **ИССЛЕДОВАНИЕ ПОГРЕШНОСТЕЙ РАСПОЛОЖЕНИЯ, СКОРОСТИ И УСКОРЕНИЯ ЗВЕНЬЕВ СФЕРИЧЕСКИХ МЕХАНИЗМОВ С**

### **ЗАЗОРАМИ**

**А. Талаквадзе**

#### **Резюме**

В статье дан анализ погрешностей расположения, скорости и ускорения звеньев сферических механизмов с зазорами с использованием теории линейной точности. Расчёт погрешностей произведён после вычисления дополнительного движения механизма с помощью дифференциального уравнения.

## **RESEARCH OF ERRORS OF POSITION, VELOCITY AND ACCELERATION OF LINKS OF SPHERICAL MECHANISM WITH CLEARANCES**

**A. Talakvadze**

#### **Summary**

In the article is stated the analysis of position, velocity and acceleration of application of links of spherical mechanism with clearances by linear theory of errors. The calculation of errors is carried out after calculation of additional motions of mechanism by differential equation.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

УДК 338.22

**ПРИОРИТЕТНЫЕ ОБЛАСТИ ТРАНСПОРТНЫХ  
ИССЛЕДОВАНИЙ В ГРУЗИИ  
(В СВЕТЕ ЕВРОПЕЙСКОЙ ТРАНСПОРТНОЙ ПОЛИТИКИ)**

**Т. Горшков**

$$G''_i = \frac{dv}{dt} = \frac{v_0}{p_0 k} \frac{dp}{dt} = \frac{F^2}{c_{g\&\&}} \frac{dp}{dt}, \quad (4)$$

მუშაობის მოცემული რეჟიმისთვის აირის ხარჯი შემაერთებელ მილსადენში გადადინების დროს, რომელიც პროპორციულია პნევმატიკურ დრეკად ელემენტებში წნევათა სხვაობის, შეადგენს:

$$G''' = \alpha \Delta p = \alpha(p_1 - p_2), \quad (5)$$

სადაც  $\alpha$  არის აირის ხარჯის პროპორციულობის კოეფიციენტი.

შემაშფოთებელი ზემოქმედებით მხოლოდ ვერტიკალური რხევების აღძვრის შემთხვევაში (შემაგალი სიდიდე  $\xi_1 + \xi_2$ ), აირის გადადინებას პნევმატიკურ დრეკად ელემენტებს შორის არა აქვს ადგილი და პნევმატიკურ დრეკად ელემენტებს შორის შემაერთებელი მილსადენით გადადინებული აირის ხარჯი  $G''' = 0$ . ამ დროს, ბმულ პნევმატიკურ დრეკად ელემენტებს შორის აირის ხარჯის ბალანსის განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$G'_1 + G'_2 = G''_1 + G''_2. \quad (6)$$

შერეხორებული მასის კუთხური რხევების დროს და სიმძიმის ცენტრის ვერტიკალური გადაადგილებების არ არსებობის შემთხვევაში, როდესაც  $Z(t)=0$  (შემაგალი ზემოქმედება  $\xi_1 - \xi_2$ ), პნევმატიკურ დრეკად ელემენტებს შორის შემაერთებელი მილსადენით გადადენილი აირის ხარჯია  $G'''$  და პნევმატიკურ დრეკად ელემენტებში აირის ხარჯის განტოლებებს აქვს სახე:

$$G'_1 = G''_1 + G''', \quad (7)$$

$$G'_2 = G''_2 - G''' \quad (8)$$

(7) განტოლებიდან (8)-ის გამოკლებით მიიღება ბმულ პნევმატიკურ დრეკად ელემენტებს შორის გადადენილი აირის ბალანსის განტოლება კუთხური რხევების დროს:

$$G'_1 - G'_2 = G''_1 - G''_2 + 2G''' \quad (9)$$

აირის ხარჯის (3)...(5) გამოსახულებების ჩასმით (7) და (8) ფორმულებში მიიღება ბმის განტოლებები:

$$\left. \begin{aligned} \frac{F^2}{c_{g\&\&\&}} \left( \frac{dp_1}{dt} + \frac{dp_2}{dt} \right) &= F \left[ (\dot{z}_1 + \dot{z}_2) - (\dot{\xi}_1 + \dot{\xi}_2) \right] \\ \frac{F^2}{c_{g\&\&\&}} \left( \frac{dp_1}{dt} - \frac{dp_2}{dt} \right) &= F \left[ (\dot{z}_1 - \dot{z}_2) - (\dot{\xi}_1 - \dot{\xi}_2) \right] - 2\alpha(p_1 - p_2) \end{aligned} \right\} \quad (10)$$

ამრიგად, განხილულ დინამიკურ რხევით სისტემაში მექანიკური პარამეტრების გარდა, შედის ცვლადი სიდიდეები  $p(t)$ ,  $G(t)$  და კოეფიციენტების სახით პნევმატიკური დრეკადი ელემენტების სიხისტის ეკვივალენტური კოეფიციენტი  $c_{g\&\&\&} = c_1 = c_2$  და პარამეტრები  $F$  და  $\alpha$ .

წრფივი განტოლებების სისტემებიდან (1) და (10), მიიღება გადაცემის ფუნქციები შერეოსორებული მასის ვერტიკალური რხევებისთვის:

$$W_z(s) = \frac{z(s)}{\xi_1(s) + \xi_2(s)} = \frac{c_{g\&\&\&}}{\frac{Ms^2}{2} + c_{g\&\&\&}} \quad (11)$$

და შერეოსორებული მასის გრძივ-კუთხური რხევებისთვის:

$$W_\varphi(s) = \frac{\varphi(s)l}{\xi_1(s) - \xi_2(s)} = \frac{\frac{c_{g\&\&\&}}{s + 2\alpha c_{g\&\&\&} F^{-2}}}{\frac{2Is^2}{l^2} + \frac{c_{g\&\&\&}}{s + 2\alpha c_{g\&\&\&} F^{-2}}} \quad (12)$$

### დასკვნა

პნევმობალანსირულ შერეოსორებით სისტემაში აირის ხარჯის პროპორციულობის  $\alpha$  კოეფიციენტის მნიშვნელობის შესაბამისად, შესაძლებელია პნევმობალანსირული შერეოსორების

სისტემის მუშაობის სხვადასხვა რეჟიმი: როდესაც  $\alpha \rightarrow 0$ , ადგილი აქვს პნევმატიკურ ღრეკად ელემენტებზე მოქმედი რეაქციების გათანაბრების უდიდეს მნიშვნელობას ( $p_1=p_2$ ); როდესაც  $\alpha=0$ , რეაქციების გათანაბრების ეფექტს ადგილი არ აქვს ( $p_1 \neq p_2$ ). კოეფიციენტ  $\alpha$ -ს მნიშვნელობა დამოკიდებულია შემაერთებული მილსადენის დიამეტრზე და სიგრძეზე. მისი სიდიდის შერჩევით შესაძლებელია მიღებულ იქნას პნევმატიკურ ღრეკად ელემენტებზე მოქმედი რეაქციების ოპტიმალური გათანაბრება და რხევების მაქსიმალური ჩახშობა.

### ლიტერატურა

1. **Ларин В.В.** Теория движения полноприводных колесных машин. – Москва, МГТУ им.Н.Э. Баумана, 2010, 391 с.
2. **Дубаренко В. В.** Математические модели механических систем как объектов управления. – Москва, ГУАП, 2007, 736 с.

## RESEARCH PNEUMOBALANCING VIBRATIONAL SUSPENSION SYSTEM MULTIAXIAL VEHICLE

**Z. Bogvelishvili**

### Summary

It is considered the mathematical model of the oscillatory dynamic multi-axis suspension system of the vehicle with pneumatic elastic elements of high pressure. Using the developed in the theory of automatic regulation and control techniques of block diagrams and transfer functions are described in the longitudinal plane of vertical and angular oscillations of the sprung mass of the vehicle.


## ИССЛЕДОВАНИЕ ПНЕВМОБАЛАНСИРНОЙ КОЛЕБАТЕЛЬНОЙ СИСТЕМЫ ПОДРЕССОРИВАНИЯ МНОГООСНОГО ТРАНСПОРТНОГО СРЕДСТВА

**З. Богвелишвили**

### Резюме

Рассмотрена математическая модель колебательной динамической системы подрессоривания многоосного транспортного средства с пневматическими упругими элементами высокого давления. С использованием разработанной в теории автоматического регулирования и управления методами структурных схем и передаточных функции описывается в продольной плоскости вертикальные и угловые колебания подрессоренной массы транспортного средства.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპკ 338.22

## ლოგისტიკის სამართლებრივი რეგულირების ასპექტები

გ. ტყეშელაშვილი, ხ. გიორგაძე, რ. თეთვაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** ნაშრომი განხილულია ლოგისტიკის განვითარების პრობლემები საქართველოს საწარმოებისათვის საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ასახულია ლოგისტიკური ჯაჭვი და მასში შემავალი ელემენტები. აღნიშნულია, რომ ლოგისტიკაში მთავარი მამოძრავებელი ძალა არის სატრანსპორტო-გადამზიდავი ფირმები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ერთიანი ეკონომიკური შედეგების მიღწევაზე. ნაშრომი მოიცავს ლოგისტიკის სამართლებრივ მართვის მიმართულებებს და ხელშეკრულებების შედგენის მოდელებს.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა, მენეჯმენტი, ლოგისტიკა, მიწოდებათა ჯაჭვი.

## შესავალი

ლოგისტიკა არის საქონელმოდრობის ისეთი ახალი მიმართულებების პოვნა, რომლებიც უზრუნველყოფს საქონლის მომხმარებელთან მიტანას მინიმალურ დროში ნაკლები დანახარჯებით. ლოგისტიკაში მთავარია შენარჩუნებული იყოს წარმოებისა და კვლავწარმოების უწყვეტობა. ლოგისტიკის მთავარი პრინციპებია: ეკონომიურობა, მარაგების მოცულობების მინიმალიზაცია, საქონელბრუნვის მოდელირება, მოქნილობა (შესწორებები მასალების შესყიდვის გრაფიკში და მიწოდების დროებში), კომპიუტერიზაცია.

ლოგისტიკის მთავარი მახასიათებელი პარამეტრია ლოგისტიკური ჯაჭვი, რომელიც წარმოადგენს ფიზიკური ან იურიდიული პირების წრფივად მოწესრიგებად სიმრავლეს, ისინი ასახავენ მომარაგების ოპერაციებს ერთი სისტემიდან მეორემდე გარე მატერიალური ნაკადების მისატანად. ლოგისტიკურ ჯაჭვის პარამეტრებია: რგოლურების კოეფიციენტი - იგი უჩვენებს თუ რამდენჯერ იყო გაყიდული პროდუქცია; სასაწყობო რეგულირების კოეფიციენტი - აჩვენებს თუ რამდენჯერ განიცადა პროდუქციამ გადატვირთვა ერთი და იგივე გზაზე.

## პირითადი ნაწილი

ლოგისტიკაში მთავარი მამოძრავებელი ძალა არის სატრანსპორტო-გადაზიდვა ფორმები, რომლებიც ფუნქციონირებენ რა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ორიენტირებულები არიან ერთიანი ეკონომიკური შედეგების მიღწევაზე. ამას ხელს უწყობს მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი: ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი, კონკურენცია სატრანსპორტო ფორმებსა და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობებს შორის, მომხმარებელთა მხრიდან მოთხოვნათა გამკაცრება ტარიფებისადმი და სატრანსპორტო ხარისხისადმი.

ლოგისტიკის მთავარი ელემენტი ტვირთების გადაზიდვაა, ეს არის პროცესი ტვირთის ადგილმდებარეობის შეცვლისა ეკონომიურობის დაცვით (ღირებულებით და დროის დანახარჯების შემცირება). ეს პროცესი ეკონომიურად გამართული უნდა იყოს, რადგანაც ტვირთის გადაზიდვის დროს იხარჯება დრო, თანხები და ეკოლოგიური რესურსები.

ამრიგად ტრანსპორტირების მოცემული ფუნქცია განსაზღვრავს მის მთავარ მიზანს - მიიტანოს ტვირთი დანიშნულების ადგილზე რაც შეიძლება სწრაფად, იაფად და გარემოსადმი რაც შეიძლება ნაკლები ზიანის მიყენებით. აგრეთვე საჭიროა გადასაზიდი ტვირთების დანაკარგების და გაფუჭების მინიმიზაცია ტვირთმფლობელის მოთხოვნების შესაბამისად.

საერთოდ ლოგისტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო დანახარჯების ოპტიმიზაცია. იგი მიიღწევა ტვირთზიდვის მასშტაბების და მარშრუტების სიგრძეების ოპტიმალური შერჩევის საფუძველზე.

ეკონომია ტვირთების მასშტაბების მიხედვით უკავშირდება იმას, რომ რაც უფრო დიდია ტვირთი, ნაკლებია მის წონით ერთეულზე მოსული სატრანსპორტო დანახარჯები. ზუსტად ასევე ტრანსპორტის მძლავრი საშუალებები - სარკინიგზო და საზღვაო - გამოირჩევიან უფრო მეტი

სიიაფით გადასაზიდი ტვირთის წონის ერთეულზე, ვიდრე უფრო ნაკლებად მძლავრი - საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტი. ცივილიზებული საზოგადოების არსებობა ტრანსპორტის გარეშე შეუძლებელია.

ტრანსპორტირება ეკონომიკური საქმიანობის ნაწილია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან საქონლის (ტვირთის) ან ადამიანთა გეოგრაფიული ადგილის შეცვლის გზით. საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვები კვლავაც რჩება ქვეყანაში საინვესტიციო საქონლის შემოტანის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ, ასევე ასრულებენ ძირითად როლს მოსახლეობის სურსათით და სხვადასხვა სამომხმარებლო საქონლით მომარაგებაში.

ტრანსპორტის ქსელის გაფართოება ხელს უწყობს ჩამორჩენილი რაიონების ეკონომიკურ აღმავლობას, სხვა რაიონების კულტურის კერებთან დაკავშირებასა და დაახლოებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც საერთოა ყველა სახის გადაზიდვის ხელშეკრულებისათვის. თანამედროვე პირობებში შეუძლებელია ლაპარაკი გადაზიდვა-გადაყვანის მხოლოდ ერთ ხელშეკრულებაზე, რომელიც კონსტრუირებული იქნება რეალური ხელშეკრულების მოდელის შესაბამისად. ადგილი აქვს ხელშეკრულებათა სისტემას, რომელიც მოიცავს ტვირთის და ბარგის გადატანას, მგზავრთა გადაყვანას.

მითითებული სისტემა მისაღებია ტრანსპორტის ყველა სახისათვის. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გადამზიდველი კისრულობს ვალდებულებას გამგზავნის მიერ მისთვის მინდობილი ტვირთი გადაიტანოს დანიშნულების ადგილზე და გადასცეს იგი ტვირთის მიღებაზე უფლებამოსილ პირს (მიმღებს), ხოლო გამგზავნი კი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.

ასეთი ხელშეკრულება შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც რეალური კონსტრუქცია, რადგან გადამზიდველს პასუხისმგებლობა წარმოეშობა მხოლოდ ისეთი ტვირთის მიმართ, რომელიც გადასცა გამგზავნმა და მიიღო გადამზიდველმა დანიშნულების ადგილზე გადასატანად. სახეზეა ორმხრივი სახელშეკრულებო ვალდებულება, რადგან გარკვეული უფლებები და მოვალეობები გააჩნია როგორც გადამზიდველს, ისე გამგზავნს.

გადაზიდვის სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამგზავნის და გადამზიდველის გარდა მონაწილეობს ტვირთის მიმღებიც, რომელსაც გააჩნია არა მარტო უფლებები, არამედ გარკვეული ვალდებულებებიც.

ხელშეკრულებები ტვირთის გადატანის უზრუნველყოფის სამუშაოების ორგანიზების შესახებ იღება სხვადასხვა სახის სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის სატრანსპორტო კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ასეთი ხელშეკრულებები იღება ტვირთის გაგზავნის ადგილზე (რკინიგზის სადგური, ნავსადგური, აეროპორტი) ტვირთის მიღების, გადასაზიდვად გადაცემის უზრუნველსაყოფად, როცა ტვირთს გადამზიდველს გადასცემს არა თავად გამგზავნი, არამედ სხვა სახის ტრანსპორტის სატრანსპორტო ორგანიზაცია.

ტვირთის გადატანის უზრუნველყოფის სამუშაოების ორგანიზების შესახებ ხელშეკრულებით შეიძლება დარეგულირდეს ურთიერთობა სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის, რომელიც წარმოიშობა ტვირთის გადატანის მთელი პროცესის განმავლობაში.

ამ ხელშეკრულების განსხვავება სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის ტვირთის გადატანის, მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადატანის ორგანიზების შესახებ შეთანხმებებს შორის ისაა, რომ მის საფუძველზე რეგულირდება ტვირთის გადატანის ურთიერთობა სხვადასხვა სახის ტრანსპორტის სატრანსპორტო ორგანიზაციებს შორის, რომელიც არ არის მოცული ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტით.

პროდუქციის გადაზიდვას სჭირდება სპეციალური დოკუმენტაცია, რომელსაც ეწოდებათ გადაზიდვების მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტაცია, იგი მოიცავს შემდეგს: მიწოდების ხელშეკრულება. მიწოდების ხელშეკრულები არის - გამყიდველმა უნდა გადასცეს საგანი, ხოლო მყიდველმა უნდა გადაიხადოს საქონლისათვის განსაზღვრული თანხა.

მიმწოდებელი - გამყიდველი, რომელიც ვალდებულია იღებს გადასცეს განსაზღვრულ ვადაში (ვადებში) მის მიერ წარმოებული ანდა შესყიდული პროდუქცია სამეწარმეო საქმიანობაში გამოსაყენებლად ან/და სხვა მიზნებისათვის.

პროდუქციის მყიდველზე გადაცემის ხერხები:

- ✓ პროდუქციის გადაცემა სატრანსპორტო ან/და კავშირგაბმულობის საწარმოზე, მყიდველისათვის შემდგომი მიზიდვისათვის;
- ✓ პროდუქციის მიტანა უშუალოდ მყიდველთან;
- ✓ პროდუქციის მიღება მყიდველის მიერ მიმწოდებლის საწყობიდან მისი ადგილმდებარეობის ადგილზე.

ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ ტვირთების შიგა გადაზიდვებს, შემდეგია:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;



- საქართველოს სარკინიგზო კოდექსი;
- საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის წესდება;
- საქართველოს საზღვაო კოდექსი;
- საქართველოს საჰაერო კოდექსი;
- ნორმატიული დოკუმენტები სხვადასხვა სახის ტრანსპორტზე გადაზიდვითი, სატრანსპორტო-საექსპედიციო და სხვა სახის საქმიანობის ლიცენზირების შესახებ;
- საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ ტრანსპორტირების ძირითად პირობებს არეგულირებს:
  - გადაზიდვის ხელშეკრულება;
  - სასაქონლო სატრანსპორტო ზედდებული;
  - ანგარიშფაქტურა;
  - საგზაო ფურცელი;
  - სატრანსპორტო ზედდებული CMR (მხარეთა ურთიერთშეთანხმებები).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ზედნადების შედგენის დროს გასათვალისწინებელ აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს და განსაზღვრავს, რომ ზედნადები უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- გაცემის დღესა და ადგილს;
- გამგზავნის სახელსა და მისამართს;
- გადაზიდველის სახელსა და მისამართს;
- ტვირთის გაცემის დღესა და ადგილს, ასევე ტვირთის მიტანის ადგილს;
- მიმღების სახელსა და მისამართს;
- ტვირთის სახეობის ჩვეულებრივ სახელწოდებასა და შეფუთვის სახეს, საფრთხეშემცველი ტვირთების შემთხვევაში, მათ საყოველთაოდ აღიარებულ აღნიშვნას;
- გადასაზიდი ტვირთების რაოდენობას, ნიშნებსა და ნორმებს;
- ტვირთის წონას, ან სხვაგვარად აღნიშნულ რაოდენობას;
- გადაზიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- საბაჟო და სხვა მსგავსი სამსახურების აღნიშვნებს;
- აღნიშვნას, რომ გადაზიდვა, მიუხედავად ორმხრივი შეთანხმებისა, მაინც ექვემდებარება ამ თავის ნორმებს.

კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ საჭიროებისას ზედნადები უნდა შეიცავდეს დამატებით მონაცემებს:

- სხვა ტრანსპორტზე გადაზიდვის აკრძალვას;
- ხარჯებს, რომელსაც გამგზავნი თავის თავზე იღებს;
- ტვირთის გაგზავნის დროს გადასახდელი ფასდანიშნის ოდენობას;
- ტვირთის ღირებულებას და მიწოდებისადმი განსაკუთრებული ინტერესის აღნიშვნას;
- გამგზავნის მითითებებს გამომწველის მიმართ ტვირთის დაზღვევის შესახებ; შეთანხმებულ ვადას, რომელშიც უდა დასრულდეს გადაზიდვა; გადამზიდ.

ტვირთების გადაზიდვის ხელშეკრულება - ესაა შეთანხმება ტვირთგამგზავნისა და გადამზიდს შორის, რომლის შესაბამისადაც გადამზიდვმა უნდა მიიტანოს ტვირთი დანიშნულ ადგილზე დადგენილ დროში, ხოლო გამგზავნმა უნდა მიაწოდოს ტვირთი და გადაიხადოს ტრანსპორტის ღირებულება; ლიცენზია (სპეციალური) ნებართვა - დოკუმენტი, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს განსაზღვრული სახის მოქმედების შესრულებაზე (კერძოდ საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელებაზე), მასში დადგენილი ვადის განმავლობაში სალიცენზიო მოთხოვნებისა და პირობების სავალდებულო დაცვის დროს.

ლიცენზიის სახეები:

- სტანდარტული - ტვირთების გადაზიდვაზე კომერციულ საფუძველზე ქვეყნის ფარგლებში; სტანდარტული ლიცენზია უფლებას იძლევა აგრეთვე ტვირთების გადაზიდვაზე საკუთარი საჭიროებისათვის;
- სტანდარტული საერთაშორისო - საერთაშორისო მიმოსვლებში ტვირთების გადაზიდვაზე;
- შეზღუდული - საწარმოო მიზნებისათვის ტვირთების გადაზიდვაზე ქვეყნის ფარგლებში.

საქართველო სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანაა, რადგანაც საქართველოს ფარგლებში ტვირთი იცვლის ტრანსპორტის რამდენიმე სახეს. აქედან გამომდინარე როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო გადამზიდვების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს სატრანსპორტო სისტემების ყოველმხრივ განვითარებას და მათ გონივრულ ინტეგრაციას ევრაზიის ლოჯისტიკურ სისტემებში.

საქართველოში როგორც შიგა, ასევე საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურების ბაზარი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი და ახლაც ჩამოყალიბების პროცესშია. ქვეყანაში ცოტაა სხვადასხვა სახის ტრანსპორტის მქონე ისეთი მსხვილი ლოჯისტიკური ფირმები და ლოჯისტიკური ცენტრები, რომლებსაც უნარი შესწევთ თავიანთი მაღალ ხარისხიანი სატრანსპორტო მომსახურებით საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციაში შევიდნენ ცნობილ გადამზიდვან ფირმებთან, მიუხედავად იმისა, რომ ამის წინაპირობებს მათ ყოველმხრივ უქმნის ქვეყნის მიმზიდველი გეოგრაფიული მდებარეობა.

## დასკვნა

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით განსაკუთრებით იზრდება ლოჯისტიკის როლი. ლოჯისტიკის სამეურნეო საქმიანობას, როგორც მატერიალური ნაკადის მართვას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ის აგრეთვე იძენს კიდევ არაერთ საჭირო ფუნქციას.

ლოჯისტიკის საქმიანობა მრავალწახნაგოვანია. ის განაგებს სატრანსპორტო მმართველობას, სასაწყობო მეურნეობას, კადრებს, საინფორმაციო სისტემის ორგანიზაციას, კომერციულ საქმიანობას და სხვ. ყოველი ჩამოთვლილი ფუნქცია ღრმად შესწავლილია და აღრიცხული შესაბამის დისციპლინებში. ლოჯისტიკური მიდგომის პრინციპული სიახლე არის უმაღლესი გადამრიცხავი მხარეების ორგანიზაციული ურთიერთკავშირი, ინტეგრაცია ერთადერთ მატერიალურ და წამყვან სისტემაში. ლოჯისტიკური მიდგომის მიზანი – ეს არის მატერიალური ნაკადის გამჭოლი მართვა.

ლოჯისტიკის ობიექტზე დაკვირვება შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით: მარკეტოლოგის, ფინანსისტის, მენეჯერის, წარმოების მართვის პოზიციით და სხვ. ეს აიხსნება ლოჯისტიკის ცნების მრავალმხრივი განსაზღვრულობით.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **Л. Б. Миротин, В. И. Сергеев.** (2000г.). Основы логистики. Москва: ИНФРА-М, . 21-23.
2. **Кочадзе Т. П.** и др. (2007г.). О надежности транспортных процессов в единой логистической цепи товародвижения CONFERENCE trans&MOTAUTO'07. Ruse-Bulgaria.
3. **Donald J. Boversox, David j. Closs** (2000). Logistikal Manajement. New York: THE McGRAW – HLL COMPANIES. INC.
4. **Майкл Линдерс, Фрейзер Джонсон, Анна Флинн, Гарольд Фирон.** (2007г.). Управление закупками и поставками. Москва: Юнити. (253-256)
5. **ლ. ჭანტურია და სხვ.** (2001წ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი IV, ტომი I. თბილისი: გამომცემლობა "სამართალი". გვ. 311-313
6. **ლ. ბოცვაძე, ო. გელაშვილი, მ. მეზურიშვილი.** XIV INTERNATIONAL SCIENTIFIC-TEQHNICAL

7. სატრანსპორტო ლოჯისტიკის სამართლებრივი რეგულირება. თბილისი: საგამომცემლო სახლი "ტექნიკური უნივერსიტეტი". (2007წ.).
8. თუმანიშვილი, გ. გ. (2010წ.). შესავალი საქართველოს კერძო სამართალში ნაწ. II. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

## **АСПЕКТЫ ПРАВОВОГО РЕГУЛИРОВАНИЯ ЛОГИСТИКИ**

**Г. Ткешелашвили, Х. Гиоргадзе, Р. Тетвадзе**

### **Резюме**

В статье обсуждаются проблемы развития логистики предприятий в условиях рыночной экономики. Описывается логистическая цепь и входящие в него элементы. Отмечено, что главной движущей силой логистики являются, которые ориентированы на достижении экономических результатов.

Работа включает в себя направления правового управления логистики и модели составления контрактов.

## **ASPECTS OF LEGAL REGULATION OF LOGISTICS**


**G. Tkeshelashvili, H. Giorgadze, R. Tetvadze**

### **Summary**

The article discusses the problems of development of logistic of enterprises in a market economy. It describes the logistic chain and elements included in him. It is noted that the main driving force of logistics are transport companies that are focused on achieving economic results.

The work includes the directions of the legal management of logistic and models of drafting of contracts.

GTU  
Transport and Mechanical  
Engineering Department  
www.gtu.ge

TRANSPORT AND  
№3 (34)  2015  
MACHINEBUILDING  
T: 68-82

№503  
Department's of Scientific  
and Research Centre  
PRINT MEDIA

უპკ 625. 2. 592.

**სატვირთო ვაგონების ტექნიკური გამართულობის  
უმეოფემა ექსპლუატაციაში**

რ. მორჩილაძე, გ. ცქიტიშვილი, ზ. მორჩილაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,  
საქართველო)

**რეზიუმე:** სტატიაში განხილულია სარკინიგზო სატვირთო მოძრავი შემადგენლობის (სატვირთო ტიპის ვაგონების) ძირითადი კვანძების მეტად გავრცელებული უწყესივრობების სახეები და მათი აღმოჩენის საშუალებები. განხილულია ავტოგადასაბმელი მოწყობილობის და სავალი ნაწილის (ურიკების) დაზიანებათა წარმოშობის გარემოებები და ამ სახის დაზიანებების გავლენა მოძრაობის უსაფრთხოებაზე. რეკომენდირებულია სავალი ნაწილის ძირითადი კვანძის – წყვილთვალას უწყესივრობათა აღმოჩენი დაზიანების გამოყენება ექსპლუატაციაში.

**საკვანძო სიტყვები:** ინტენსიური ცვეთა, დეფექტური წყვილთვალის დეტექტორი.


როგორც ცნობილია, სარკინიგზო გადაზიდვების ძირითადი მოცულობები სრულდება სატვირთო მოძრავი შემადგენლობებით. ამდენად დიდი ყურადღება ექცევა მათ გამართულობას ექსპლუატაციაში. გასული და მიმდინარე წლების ანალიზი აჩვენებს, რომ სატვირთო სავაგონო პარკის ვაგონების გაუმართაობის მიზეზით საქსპლუატაციო პარკიდან ახსნილი ვაგონების რაოდენობა შეადგენს საშუალოდ თვეში 2014 წელს 570 ვაგონს, ხოლო 2015 წელს საშუალოდ 465 ვაგონს თვეში.

სატვირთო ვაგონებზე გაუმართაობები ძირითადად ფიქსირდება ისეთ მთავარ კვანძებზე, როგორცაა ავტოგადასაბმელი მოწყობილობა, სავალი ნაწილი და სამუხრუჭო სისტემა. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ავტოგადასაბმელი და სავალი ნაწილის გამართულობა უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია მათი გეგმიური და მიმდინარე შეკეთებების ხარისხზე, ხოლო

მუხრუჭების გამართული და ეფექტური მოქმედება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მუხრუჭების გამოყენების წესების დაცვაზე მემანქანეთა ბრიგადის მიერ.

აღნიშნული კვანძების გამართული მუშაობა ხელს უწყობს უსაფრთხო მოძრაობას და დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი კატეგორიის მოძრავი შემადგენლობისათვის.

ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია ავტოგადასაბმელი მოწყობილობისა არის მოძრაობის პროცესში, აგრეთვე ვაგონების გადაბმის პროცესში დარტყმის (მკუმშავი) ძალების შესუსტება. მატარებლების წონის ზრდის და შთანთქმელი აპარატის არასაკმარისი ენერგომოცულობის გამო განსაზღვრულ სიტუაციებში, აპარატის სრული შეკუმშვის შემდეგ, კინეტიკური ენერგიის ნაწილი მოდის უშუალოდ ავტოსაბმის თავზე და გადაეცემა ვაგონის ჩარჩოს. ძალების ასეთი გადანაწილება უარყოფით გავლენას ახდენს ავტოსაბმის კორპუსის მდგომარეობაზე, ვაგონის ჩარჩოზე და იწვევს ავტოსაბმში ბზარების გაჩენას, ცვეთას (ნახ. 1).



ნახ. 1. ავტოსაბმის კორპუსის ცვეთების და დაზიანების ძირითადი სახეები

- ბზარები: კორპუსის ხაზის კუთხეში – 1; ავტოსაბმის თავის კუდთან შეერთების ადგილას – 3; კორპუსის ხაზის კედელთან – 7 და 8;
- ცვეთები: დიდი და მცირე (პატარა) კბილების დარტყმის და წვევის ადგილებში – 2; ავტოსაბმის კორპუსის შეერთების ადგილებში შთანთქმელ აპარატთან და სამაგრ სოლთან – 4,5; საყრდენ ზედაპირზე – 9.

ინტენსიური ცვეთა ხდება ავტოსაბმის საწვევი (წვევის) ნაწილის ქვედა ზედაპირებზე. ძირითადი მიზეზები არათანაბარი ცვეთისა არის ავტოსაბმის ჰორიზონტალობის დარღვევა (ჩაკიდება). ჩაკიდების შემთხვევაში მკვეთრად მცირდება გადაბმული ავტოსაბმების საკონტაქტო ზედაპირების ფართი, რაც ზრდის ადგილობრივ ცვეთას. გარდა ცვეთისა, ავტოსაბმის ჩაკიდება ზრდის ავტოსაბმზე მოქმედი ძალების ექსცენტრისიტეტს, რაც იწვევს ადგილობრივ გადაძაბვას და წარმოიქმნება ბზარი კორპუსის ხაზის სარტყმელ კედელზე 7 და 8, აგრეთვე თავის კუდში გადასვლის ზონაში 3. საყრდენი ზედაპირის ცვეთა 9 წარმოიშობა როზეტის გამოწვეულ ნაწილთან

ურთიერთქმედებით. ავტოსაბმის კორპუსის ზედაპირზე ცვეთები 4 წარმოიშობა მისი ხახუნით ჩარჩოსა და როზეტთან მიმართებაში. ეს ურთიერთქმედება ხდება ავტოსაბმის კორპუსის ღერძის გადახრის შემთხვევაში ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ სიბრტყეებში. ვაგონების გავლისას მცირე რადიუსიან მრუდებში და განსაკუთრებით ისეთი ვაგონების ერთმანეთთან ჩამბისას, რომელთაც გააჩნიათ ჩარჩოს კონსოლური ნაწილის განსხვავებული ზომა, ავტოსაბმის ღერძები გადაიხრებიან და პირველ ეტაპზე გაცვდება ავტოსაბმის კორპუსის ვერტიკალური კედლები.

ცვეთის გარკვეული სიდიდის მიღწევისას კედლების სიმტკიცე შესუსტდება და მოსალოდნელია ავტოსაბმის კუდის გაღუნვა ჰორიზონტალურ სიბრტყეში. ანალოგიურად ხდება ავტოსაბმის კუდის გაღუნვა ვერტიკალურ სიბრტყეში, როცა მატარებელი გაივლის სხვადასხვა გრძივი პროფილის მქონე მონაკვეთში. ასეთი რამ ხშირად ხდება როცა ვაგონი გაივლის მახარისხებელი გორაკის კუზებზე.

ცალკეულ შემთხვევებში, როცა ადგილი აქვს ავტოსაბმების ღერძებს შორის სხვაობას ან გადაბმულ ვაგონების ჩარჩოს კონსოლურ ნაწილში სიგრძეთა სხვაობას მახარისხებელ გორაკის კუზის გავლისას წარმოიშობა ავტოსაბმელის ჩასოლვა გადაბმის კონტურში. მის შემდეგ ერთ-ერთი ვაგონის ავტოსაბმის კუდი ეყრდნობა (აწვება) წვეის ცალულის და ხერხემლის ძვლის ზედა მხარეს და იწყებს მის წამოწევას (აწევას). მას შეუძლია გამოიწვიოს ავტოსაბმის კუდის გაღუნვა ან ჩამოკიდება და გატეხვა.

ძირითადი მიზეზები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თვითგადახსნა, შემდეგია:

- მიმმართველი კბილის და თვითგადახსნის მცველის მოტეხვა;
- კლიტის გაცვეთა ზღვრულზე დაბლა, ავტოსაბმის გადაბმის ზედაპირის კონტურის გაცვეთა, მიმმართველი კბილისა და სასიგნალო მანიშნებელის ცვეთა;
- კლიტეების ნახევრადგადასული (შიგნით) მდგომარეობა;
- ბზარები დიდ და მცირე (პატარა) კბილებში, რაც იწვევს წვეის რეჟიმში ხახის გაგანიერებას.

ვაგონის სავალ ნაწილებში (ურიკებში) გაერთიანებულია კვანძებისა და დეტალების ერთობლიობა. ესენია: წყვილთვლები ბუქსებით, ურიკის ჩარჩო, ზამბარები, რესორზედა ძელი, სამუხრუჭე ბერკეტული სისტემის ელემენტები, ცენტრალური და ბუქსზედა რესორული ჩამოკიდების ელემენტების, დამცავი კავები.

სავალი ნაწილი უნდა უზრუნველყოფდეს ვაგონის ლიანდაგზე უსაფრთხო მოძრაობას სათანადო მდოვრე სვლითა და მოძრაობის მიმართულების შენარჩუნებით, დაწესებული სიჩქარეების ფარგლებში.

ექსპლუატაციის პირობებში სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობას და მათ შორის ვაგონს უხდება მაღალი სტატიკური და დინამიკური დატვირთვის მიღება, რომელიც ურიკების საშუალებით გადაეცემა რელსს. ურიკა არის ძირითადი შუამავალი კვანძი ვაგონსა და ლიანდაგს შორის, ამიტომ ურიკაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს არა მარტო ვაგონისგან მიღებული დატვირთვები, არამედ ლიანდაგის პროფილი და გეგმა, აგრეთვე ცალკეული მისი უწყესივრობები.

ურიკები ექსპლუატაციის პერიოდში ძირითადად განიცდიან ცვეთას და სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ დაზიანებებს. ურიკის ძირითადი ელემენტი წყვილთვალა გამოირჩევა თავისი დანიშნულებით და დაზიანებათა სახეები უმეტესობა მოდის მასზე. იგი განიცდის ბუნებრივ ცვეთას, მასზე წარმოიშვება ბზარები, ლერძის და თვლის მთლიანობის დარღვევა, ლერძის გარეხვა, ბუქსის ხურებით გამოწვეული ლერძის ყელის ჩაშლა, ქიმების და თვლების ავარიული ცვეთები, დაზიანებები წყვილთვალას გორვის ზედაპირზე და სხვ.

საქართველოს რკინიგზაზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოძრაობის უსაფრთხოებაზე ლიანდაგის პროფილისა და ელმავლის ტარების რეჟიმების დარღვევების გარდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვაგონების სავალი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობა. ინტენსიური გახდა წყვილთვლების დაზიანებები და რაც მთავარია შემცირდა მათი მსახურების ვადა. დადგენილი 15 წლის ნაცვლად, საექსპლუატაციო დრო შემცირდა 6-7 წლამდე. წყვილთვლების დაზიანებების სახეობათა შორის სჭარბობს თხელი ქიმი 55-65%; ამონაცვეთები 30%-მდე; მინადული და ნაცოცები 10-15%.

ექსპლუატაციის პირობებში ურიკის საბუქსე კვანძის (როგორც ვაგონების ასევე ლოკომოტივების) ტემპერატურა იმატებს ხახუნის ძალებისა და თბური ენერჯის შედეგად. საბუქსე კვანძის ნორმალური მუშაობისას, მისი ტემპერატურა 7-12°C-ით მეტია ჰაერის გარეთა ტემპერატურაზე. სამხრეთის პირობებში აღნიშნული სიდიდე გაცილებით დიდია. საბუქსე კვანძის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზი შეიძლება გახდეს:

- მეტალის დეფექტები;
- ბუქსის საკისურების მექანიკური და თერმული დამუშავების ტექნოლოგიების დარღვევა, რის გამოც რგოლებზე წარმოიქმნება მომატებული ნარჩენი ძაბვები;
- ლერძის ყელზე რგოლების და საკისრების არასწორი შერჩევა;
- ტორსული ქანჩის დაჭიმვის არასაკმარისი ძალვა (უკმარი დაჭიმვა);
- დაღლილობითი დაზიანებები-რგოლების გორვის ადგილებში ფუჭვილის („რაკოვინა“) და ელექტროამონაწვეების გაჩენა და ა.შ.



გორვის საკისურებიანი ბუქსების გამართულ მდგომარეობაში შესანახად და უწყესიერობათა დროული აღმოჩენისთვის გათვალისწინებულია ტექნიკური რევიზიები, სრული შემოწმება და შეკეთება.

სრული რევიზია სრულდება წყვილთვლების სრული შემოწმებისას და საბუქსზე კვანძის დაზიანებისას. ბუქსებს დემონტაჟის შემდეგ, რეცხავენ და ყველა დეტალს ყურადღებით ამოწმებენ. სრული რევიზიის დასრულების შემდეგ ამაგრებენ მასზე საჭლეს („ბირკას“) თავისი აღნიშვნებით.

შუალედური რევიზიისას ხდება ჩვეულებრივი შემოწმება, ბუქსების მოუხსნელად თვლების შემოწმება, ხუფის დამაგრების და საჩერებელი თამასის მდგომარეობის შემოწმება, საცხის შეცვლა. შემდეგ ბუქსის სათვალთვალო ხუფზე დაიტანება აღნიშვნა „რბ“-რევიზია ბუქსის, ბუქსის რევიზიის თარიღი: თვე და წლის ბოლო ორი ციფრი, დეპოს ან ქარხნის პირობითი ნომერი.

ექსპლუატაციის პირობებში საბუქსზე კვანძის უწყესიერობად ითვლება:

- სეპარატორების ცვეთები და ჩამტვრევები;
- საკისურების დამაგრების დეტალების დაშლა;
- საცხის გათხელება და გამოდენა;
- შიგა და ლაბირინთული რგოლების დაჭიმვის შესუსტება;
- საკისურების შიგა და საყრდენი რგოლების ჩამტვრევა და გაწყვეტა.

სეპარატორების ცვეთები (დარღვევა), როგორც წესი, წარმოიშობა საკისურებში საცხის რაოდენობის უკმარობით და გათხელებით (გაწყალებით), აგრეთვე სეპარატორების მექანიკური დაზიანებით, რაც არ იქნა აღმოჩენილი ბუქსის სრული რევიზიის დროს.


შეიძლება ითქვას, რომ ექსპლუატაციაში განსაკუთრებული ყურადღება მაინც ენიჭება წყვილთვალას საბუქსე კვანძთან ერთად. წყვილთვალაზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, ესენია: რელსის მდგომარეობა, გზის პროფილი, მუხრუჭების მართვის რეჟიმი, ვაგონის დატვირთვის ზომები, ფარული ბზარი, თვლისა და ღერძის გეომეტრიული ზომები, უხარისხო საცხი და სხვ. აქედან გამომდინარე ადამიანის თვალს მისი დათვალთვლებისას ექსპლუატაციაში შეიძლება გამოეპაროს უწყესიერობის რომელიმე სახეობა, ამიტომ რამდენიმე წელია გამოიყენება დიაგნოსტიკის სხვადასხვა საშუალებები მათ აღმოსაჩენად.

საქართველოს რკინიგზაზე ბოლო ორ ათეულ წელში ფართოდ დაინერგა ბუქსის ხურების აღმოჩენი მოწყობილობა (კტსმ-ის ნაირსახეობა) უმეტესად კტსმ-01 და კტსმ-02. თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიებში გამოიყენება წყვილთვალას მდგომარეობის დაფიქსირების საშუალება, რაც მეტ მონაცემებს იძლევა წყვილთვალას გამართულობაზე.

წყვილთვალას, როგორც სავალი ნაწილის ძირითად კვანძის, ტექნიკური მდგომარეობის ავტომატური დიაგნოსტიკის საველე საშუალებას მიეკუთვნება დეფექტური წყვილთვლების დეტექტორის მოწყობილობა (დწდ). დეტექტორის დანიშნულებაა წყვილთვლების გორვის ზედაპირზე დეფექტების აღმოჩენა, მათ შორის, ნაცოცების, მინადულების, არათანაბარი ცვეთის, ამონაჩიქების (ამონაგლეჯების). აღნიშნული დეფექტები იწვევს მატარებლების მოძრაობისას თვლისა და რელსის ვერტიკალურ დინამიკურ გადატვირთვას.

დეტექტორის აპარატურის (მოწყობილობის) მუშაობა დაფუძნებულია სპეციალური ტენზომეტრული გადამწოდებით იმ ვერტიკალური ძალების გაზომვებზე, რომლებიც მოქმედებენ თვალსა და რელსს შორის მათი დინამიკური ურთიერთქმედებისას და დასაშვები ძალების სიდიდეთა მნიშვნელობების შედარებაზე გაზომილ სიდიდეებთან, ნორმირებული დონის გადაჭარბება ნიშნავს, რომ თვლის გორვის ზედაპირზე არსებობს უწყესივრობა (ან რამდენიმე სახის უწყესივრობა), რაც იწვევს თვლისა და რელსის დინამიკური გადატვირთვის დაუშვებელ სიდიდეს. მატარებელში დეფექტური წყვილთვალას არსებობა გადაეცემა ტექნიკური მომსახურების პუნქტში კავშირის ხაზით, რომლის წინაც დაყენებულია დეტექტორი.

დეფექტიანი წყვილთვალას დეტექტორი შეიცავს გადასარბენის და სასადგურო მოწყობილობას, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია სახაზო კავშირით. გადასარბენის მოწყობილობა თავის მხრივ შედგება საველე და საპორტო (პოსტის) მოწყობილობებისაგან (ნახ. 2).



ნახ. 2. დეფექტური წყვილთვალას დეტექტორის (დწდ) ხელსაწყოების განლაგების პრინციპიალური სქემა

საველე მოწყობილობა დგება უშუალოდ ლიანდაგზე, რომელიც განკუთვნილია მოძრავი შემადგენლობისგან ინფორმაციის დასათვლელად (მისაღებად) და შეიცავს: ორი მზომი რელსი ( -65 ტიპის 12.5 მ; დეფექტების გარეშე).

ეს რელსები აღჭურვილია სამი ტენზორეზისტორული სქემით თითოეული ოთხი გადამწოდით თვლის მდგომარეობის განსაზღვრისთვის, ლერძების დათვლისა და მატარებლების მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრისთვის, შემაერთებული კაბელით (დამცავ მილებში).

დწდ-ს საველე მოწყობილობა განლაგებულია საპორტო (პოსტის) შენობის უშუალო სიახლოვეს. საველე მოწყობილობიდან შლანგის საშუალებით სიგნალები გადაეცემა პოსტს დანადგარებს.

საპოსტო (პოსტის) მოწყობილობაა:

- ტენზომეტრული გამაძლიერებელი „spider-8“ - ტიპის;
- კონტროლერი (სპეციალური კომპიუტერი);
- მიახლოვების გადამწოდების კვების ბლოკი;
- უწყვეტი კვების ბლოკი;
- შემაერთებული კაბელები (კომპლექტი).

სასადგურო (მიმღები) მოწყობილობა დგება უშუალოდ მიმღები სადგურის ტექნიკური მომსახურების პუნქტში. ამ დროს დწდ-ს აპარატურიდან შედეგების მიღება ხორციელდება ლოკალური კავშირით და ტმპ-ს ოპერატორს მიეწოდება გასინჯვის ფურცელი (ამონაწერი). ვაგონის მსინჯველების მიერ აღნიშნული წყვილთვლების დათვალიერების შემდეგ, შედეგები ჩაიწერება აღრიცხვის გრაფაში „დადასტურებული დეფექტები“. ჟურნალი ინახება ტმპ-ში. ამჟამად შექმნილია ინფორმაცია ყველა დიაგნოსტირების მოწყობილობისან (მათ შორის დწდ) გამოდის ერთიან ფურცელზე.

სატვირთო ვაგონებისთვის დადგენილია ვერტიკალური ძალების სამი ნორმირებული ღონე. შეტუმავებულია თითოეული ღონისთვის მისაღები ღონისძიებები.

ტექნიკური მომსახურების ახალი სისტემების შექმნით და დანერგვით შესაძლებელი გახდება საგარანტიო უზნების დაგრძელება და საბოლოოდ ვაგონის ზედამხედველობა ბრუნვის პერიოდში, მისი დაყონების გარეშე ტექნიკური დათვალიერებისთვის. ამ კონცეფციის რეალიზება საშუალებას იძლევა გამოირიცხოს ვაგონების დათვალიერების დუბლირება მიმღებ და გამგზავნ პარკებში, პერსპერტივაში კი შესაძლებელი იქნება ვაგონის მთლიანი დათვალიერებიდან, ქვეშ გაძვრომის ჩათვლით, გადავიდეთ დიაგნოსტირების აპარატურის ჩვენების საკონტროლო შემოწმებაზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **Криворудченко В.Ф., Ахмеджанов Р.А.** Современные методы технической диагностики и неразрушающего контроля деталей и узлов подвижного состава ж.д. транспорта. М., «Маршрут», 2005, стр. 390.
2. **Карпов В.А., Воробьев А.А.** На основе неразрушающего контроля. М., «Железнодорожный транспорт», № 10. 2015.

### ПРОВЕРКА ТЕХНИЧЕСКОЙ ИСПРАВНОСТИ ГРУЗОВЫХ ВАГОНОВ В ЭКСПЛУАТАЦИИ

**Р. Морчиладзе, Г. Цкитишвили, З. Морчиладзе**

#### Резюме

В статье рассматривается разновидность неисправностей грузового подвижного состава железнодорожного транспорта и способы их обнаружения. Рассматриваются причины появления дефектов автосцепного и ходовых частей, а также влияние этих дефектов на безопасность движения.

Рекомендовано использование в эксплуатации установки по обнаружению неисправностей колесной пары тележки.

### INSPECTION OF FREIGHT CARS RUNNING ORDER IN OPERATION

**R. Morchiladze, G. Tskitishvili, Z. Morchiladze**

#### Summary

In the article is considered the types of widespread failures of railway rolling stock (freight type cars) basic units and ways for their revealing. The circumstances of origination of failures of automatic coupling device and running gears (bogie) and impact of these types of failures on traffic safety are considered. Is recommended application of detecting failures of basic unit of running gears – wheel pairs in operation.

**ავტორთა საყურადღებოდ**

**სამეცნიერო ნაშრომის რედაქციაში წარმოდგენის წესი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ჟურნალში – “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა” სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა ხდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდის 1,5 ინტერვალით ნაბეჭდ გვერდზე ISO სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით:
  - ა) ნაშრომი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში ცხრილებისა და ფორმულების რედაქტორების გამოყენებით; შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს Microsoft Excel-ის პროგრამა.
  - ბ) სამუშაო ქაღალდის მინდვრის ზომები: ზედა – 35 მმ, ქვედა – 25 მმ, მარცხენა – 20 მმ, მარჯვენა – 20 მმ.
  - გ) ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს LitNusx – ის გარნიტურის შრიფტით, ინგლისურ და რუსულ ენებზე შესრულებული ნაშრომი კი – Times New Roman შრიფტით.
  - დ) ნაშრომის დასახელება უნდა აიწყოს LitMtavr გარნიტურის შრიფტით (14B); ავტორის სახელი და გვარი – LitNusx გარნიტურის შრიფტით (13B); დასახელება ორგანიზაციის, სადაც შესრულდა სამუშაო, უნდა მიეთითოს ფრჩხილებში – შრიფტით 13B; ნაშრომის რეზიუმე უნდა შესრულდეს კურსივი შრიფტით 12; საკვანძო სიტყვები – შრიფტით 12; ნაშრომის ტექსტი – 12; რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომი – შრიფტით 12; ლიტერატურის ჩამონათვალის შემდეგ ერთვის რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე შემდეგი მითითებით: ნაშრომის დასახელება, ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 10-15 სტრიქონი;
2. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს კომპაქტ დისკზე (CD-R) და ერთ ეგზემპლარად A4 ფორმატის ქაღალდზე (მკაფიოდ) დაბეჭდილი;
3. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს მონაცემები ავტორის (ავტორების) შესახებ: სამეცნიერო ხარისხი, წოდება და თანამდებობა;
4. რედაქცია მხარს დაუჭერს ერთ ჟურნალში ერთი და იგივე ავტორების მიერ შესრულებულ არაუმეტეს სამი სტატიის გამოქვეყნებას;
5. ნაშრომის გვერდების რაოდენობა განისაზღვრება 5-დან 10 გვერდამდე;
6. ავტორი პასუხს აგებს ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე;

**Порядок представления в редакцию научных работ**

В журнал “Транспорт и машиностроение” транспортного и машиностроительного факультета Грузинского технического университета научные работы представляются на грузинском, английском и русском языках с соблюдением следующих требований:

1. Работа должна быть выполнена на бумаге форматом А4 с интервалом 1,5 на печатном листе согласно требованиям стандарта ISO:
  - а) Работа подготавливается в Microsoft Word с использованием редакторов таблиц и формул; возможно использование программы Microsoft Excel.
  - б) размеры поля рабочего листа: верхнее – 35 мм, нижнее – 25 мм, левое – 20 мм, правое – 20 мм.
  - в) выполненная на грузинском языке работы должна быть набрана шрифтом LitNusx, выполненный на английском и русском языках работы – шрифтом Times New Roman.
  - г) название работы должно быть набрано шрифтом LitMtavr (14B); имя и фамилия автора – шрифтом LitNusx (13B); название организации, где выполнена работа, указывается в скобках – шрифтом 13B; резюме работы выполняется курсивным шрифтом 12; ключевые слова – шрифтом 12; текст работы – шрифтом 12; выполненная на русском языке работа – шрифтом 12; после литературы прилагается резюме на английском и русском языках со следующим указанием: название работы, имя и фамилия автора (авторов). Объём резюме не должен превышать 10-15 строк;
2. Работа должна быть представлена на компакт-диске (CD-R) и в одном экземпляре (разборчиво) напечатанной на бумаге формата А4;
3. К работе прилагаются данные об авторе (авторах): научная степень, звание и должность;
4. Редакция согласится напечатать в одном журнале не более трёх статей выполненных одним и тем же автором;
5. Количество листов работы определяется от 5 до 10 страниц;
6. Автор несёт ответственность за содержание и качество работы;

**procedure for submission of scientific papers in journal**

In the Journal “Transport and Machine Building” of Transport and Mechanical Engineering Faculty of Georgian Technical University manuscripts will be submitted in Georgian, English and Russian languages with satisfying of the following conditions:

1. The paper must be performed on A4 page format with interval 1,5 by requirements of ISO standard:
  - a) The paper must be prepared in Microsoft Word with using of redactor for the tables and formulae; is possible to use the program Microsoft Excel.
  - b) Margins: top – 35 mm, bottom – 25 mm, left – 20 mm, right – 20 mm.
  - c) Performed in Georgian paper must be typed in LitNusx, performed in English and Russian papers – in Times New Roman.
  - d) Title of paper must be typed in LitMtavr (14B); name and surname of author – in LitNusx (13B); affiliation, in parenthesis – in 13B; abstract must be performed in italic 12; keywords – in 12; body-type – in 12; performed in Russian paper – in 12; after references should have the abstracts in English and Russian with following: title of paper, name and surname of author (authors). The abstract should not exceed 10-15 lines;
2. The paper must be submitted on compact-disk (CD-R) and one copy (legible) printed on format A4;
3. The paper should be accompanied with the information about author (authors): scientific degree, rank and position;
4. Редакция согласится напечатать в одном журнале не более трёх статьей выполненных одним и тем же автором;
5. Size of paper’s sheet is determined in range from 5 up to 10 pages;
6. The author is wholly responsible for the contents and quality of the paper;
7. Aforementioned requirements are necessary for the scientific paper to be accepted.

The work is printed at the expense of the authors.

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №3 (34) 2015

ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ №3 (34) 2015

TRANSPORT AND MACHINEBUILDING №3 (34) 2015

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი

НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

SCIENTIFIC – TECHNICAL JOURNAL

გამოდის პერიოდულად წელიწადში სამჯერ

Журнал выходит в год три раза

Published periodically for three times a year

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“

Издательство „ ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ ”

Publishing House „ TRANSPORT AND MACHINEBUILDING ”

№503 დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „PRINT MEDIA”

Учебно – научный центр №503-го департамента, „ PRINT MEDIA”

№503 department’s of seantific and research centre „ PRINT MEDIA”

**The number of state registration - № 4023; 105239910**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2016 წ. 10 იანვარი;

გამოცემის ფორმატი 60X84 1/8; ფიზიკური ნაბეჭდი

თაბახი 11.25; საბეჭდი ქაღალდი – ოფსეტური №1.

Подписано к печати 10 : 01: 2016г; Формат издания л. 60X84 1/8;

Физичесих печатных листов 11.25; Печатная бумага - офсетная №1.

Signed for printing 10: 01: 2016;

Editior size 60X84 1/8; printed

sheet 11.25; printing paper - Offset N1.





სტუდს

# სატრანსპორტო და მანქანთმშენებლობის ფაკულტეტი

სუვენირულ და უსაფუთ  
მასალებზე ბეჭდვა

საგარეოხელო საჭმე  
და ნიხნის ხლოვნება

ტანსახლის ტექნოლოგია  
და მოდელოკრება

საგარეოხელო ტექნოლოგიები  
და მელნისსტრუქტურები

ამზადებს ბეჭდვითი მემლინსა და სამკვერვალ  
ნაწარმის ტექნოლოგიების  
მადალკვალისფიციური სპეცილისტებს

კვალიფიკაცია და სწავლებების სანბრკლივობა:

ბაკალავრი - 4 წელი,  
მაგისტრი - 2 წელი,  
დოქტორი - 3 წელი

ტრანსპორტი და მანქანთმშენებლობა №34 2015